პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 ივლისი **სამშაბათი** 2009

№ 173 (12852) ფასი 60 თეთრი

საქართველ..
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთ...



## ვლადიმერ სტეფანია

# ჯერ ისევ კალათბურთი, მერე სწავლა და სწავლა

» გვერდი 12



# გაქცევა დინამოდან

» გვერდი 3



გუშინდელ პრეზენტაციაზე

# ღირს თუ არა იბრაჰიმოვიჩი 100 000 000 ევრო

» გვერდი 6

ისევ ზლატან იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერზე

ოლიმპი



ოლიმპმა გიორგი სეთურიძემაც დატოვა

# სეთურიძე, ჩხეტიანი და გილაური წავიდნენ

## ბრაზილიელებს თოდუაც შეემატება

რუსთავის „ოლიმპი" სეზონისთვის ფორსირებულ რეჟიმში ემზადება. კლუბს კატაკლიზმები, გაუთავებელი ცვლილებები და ყოველ ნახევარ წელიწადში ახალი შემადგენლობის ჩამოყალიბება დაებედა.

2006 წლიდან, ანუ დაარსებიდან დღემდე „ოლიმპში" მწვრთნელი რვაჯერ შეიცვალა: **ნოდარ აკობია** (ორი დღე იმუშავა), **გიორგი კიკნაძე-ზაზა ზამთარაძის** დუეტი, **რევაზ ძოძუაშვილი, ვარლამ კილასონია, ანატოლი პისკოვეცი, ხვიჩა ქასრაშვილი,** ისევ **ვარლამ კილასონია** და ახლა უკვე **ოთარ კორღალიძე** - ზუსტად ამდენი მწვრთნელი შეიცვალა გერმანიის ნაკრებმა მეორე მსოფლიო ომიდან მეოცე საუკუნის ბოლომდე.

ოთარ კორღალიძეც ახალი გუნდის მშენებლობას შეუდგა. წინა სეზონის მესამეადგილოსანთაგან მას თითქმის არავინ შერჩა: მეკარე **ზვიად სტურუა** წავიდა. სხვათა შორის, ახლახან მისულმა **ბექა შეყრილაძემ** გუნდთან კონტრაქტი მესამედ გააფორმა და მესამედვე დაშორდა, რადგან „ოლიმპში" ბოლნისის „სიონიდან" **გია ჭანტურია** მივიდა. არაა გამორიცხული, შეყრილაძემ ცხინვალის „სპარტაკში" ითამაშოს, თუმცა, იქ სტურუასაც ელოდნენ და ძნელი სათქმელია, საკითხი როგორ გადაწყდება.

მცველებიდან თითქმის არავინ აღარ დარჩა: **გიორგი ონიანი** „ზესტაფონში" ჩაირიცხა, **თემურ ლონლაძე** ზაქათალის „სიმურგში", „სიონში" ითამაშებენ **თენგიზ ჩიკვილაძე, გიორგი ჭელიძე, კოკა მიკუჩაძე** და **გოგი ფიფია,** თუმცა, ურეკის შეკრებაზე 17-კაციან სიაში არ აღმოჩნდა მცველი **ავქსენტი გილაურიც.** ჯერაც უგუნდოდაა **გია მეგრელაძე.** გუშინ ანალოგიური სურვილი ძირითადი შემადგენლობის თავდამსხმელმა **გაგა ჩხეტიანმაც** გამოხატა. კორღალიძის თქმით, ჩხეტიანი კლუბს ეძებს და თუ უცხოეთში ძიება უშედეგოდ დასრულა, რუსთაველებს დაუბრუნდება. ასეთივე ვითარებაა **კოკა მიკუჩაძის** შემთხვევაში - „ოლიმპის" ყოფილი თავდამსხმელი კლუბს ისრაელში ეძებს.

კლუბი **გიორგი სეთურიძემაც** დატოვა. კორღალიძის თქმით, მას გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ან შვეიცარიის უმაღლესი ლიგის კლუბში გადასვლით აიმედებენ.

„ოლიმპიდან" წასვლა თავად გიორგიმაც დაგვიდასტურა: *„გუნდი მართლა დავტოვე, რადგან ევროპაში გადასვლით მაიმედებენ. უახლოეს დღეებში მეცოდინება, კონტრაქტს რომელ კლუბთან გავაფორმებ. თუმცა, ევროპაში კონტრაქტის გაფორმების გარანტია არ მოუციათ და ჯერ ზუსტად ისიც არ ვიცი, რომელ გუნდებზეა ლაპარაკი".*

კიდევ ერთი სიახლე - ამიერიდან რუსთავულ კლუბში „ზესტაფონის" ყოფილი ცენტრალური მცველი **სევასტი თოდუა** ითამაშებს, გამოცდილი და ჩვენი პირველობისთვის საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელი.

კორღალიძემ ჯერ კიდევ „სიონის" მწვრთნელობისას ზუგდიდის „მგლების" თავდამსხმელ **გიორგი ჭედიას** დაადგა თვალი. გიორგი ახალგაზრდულ ნაკრებს ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე ახლდა, მალე საქართველოში დაბრუნდება და გადაწყვეტს, ითამაშებს თუ არა „ოლიმპში".

ამასობაში, კლუბმა ურეკში ხანმოკლე შეკრება დაიწყო. 1 აგვისტოს „ოლიმპი" ზუგდიდში „მგლებთან" სათამაშოდ პირდაპირ ზღვისპირა დაბიდან გაემგზავრება.

ამჟამად კლუბში 17 ფეხბურთელი ემზადება და სავარაუდოდ, მათ, როგორც გითხარით, გიორგი ჭედიაც დაემატება:

მეკარეები: **გია ჭანტურია, მიხეილ ალავიძე;**

მცველები: **დაჩი ფოფხაძე, ნოდარ მაჭავარიანი, სევასტი თოდუა, ალექს ფრაგა, გიორგი რეხვიაშვილი;**

ნახევარმცველები: **ჟერონიმო, ჩოკო, აკინო, გელა ხუბუა, დენის დობროვოლსკი, ზაზა ჭელიძე, შოთა ბაბუნაშვილი, დავით კაკულია, გიორგი გორდეზიანი;**

თავდამსხმელი: **ჟონატასი.**

*„ბრაზილიელები უკვე ჩამოვიდნენ, სამი მათგანი ძალიან მომეწონა. თუმცა, ვთვლი, გამორჩეული ჯერონიმოა და ის ჩვენს პირველობაზე თავის სიტყვას იტყვის. ისედაც საკმაოდ ძლიერი ბიჭები გვყავდა. ასე რომ, ჩემპიონატს იმედიანად ველოდები",* - ამბობს კორღალიძე.

**მერაბ მამულაშვილი**

მგლები/ბაია

# ლუნგუ და დენიელი ზუგდიდში რჩებიან

## არბიტრი ზუგდიდელებს მიუდგაო...

ოზურგეთის „მერცხალთან" 3:2 გამარჯვების შემდეგ, „მგლები"/"ბაიამ" კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა. **ბესიკ შეროზიას** გუნდი აზერბაიჯანულ „სიმურგს" ეთამაშა და 0:1 დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ ზაქათალელთა კრებულში 4 ქართველი ფეხბურთელია. ამ კვარტეტიდან ზუგდიდელთა წინააღმდეგ **კახა ჩხეტიანმა, დავით ბოლქვაძემ** და **რომან ახალკაცმა** ითამაშეს, მცველ **თემურ ლონლაძეს** მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

აზერბაიჯანული წყაროების მტკიცებით, ეს ამხანაგური მატჩი არ დასრულებულა, არბიტრ **მამუკა ურუშაძის** მიერ ზუგდიდელთა კარში დანიშნულ პენალტს უკმაყოფილება მოჰყვა და კინკლაობა ჩხუბში გადაიზარდა.

*„ვინ თქვა, რომ თამაში ჩაიშალა შეწყდა და აღარ გაგრძელებულა? პენალტი ბოლოს დაინიშნა ჩვენს კარში. ჩვენ დღესაც მივიჩნევთ, რომ 11-მეტრიანი უსამართლოდ დანიშნეს. სილვეის ბურთი ხელზე არ მოხვედრია. ეს გავაპროტესტეთ კიდეც. მართალია 0:1 წავაგეთ, მაგრამ თამაშის მსვლელობის მიხედვით ანგარიში აბსოლუტურად არალოგიკურია. ერთი რეალური საგოლე მომენტიც კი არ ჰქონია „სიმურგს". ჩვენ არაერთხელ შეგვეძლო ბურთის გატანა, მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა ჩინებული შანსები ვერ გამოიყენეს",* - გვითხრა ზუგდიდელთა მეორე მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა.**

„მგლები/ბაიამ" აზერბაიჯანელთა წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **მაქაცარია, ექონია, აქუბარდია, ყვანია, რ. ონიანი, დ. ქირია, გუჩუა, ლუნგუ, წურწუმია, ძალამიძე, დენიელი.** მეორე ტაიმში შევიდნენ: **რ. ჯიქია, ვართაგავა, კუტალია, შიჩკინი, ბოადი, სილვეი.**

ამით ზუგდიდელებმა ურეკში მოსამზადებელი შეკრება დაასრულეს და შინ დაბრუნდნენ. გუშინ **ბესიკ შეროზიამ** გუნდი გუშინ „ბაიას" ბაზაზე ავარჯიშა. რაც შეეხებათ ახალ ფეხბურთელებს, უკვე გადაწყვეტილია, რომ ზუგდიდელთა გუნდში გააგრძელებს კარიერას ზამბიელი ნახევარმცველი **ჩისამბა ლუნგუ** და კამერუნელი ფორვარდი **ინამა უკუდა ჯეკ დენიელი.** მისი თანამემამულე, მცველი **ასე ისამა სილვეი** ტესტირებას გააგრძელებს. ასევე დაკვირვება გაგრძელდება რუს ნახევარმცველ **დენის შიჩკინზე** და განელ შუახაზელ **ფრანცის ბოადზე.** ასევე, ბესიკ შეროზიას გუნდში ნახევარმცველ **ირაკლი ხუციძის** დატოვების საკითხიც გადაწყვეტილია. შეგახსენებთ, რომ ხუციძე „ამერში" გამოდიოდა. შეროზიას გადაწყვეტილი აქვს ფორვარდ **რევაზ ჯიქიას** დამატებაც. როგორც ირკვევა, ჯიქია, რომელიც მახაჭყალის „ანჟიში" გამოდიოდა, ზუგდიდელთა კლუბის განაცხადში შესატანად, დაღესტნიდან სპეციალურ საბუთებს ელოდება. ერთი სიტყვით, ფორმალობაღა დარჩა მოსაგვარებელი. ბესიკ შეროზიას გუნდი შინ მეტ საკონტროლო შეხვედრას აღარ გამართავს. ახალი სეზონის სასტარტო შეხვედრას 1-ელ აგვისტოს რუსთავში, ადგილობრივ „ოლიმპთან" გამართავენ.

**დავით ცაბაძე**

ვიტ ჯორჯია

# ქვახაძე ხომ არ წასულა?

## ჯორჯიელები სამტრედიასთვის ემზადებიან

„ვიტ ჯორჯია" სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. **რამაზ მუმლაძის** გუნდი „ამერისა" და „ავაზას" სპორტკომპლექსებში ვარჯიშობს. როგორც კლუბის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა **დავით ერაძემ** გვითხრა, სლოვენიელებთან მატჩის შემდეგ ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

„ვიტ ჯორჯიას" კაპიტან **ალექსანდრე ქვახაძის** სავარაუდო ტრანსფერზე ჯერ კიდევ წლის დასაწყისში იყო საუბარი. გასული სეზონის დასრულების შემდეგ ქვახაძე რამდენიმე დღით უცხოეთშიც იმყოფებოდა. მაშინ ისიც ითქვა, რომ ქვახაძე გუნდს ევროტურნირებზე დაეხმარებოდა და მერე ლეგიონერთა რიგებს შეემატებოდა. შესაბამისად, „მარიბორთან" გასვლითი თამაშის შემდეგ თქვეს, ქვახაძემ გუნდი დატოვაო. როგორც გავიგეთ, მისით ავსტრიული და ებრაული კლუბები არიან დაინტერესებული:

*„დიახ, არის ამგვარი დაინტერესება, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუნდის კაპიტანი კვლავაც „ვიტ ჯორჯიაშია", მას კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და ახალი სეზონისთვის ჩვეულებრივ განაგრძობს მზადებას",* - გვითხრა დავით ერაძემ.

დაბოლოს, „ვიტ ჯორჯია" ახალი სეზონის სასტარტო ტურში, 1 აგვისტოს გორში, „სამტრედიას" უმასპინძლებს.

**დავით ცაბაძე**

სამტრედია

# ვინ თქვა, ფული არ აქვთო?!

„სამტრედიამ" უმაღლეს ლიგაში ადგილი კი მოიპოვა, მაგრამ გავრცელდა ხმები, თითქოს კლუბს ფული აღარ აქვს და მოთამაშეები გარბიან. სამტრედიელთა პრეზიდენტი **ზაზა ადეიშვილი** ამას კატეგორიულად უარყოფს:

*„ჩვენ არ გვაქვს ფინანსები? არ ვიცი, ვის „ექავება" ენა და ასეთ ჭორებს რატომ გვივრცელებს, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება. ვადასტურებ - „სამტრედია" „დინამოს", „ზესტაფონის", და „ვიტ ჯორჯიას" მსგავსი ბიუჯეტით თავს ვერ მოიწონებს, შესაძლოა, უმაღლესში ყველაზე ნაკლები თანხა გვქონდეს, მაგრამ უმაღლესი ლიგის გუნდის შენახვას ვახერხებთ და უახლოეს პერიოდში პრობლემას ვერ ვხედავ. პირიქით, ბიუჯეტის გაზრდის იმედი გაგვაჩნია. ბევრს არ ვილაპარაკებ, ჩემპიონატი მალე დაიწყება და ყველა ნახავს, რეალურად რა შეგვიძლია. ვფიქრობ, რომ ჩვენი ბიუჯეტი ცხრილზე აისახოს. ფული რომ არ გვქონდეს, 21 ფეხბურთელთან კონტრაქტს ვერ გავაფორმებდით. შესაძლოა, ასეთი ლაპარაკი იმის გამო დაიწყეს, რომ დიდი ფული არ გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უმაღლეს ლიგაში უხელფასო ფეხბურთელებს ვათამაშებთ. ეს დიდი სისულელეა".*

21-ე ჩემპიონატისთვის „სამტრედიამ" უკვე შეიგულა 21 ფეხბურთელი, რომელიც ზემოთ ადეიშვილმა ახსენა. კლუბმა კონტრაქტები გაუფორმა **დავით ხარძეიშვილს** (მეკარე), **ვაჟა ქორიძეს, ბესიკ ხაჭიპერაძეს** (მცველები), **გიორგი კვესიეშვილს, ლაშა ჯანგიძეს, შალვა ფირცხალავას, ლაშა ვაშაკიძეს, შოთა ჩომახიძეს** (ნახევარმცველები), **მიხეილ კაკალაძეს** და **პაატა ბაკარანძეს** (თავდამსხმელები).

27 ივლისს „სამტრედიამ" საკონტროლო შეხვედრაში მარტვილის „მერანს" შინ 3:0 სძლია. თავი **ტყემელაძემ, ზაურ ხაჭიპერაძემ** და **ვაშაკიძემ** გამოიჩინეს. ამ უკანასკნელმა იშვიათი სილამაზის და ამავდროულად, კურიოზული გოლი გაიტანა - მისი უძლიერესი დარტყმის შემდეგ კარის ბადე გაიხა.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# თანხმობა დაჩიადან და ტრანსფერის მოლოდინი

## ზესტაფონმა მზადება განაახლა

უკვე გაცნობეთ იმის შესახებ, რომ „ზესტაფონში" რამდენჯერმე ივარჯიშა „დაჩიას" ნახევარმცველმა **ლევან კორღალიძემ.** იმერულ კლუბში ლევანის ტრანსფერი აქამდე უნდა შემდგარიყო, მაგრამ... როგორც გავიგეთ, კიშინიოვის „დაჩიას" ხელმძღვანელობას ჩვენებური არ ეთმობოდა. დიახ, არ ეთმობოდა, რადგან, როგორც ირკვევა, ლევან კორღალიძემ სიტყვიერი თანხმობა უკვე მიილო, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტს, წერილობით დასტურს მოლდოვიდან დღე დღეზე ელის.

*„თავდაპირველად, როცა კიშინიოვში გაიგეს, რომ „ზესტაფონში" ვაპირებდი კარიერის გაგრძელებას, კლუბის პრეზიდენტი კატეგორიული წინააღმდეგი იყო „დაჩიადან" ჩემი წასვლისა. თუმცა მოლაპარაკებების შედეგად, როგორც ჩანს, პოზიცია შეიცვალა. დღეს (ესე იგი, ორშაბათს, 27 ივლისს - ავტ.) დილითაც ვესაუბრე ტელეფონით და მითხრა სატრანსფერო ფურცელს გამოვაგზავნითო. თუმცა მოლდოვიდან ეს დოკუმენტი დღის ბოლომდე არ მოსულა. ისევ დავუკავშირდი და დამპირდა, სამშაბათს გამოვაგზავნითო... ერთი სიტყვით, იმედი მაქვს, რომ არ დამაბრკოლებენ, მაგრამ სანამ სატრანსფერო ფურცელი არ ჩამოვა, მანამდე გადაჭრით მაინც მიჭირს იმისი თქმა, რომ „ზესტაფონში" გავაგრძელებ კარიერას",* - აღნიშნა ლევან კორღალიძემ „ლელოსთან" სატელეფონო საუბარში.

საინტერესოა, რატომ დატოვა „დაჩია" გუნდის „უკანასკნელმა ქართველმა მოჰიკანმა". ფეხბურთელმა მიზეზად ოჯახური მდგომარეობა დაასახელა.

რაც შეეხება **გია გეგუჩაძის** გუნდს, „ჰელსინგბორგთან" გასვლითი მატჩისა და ევროპის ლიგიდან დასანანი გამოთიშვის შემდეგ, ზესტაფონელთა ფეხბურთელებს მცირედი შესვენება ჰქონდათ. გუნდი დღეს შეიკრიბება და ახალი სეზონისთვის მზადებას განაახლებს. შეგახსენებთ, რომ „ზესტაფონი" 21-ე ეროვნული ჩემპიონატის სასტარტო ტურში, 2 აგვისტოს თბილისის „ლოკომოტივს" უმასპინძლებს.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ევროპის ლიგა | დინამო-ცრვენა ზვეზდა

# სერბები მოდიან, ჯუისი გარბის

ქებათა და ქება „დინამოს“ - ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს ევროტურნირებით ტკბობის სიამოვნება რომ გაუგრძელა. ჰო, ხუთშაბათის მატჩში ახლა ყველამ მხურვალედ უნდა ვუქომაგოთ თბილისის „დინამოს“; მით უმეტეს, რომ მეტოქედ ერთობ სოლიდური, უდიდესი ტრადიციებისა და არანაკლებ მდიდარი წარსულის მქონე, სერბული „ცრვენა ზვეზდა“ ეყოლება. ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს“ სახელოვან მოწინააღმდეგეზე „ლელოს“ გუშინდელ ნომერში დაწვრილებით ვისაუბრეთ. ახლა მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ცრვენა ზვეზდამ“ ორივე მატჩი მოუგო თავის მეტოქეს, სლოვენიურ „რუდარს“ (1:0, 4:0). ამ ბოლო შეხვედრაში, სერბეთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ლუპკო პეტროვიჩმა** ასეთი შემადგენლობა დააყენა:

**პავლოვიჩი - იგნატიევიჩი, ტუტორიჩი, ჯორჯევიჩი, ნინკოვი - ლაზეტიჩი (76. კადუ), სავიო, ისა, ბოგდანოვიჩი (80. ნიკოლიჩი) - პეროვიჩი (69. იევტიჩი), ლეკიჩი.**

პირველი გოლი 37-ე წუთზე 23 წლის ვლადიმირ ბოგდანოვიჩმა გაიტანა, მეორე ტაიმში კი თავი შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა გამოიჩინეს: 24 წლის **ალექსანდრე იევტიჩმა** და 22 წლის ბრაზილიელმა **კადუმ**. მოკლედ, ჩვენს მეტოქეზე, ვფიქრობთ, საკმარისზე მეტიც ვისაუბრეთ და იმედია, „დინამო“ ამ ორრაუნდიან დაპირისპირებაში ქართული გუნდებისათვის დამახასიათებელ უსიამოვნო ტრადიციას დაარღვევს. საქმე კი იმაშია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი გუნდები როცა კი ევროტურნირებზე ყოფილი იუგოსლავიის გუნდებს ხვდებოდნენ, თითქმის ყოველთვის უშანსოდ იყვნენ! აი, გადახედეთ სტატისტიკას და თავად დარწმუნდებით: ხან, **დრაგან ისაილოვიჩი** გვამწარებდა, ხან - **პერიცა ოგნიენოვიჩისა** და **მილენკო აჩიმოვიჩის** დუეტი; ისე, სერბეთის გუნდებთან ნაგებას კიდევ „არა უშავდა“, აი, მაკედონიის „ცემენტარნიცა“ რომ ჩვენს გუნდს ორივე შეხვედრაში ოთხოთხ გოლს გაუტანდა, ეს იყო საწყენი...

...“დინამო“ ჩვეული გრაფიკით ემზადება ხუთშაბათის მატჩისთვის. შეგახსენებთ, რომ „დინამოსა“ და „ცრვენა ზვეზდას“ შეხვედრა 30 ივლისს, 18 საათზე დაიწყება. სიახლეა ისიც, რომ ამ მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ტელეკომპანია „იმედი“ უჩვენებს. სტუმრები საქართველოში მატჩის წინა დღეს, 17 საათზე ჩარტერული რეისით ჩამოდიან და გეზს მაშინათვე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონისკენ აიღებენ. - ოთხშაბათს, 29 ივლისს 18 საათზე ლუპკო პეტროვიჩი წინასამატჩო ვარჯიშს ჩაატარებს.

აი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** კი თავის შეგირდებს იმავე დღეს 17 საათზე ავარჯიშებს. რა თქმა უნდა, ასეთ სოლიდურ მეტოქესთან პაექრობის წინ, ამ გუნდის ყველა ძლიერი და სუსტი მხარე ზედმიწევნით უნდა შეისწავლო. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა კიდეც „ცრვენა ზვეზდა“-“რუდარის“ მატჩზე, ჩვენი „მზვერავის“, „დინამოს“ სპორტული კოორდინატორის **გია ჯიშკარიანის** დასწრებაც. ამასობაში კი „დინამოში“ რამდენიმე სიახლეც არის. ჯერ ის უნდა ვთქვათ, რომ გუნდი დატოვა ორივე პოტენციურმა ახალწვეულმა: ხორვატმა **ანტე იურევიჩმა** და ბელგიელმა **დამიენ მიკელიმ**. ოღონდ, წასვლის მიზეზი სხვადასხვა იყო: ხორვატი, არასათანადო სპორტული ფორმის გამო დაიწუნეს, ბელგიელი კი სამშობლოში... ოჯახური პრობლემების გამო დაბრუნდა. არადა, ფეხბურთელსაც და კლუბის ხელმძღვანელობასაც ურთიერთთანამშრომლობის სურვილი ჰქონდათ; თუმცა იურევიჩისა და მიკელის წასვლა ნამდვილად არ არის მნიშვნელოვანი მოვლენა, რასაც ვერ ვიტყვით... **დონალდ ჯუისის** გუნდიდან გაქცევაზე! ჰო, სხვანაირად, აბა, როგორ უნდა შეფასდეს ჭაბუკი კამერუნელი ფორვარდის საქციელი, ვინც ასეთი უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ გუნდიდან თვითნებურად წავიდა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ჯუისის მტკიცებით, იგი კამერუნის 20-წლამდე ნაკრებშია გამოძახებული; არადა, „დინამოში“ ამის შესახებ კამერუნის ფეხბურთის ფედერაციიდან ოფიციალური მიწვევა არ მისულა; და, საერთოდაც: ამჟამად ნამდვილად არ არის ფიფას მიერ დადგენილი სანაკრებო დღეები.

რაღა თქმა უნდა, საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ მომხდარის შესახებ ფიფას შესაბამის სტრუქტურებს საქმის კურსში ჩააყენებს და ფეხბურთელის მიმართ იმავე ფიფას კანონმდებლობით გათვალისწინებულ სანქციებსაც გაატარებს. მაგრამ ეს არ არის მთავარი; აქ უფრო მორალურ მხარეზეა ლაპარაკი - ჯუისს, საქართველოში ყოფნის 3 წლის განმავლობაში, „დინამოს“ ხელმძღვანელობისგან, მწვრთნელებისა თუ თანაგუნდელებისგან, ყურადღებისა და სითბოს მეტი არაფერი უნახავს. თანაც, მთავარი მწვრთნელის პოსტზე კახა კაჭარავას დანიშვნის მერე, ჯუისი (მარტში რომ შეუსრულდა 19 წელი) სულაც „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი ფეხბურთელიც გახდა. ახლა, ალბათ ვილაც-ვილაცები... რასიზმშიც დაგვდებენ ბრალს, მაგრამ მაინც უნდა ითქვას: ხშირ შემთხვევაში, უცხოელებს მეტისმეტად ვანებივრებთ და ვეფოფინებით, სანაცვლოდ კი, ასეთ რამეს ვილებთ. არა უშავს, საბედნიეროდ, ქართული ფეხბურთი... ჯუისით არც დაწყებულა და არც არასდროს დასრულდება...

**გია ტუხაშვილი**



22 აგვისტო 1998 წელი. ცრვენა ზვევდა ფოთში, ფაზისის სტადიონზე, კოლხეთთან მატჩის წინ



დონალდ ჯუისი

## ყველა საევროტურნირო მატჩი ქართულ და ყოფილი იუგოსლავიის გუნდებს შორის

### თასების მფლობელთა თასი

#### წინასწარი ეტაპი

**ოზილიჩი (იუგოსლ.)-ბათუმი 0:1**

10.08.95. ბელგრადი. ცრვენა ზვეზდა. 16 000 მაყურებელი.

0:1 მაჭუტაძე (71)

ბათუმი: ბალაძე - შანიძე, შეყილაძე, მ. მახარაძე, მალანია - ტულუში (75. ლლონტი), თორლაშვილი (65. ა. მუჯირი), სიჭინავა, მინდაძე - მაჭუტაძე, უჯმაჯურიძე.

**ბათუმი-ოზილიჩი 2:2**

24.08.95. ბათუმი. ცენტრალური. 25 000 მაყურებელი

0:1 შარანცი (8), 0:2 პოპოვიჩი (33), 1:2 მაჭუტაძე (60), 2:2 ა. მუჯირი (82)

ბათუმი: ბალაძე - შანიძე (78. კანტიძე), შეყილაძე, მ. მახარაძე, მალანია (46. ლლონტი) - ტულუში, თორლაშვილი, სიჭინავა (46. ა. მუჯირი), მინდაძე - მაჭუტაძე, უჯმაჯურიძე.

გაფრთხილება: შანიძე; ნოვიჩი, ზოიჩი, შარანცი, პოპოვიჩი, მარკოვიჩი

### უეფას თასი

#### წინასწარი ეტაპი

**ვარდარი (მაკედ.)-სამტრედია 1:0**

08.08.95. სკოპიე. მაკედონია. 5000 მაყურებელი

1:0 ნიკოლოვსკი (8)

სამტრედია: გრ. ჭანტურია - ბერაძე, გუჩუა, ცომაია, გ. ჯიშკარიანი - დ. ჯანაშია, გ. დარასელია, ტყავაძე, ჩხაიძე - ზ. ჯანაშია, იონანიძე.

გაფრთხილება: ცომაია, გუჩუა

**სამტრედია-ვარდარი 0:2**

22.08.95. ბათუმი. ცენტრალური. 17 000 მაყურებელი

0:1 სერაფიმოვსკი (19), 0:2 პეტროვსკი (37)

სამტრედია: გრ. ჭანტურია - ბერაძე, გუჩუა, ცომაია, მ. ჯიშკარიანი (46. ზ. ჯელაძე) - დ. ჯანაშია (63. ამაშუკელი), გ. დარასელია, გოგიაშვილი (46. ბ. დარასელია), ჩხაიძე - ზ. ჯანაშია, იონანიძე.

გაფრთხილება: ჯიშკარიანი, ზეკირი

### ინტერტოტოს თასი

**კოლხეთი (ფ.)- ზემუნი (იუგ.) 2:3**

29.06.96. ბათუმი. ცენტრალური. 5 000 მაყურებელი

1:0 ბ. ამბიძე (3), 1:1 ისაილოვიჩი (9), 1:2 ისაილოვიჩი (25), 1:3 ოსუნი (27), 2:3 კიკლიაშვილი (68)

კოლხეთი: მ. გვასალია (46. გოგუა) - მიქაბერიძე, კაკაჩია, შ. ხუჯაძე, ქუნთელია - ლალანიძე, სოლოლაშვილი, კიკლიაშვილი, გახოკიძე - ბ. ამბიძე (46. გიორგაძე) - გაბისონია (81. ყულეჯიშვილი).

გაფრთხილება: სოლოლაშვილი, კიკლიაშვილი

### თასების მფლობელთა თასი

#### საკვალიფიკაციო ეტაპი

**პარტიზანი (იუგოს.)-ბათუმი 2:0**

13.08.98. ბელგრადი. პარტიზანი. 8 500 მაყურებელი.

1:0 ბეკოვიჩი (17), 2:0 ილიჩი (33)

ბათუმი: ტოგონიძე - პაპიძე, მ. მახარაძე, ვერემჩუკი, მინდაძე (46. ლლონტი) - ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, კანტიძე (57. გადელია), ტულუში - რუსია, ტულუში.

გაძევება: რუსია

**ბათუმი-პარტიზანი 1:0**

27.08.98. ბათუმი. ცენტრალური. 12 000 მაყურებელი

1:0 სიჭინავა (28)

ბათუმი: ტოგონიძე - პაპიძე, მ. მახარაძე, ვერემჩუკი, ლლონტი - ყულეჯიშვილი, სიჭინავა, კანტიძე (46. მაქაცარია), ტულუში - მაჭუტაძე, გადელია (85. აფხაზავა).

გაფრთხილება: სიჭინავა, პაპიძე, გადელია; რაშოვიჩი, კეჟმანი, სტოიანოვსკი.

### უეფას თასი

#### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

**კოლხ. (ფ.)-ცრვენა ზვ. (იუგ.) 0:4**

22.08.98. ფოთი. „ფაზისი“. 5 000 მაყურებელი

0:1 ოგნიენოვიჩი (20), 0:2 აჩიმოვიჩი (55), 0:3 პანტელიჩი (63), 0:4 აჩიმოვიჩი (75)

კოლხეთი: ქვაჩახია - გიორგაძე, ტორჩინავა, ქობულაძე, გიორგობიანი - ლალანიძე, ინალიშვილი, დ. ნოზაძე (74. სუხიაშვილი), ე. გვასალია - მიქაბერიძე (46. დ. მახარაძე), ნივნივაძე (37. კალანდაძე).

გაფრთხილება: გვასალია

**ცრვენა ზვეზდა-კოლხეთი 7:0**

29.07.98. ბელგრადი. მარაკანა. 7 000 მაყურებელი

1:0 პანტელიჩი (28), 2:0 ოგნიენოვიჩი (45), 3:0 ოგნიენოვიჩი (47), 4:0 გოიკოვიჩი (54), 5:0 მიჩიჩი (57), 6:0 მიჩიჩი (69), 7:0 მიჩიჩი (90)

კოლხეთი: ქვაჩახია - ქობულაძე, ტორჩინავა, ქუტიძე (64. ჯ. შალამბერიძე), ქუნთელია - ლალანიძე, დ. ნოზაძე (75. ნივნივაძე), ინალიშვილი, ე. გვასალია (59. გიორგაძე) - დ. მახარაძე, კალანდაძე.

გაფრთხილება: ქუტიძე, ქობულაძე

### ინტერტოტოს თასი

**ცემენტარნ. (მაკ.)-კოლხ. (ფ.) 4:2**

19.06.99. სკოპიე. ვარდარი. 2 000 მაყურებელი

1:0 სერაფიმოვსკი (13), 1:1 გ. დარასელია (20), 1:2 ხუჭუა (26), 2:2 რისტოვსკი (35), 3:2 სერაფიმოვსკი (45), 4:2 ვუიოვიჩი (89)

კოლხეთი: მ. გვასალია - გოროზია, ტორჩინავა, ჯ. შალამბერიძე, გიორგაძე (46. შავგულიძე - ლალანიძე, გ. დარასელია, ამაშუკელი (73. ჩომახიძე), ე. გვასალია - ხუჭუა, ტრაპაიძე (34. ჩადუნელი).

გაფრთხილება: სერაფიმოვსკი, მილევსკი, ცვეტკოვსკი, ხუჭუა

**კოლხეთი-ცემენტარნიცა 0:4**

26.06.99. ფოთი. ფაზისი. 2 500 მაყურებელი

0:1 როსტოვსკი (21), 0:2 ე. გვასალია (32-საკ. კარში), 0:3 სერაფიმოვსკი (36), 0:4 ლაზარევსკი (53)

კოლხეთი: მ. გვასალია - გოროზია (46. გიორგაძე), ტორჩინავა, ჩადუნელი, ჯ. შალამბერიძე - ლალანიძე, გ. დარასელია, ჩომახიძე (35. ტრაპაიძე), ე. გვასალია - ხუჭუა, ჯულელი (69. შავგულიძე).

გაფრთხილება: გოროზია, შალამბერიძე, ცვეტკოვსკი, ტრიპკოვსკი.

### ჩემპიონთა ლიგა

#### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

**ცრ. ზვეზდა (იუგ)-ტორპედო (ქ.) 4:0**

26.07.2000. ბელგრადი. მარაკანა. 15 000 მაყურებელი

1:0 დრულიჩი (24), 2:0 ბოშკოვიჩი (37), 3:0 პიანოვიჩი (39), 4:0 დრულიჩი (90)

ტორპედო: ზოიძე - ახვლედიანი, ხვადაგიანი, მახვილაძე, არჩვაძე - დ. ჯანაშია (46. კვეტენაძე), სიჭინავა, გუჩუა, კ. ჩხეტიანი - გ. მეგრელაძე (46. იმედაძე), იონანიძე (77. ბობოხიძე).

გაფრთხილება: ილიჩი, ლალატოვიჩი; ახვლედიანი, კვეტენაძე, მახვილაძე

**ტორპედო-ცრვენა ზვეზდა 2:0**

02.08.2000. ქუთაისი. ტორპედო. 10 000 მაყურებელი

1:0 იმედაძე (42), 2:0 ჯანაშია (90)

ტორპედო: ზოიძე - ახვლედიანი (68. თურმანიძე), ხვადაგიანი, მახვილაძე, არჩვაძე - დ. ჯანაშია, სიჭინავა, გუჩუა, ჩხაიძე - იმედაძე (65. გ. მეგრელაძე), იონანიძე (80. მ. ასათიანი).

გაფრთხილება: არჩვაძე, იმედაძე, ვიტაკიჩი

### ჩემპიონთა ლიგა

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

**ვიტ ჯორჯ.-მარიბ. (სლოვენ) 0:0**

15.07.2009. თბილისი. მიხეილ მესხი. 5 000 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი - კახელიშვილი (90. ყველაშვილი), ვ. კვარაცხელია (67. ბერიაშვილი), ლიპარტია (64. ზაქრაძე).

გაფრთხილება: რაზმაძე, კვარაცხელია, კლიმიაშვილი, ზაქრაძე; ლუნდერი, შკოლნიკი

გაძევება: კლიმიაშვილი

**მარიბორი-ვიტ ჯორჯია 3:1**

22.07.2009. მარიბორი. ლიუდსკი. 5 000 მაყურებელი

1:0 ბუნდერლა (9), 2:0 ტავარეში (19), 2:1 კვარაცხელია (45), 3:1 მიპელიჩი (85)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - კახელიშვილი, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, ჯანელიძე - ვ. კვარაცხელია, ლიპარტია (81. ზაქრაძე).

გაფრთხილება: შკოლნიკი, ჯინიჩი, იურკიჩი; ლომაია, დათუნაიშვილი, კახელიშვილი, კვარაცხელია

*ქართული და ყოფილი იუგოსლავიის გუნდებს შორის დაპირისპირებაში აშკარა უპირატესობას ბალკანელები ფლობენ. ჩვენებს მხოლოდ 3 მოგება აქვთ, პლუს 2 ფრე და 10 მარცხი. ბურთების სხვაობაშიც იუგოსლავები გვჯობნიან: 36-11.*

ტრანსფერის მოლოდინში

# კუტალია: სლავია ნახევარ მილიონს ითხოვს

## ბოსნიელებმა ქართველი ნაკრებში არ გამოუშვეს

ლევან კუტალია საქართველოში უცნობი ფეხბურთელია, მაგრამ მისი ბოლოდროინდელი გამოსვლებიდან უნდა დავასკვნათ, რომ ამ ბიჭს დიდი მომავალი აქვს. ბოსნიის ვიცე-ჩემპიონმა, სარაევოს „სლავიამ“ ქვეყნის თასი 20 ქართველი ნახევარმცველის დუბლის წყალობით მოიპოვა, სულ ახლახან კი ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დანიის „ოლბორგთან“ ბოსნიელთა წარმატებას სათავე 37-ე წუთზე სწორედ მის მიერ გატანილმა გოლმა დაუდო. დანიაში ფრედ (0:0) დასრულებული მატჩის შემდეგ ბოსნიელებმა შინ 3:1 გაიმარჯვეს და შემდეგ წრეში გავიდნენ, სადაც „ზესტაფონის“ მძლეველ „ჰელსინგბორგს“ შეხვდებიან. კუტალიას ამ და სამომავლო ამბებზე ვესაუბრებით:

**- ლევან, იქნებ ორიოდ სიტყვით გაიხსენოთ „ოლბორგთან“ მატჩში გატანილი გოლი და საერთოდ, ამ თამაშების პერიპეტიები...**

- ტრაბახით არ ვამბობ, მაგრამ მართლაც ლამაზი გოლი გავიტანე - შორიდან, დაახლოებით 11-მეტრიანის ნიშნულიდან დავარტყი თავით და გოლის შემდეგ მაისურა გავიძრე. ამის გამო მსაჯმა ყვითელი ბარათი მიჩვენა, თუმცა იმ მომენტში ამას არ ვჩიოდი - მთავარი ის იყო, რომ ძალიან სოლიდურ კლუბს მოვუგეთ და მესამე წრეში გავედით. სხვათა შორის, გატანა დანიაშიც შემეძლო, მაგრამ ბურთი ძელს მოვარტყი.

**- „ოლბორგი“ ნამდვილად სოლიდური გუნდია, ბოლო პერიოდში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც თამაშობდა და სიმართლე გითხრათ, „სლავიას“ გამარჯვება სიურპრიზად მივიღეთ...**

- ჩვენთვისაც სიურპრიზი იყო. შარშან, ჩემპიონთა ლიგაში, „ოლბორგმა“ სტუმრად ფრედ ითამაშა „სელტიკთან“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“, შინ კი „ვილიარეალი“ და იგივე „სელტიკი“ დაამარცხა.


ლევან კუტალია

„სლავიას“ ამ დონეზე დღემდე არ უთამაშია, ევროპაში განსაკუთრებული წარმატებებით ვერ დაიკვეხნის და ბუნებრივია, შიში გვქონდა. თუმცა დანიაშიც ძალიან კარგად ვითამაშეთ, სარაევოში კი მეტოქე ბურთს არ გავაკარეთ. სხვათა შორის, მწვრთნელმა თამაშამდე საკმაოდ დამაბნია, რადგან ერთადერთ ფორვარდად მე დამაყენა. არადა, აქამდე მარცხენა და მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ვთამაშობდი. სოლიდურ კლუბს ვხვდებოდით და თამაშამდე ცოტა კი ვინერვიულე. საბოლოოდ, ყველაფერი კარგად აეწყო. ეგ კი არა, გოლის გატანიდან ერთ წუთში დუბლის შესრულებაც შემეძლო, ორი მცველი მოვატყუე და მეკარესთან პირისპირ გავედი, მაგრამ... ამილო. ბავშვივით გამიხარდა, ამ დროს კი ტრიბუნაზე ყვიროდნენ - „ლევან, ლევან“! ფეხბურთელისთვის ამაზე მეტი ბედნიერება არ არსებობს.

**- სეზონის დაწყებამდე რამდენიმე ევროპული კლუბი გიწვევდათ. როგორც ჩანს, ბოსნიაში კიდევ ერთ წელწადს გაატარებთ.**

- ევროპაში ჯერ სატრანსფერო ფანჯარა არ დახურულა და ასე გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ მომავალ სეზონსაც „სლავიაში“ დავიწყებ. „ოლბორგთან“ მატჩის შემდეგ ჩემით რამდენიმე ახალი კლუბი დაინტერესდა. სარაევოში იყო და მაკვირდებოდა თურქეთის ვიცე-ჩემპიონ „სივასფორის“ წარმომადგენელი. მენეჯერმა მითხრა, რომ ჩვენს პრეზიდენტს მატჩის შემდეგ ზაგრების „დინამო“, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“, „ლუცერნი“ და დანიელებიც დაელაპარაკნენ. „ოლბორგის“ მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე პირდაპირ თქვა - კუტალიას სიამოვნებით ავიყვანდიო. თუმცა „სლავია“ და ჩემი მენეჯერი საკმაოდ დიდ თანხას - ნახევარ მილიონ დოლარს ითხოვენ და არ ვიცი, ამ ფასს ვინ გადაიხდის.

**- რაც შეეხება ნაკრებს. ოთარ გაბელია თქვენს მიწვევას აპირებდა, მაგრამ ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე არ წაგიყვანეს...**

- ევროპის ლიგის მატჩი გვქონდა და „სლავიამ“ არ გამიშვა. მინდოდა, მეორე მატჩისთვის მაინც ჩავსულიყავი ბულგარეთში, მაგრამ... ამაზეც უარი მითხრეს. თუმცა ამით არაფერი წყდება - 26 აგვისტოს ამხანაგური მატჩი გვაქვს ლიტვასთან, 5 სექტემბერს კი, უკვე შესარჩევში, თურქეთს ვეთამაშებით და წესით, უნდა ჩამოვიდე. დიდი სურვილი მაქვს, ბოლოს და ბოლოს საქართველოს ნაკრების ფორმით ვითამაშო...

**მერაბ მამულაშვილი**

უეფა

## ქართველებს ენდობიან...

ქართველ სპეციალისტებს უეფაში ენდობიან და საპასუხისმგებლო მისიებსაც აკისრებენ. მაგალითად, ივნისის ბოლოს, შვედეთში გამართულ 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე, **დავით პეტრიაშვილი** უსაფრთხოების ოფიცრის მოვალეობას ასრულებდა. ამის შემდეგ მინსკის „ტრაქტორის“ სტადიონზე ევროპის ლიგის მატჩს უხელმძღვანელა, მერე კი მონაწილეობა მიიღო ეგვიპტეში გამართულ უეფას დირექტორთა შეკრებაში.

ახლა კი, მოგეხსენებათ, უკრაინაში მიმდინარეობს ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი. იქ მედია-ჯგუფს **მამუკა კვარაცხელია** ხელმძღვანელობს. უკრაინაში ჩემპიონატმა ძალზე დიდი ინტერესი გამოიწვია. დონეცკსა და მარიუპოლში ამ რანგის პირველობებისთვის ჟურნალისტთა სარეკორდო რაოდენობაა აკრედიტებული - 130. ფინალური მატჩის შემდეგ, რომელიც დონეცკის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება, კვარაცხელია ამავე ქალაქში ახალაშენებულ „დონბას-არენას“ (მისი აშენება 150 მილიონი ევრო დაჯდა) შეამოწმებს.

ამის შემდეგ, კვარაცხელია იმავე მისიით კიევში გაემგზავრება, სადაც ჩემპიონთა ლიგაში კიევის „დინამოს“ საშინაო მატჩზეა დანიშნული. აგვისტოში კი უეფას ქართველი მედიაოფიცერი მონაკოში, „ბარსელონასა“ და „შახტარს“ შორის ევროპის სუპერთასის მატჩში პრესას უხელმძღვანელებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# კვარაცხელია სამეულსა და ნაკრებში?

## ხაჩიძე მოგილიოვის დნეპრში ჩაირიცხა


მარცხნივ - გივი კვარაცხელია

მინსკის „მტზ-რიპოს“ ფანებს შორის ქართველი ნახევარმცველი **გია კვარაცხელია** დიდი პოპულარობით რომ სარგებლობს, კიდევ ერთხელ დადასტურდა. 29 წლის საყრდენი ნახევარმცველი ბელარუსულ კლუბში შარშან აპრილში ჩაირიცხა და მას მერე ოთხჯერ დაასახელეს კლუბის თვის ფეხბურთელად. მაისში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად კი კვარაცხელიამ გულშემატკივართა 20.7 პროცენტის სიმპათია დაიმსახურა და ბრაზილიელ ლეგიონერ **რაფაელ ლედესმას** (18.6%) გაუსწრო. მესამე ადგილზე მეკარე **საშა სულიმა** (15.2%) გავიდა.

ამჟამად მინსკის „მტპ-ზიპოს“ ოფიციალური ვებგვერდი გულშემატკივრებში მორიგ გამოკითხვას ატარებს, რათა გაარკვიოს - ვინ არის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელი. ჯერჯერობით სულიმა ლიდერობს (18.6%), მეორეზეა ბელარუსის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **ნიკოლაი რინდიუკი** (17.5%), რომელიც მინსკის კლუბიდან პირველი წრის შემდეგ გაუშვეს. 16.8 პროცენტით კვარაცხელია ჯერჯერობით მესამეზეა. გამოკითხვა მალე დასრულდება.

ახლა კლუბის კაპიტანი მეკარე საშა სულიმაა. სწორედ მისმა ერთწლიანმა დისკვალიფიკაციამ განაპირობა კაპიტნად კვარაცხელიას არჩევა. ახლა ქართველი ვიცე-კაპიტანია. სხვათა შორის, კვარაცხელია, როგორც თავად გვითხრა, ძალზე გახარებულია **ექტორ კუპერის** მხრიდან გამოვლენილი ყურადღებით.

*„რამდენი ხანია, ნაკრებში არ მითამაშია, ჩემით არც ინტერესდებოდნენ... ამიტომაც მოულოდნელი აღმოჩნდა კუპერის თარჯიმნის ნიკა სახვაძის ზარი. მან მთავარი მწვრთნელის ნათქვამი გადმომცა - კუპერის თვალთახედვის არეში ხარ, გაკვირდებაო. შესაძლოა, პირველივე ოფიციალური შეხვედრისთვის არ გამოგიძახოს, მაგრამ უახლოეს პერიოდში კიდევ იგეგმება ამხანაგური თამაშები და იქ გნახავსო. ეს იყო მოულოდნელი და სასიამოვნო ზარი, უდიდესი სტიმული გამიჩნდა“,* - გვითხრა კვარაცხელიამ.

ინტერნეტგვერდ „სოკერვეიზე“ წავაწყდით ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც კვარაცხელია ლიტვის მოქალაქეა. იცით, ალბათ, გია ლიტვაში წლების განმავლობაში თამაშობდა, მეუღლეც იქაური ჰყავს და შვებულებასაც ბალტიისპირეთში ატარებს. ცხადია, მოქალაქეობის ამბავი თავად კვარაცხელიასთან გადავამოწმეთ. მან ეს კატეგორიულად უარყო და უბრალო შეცდომად მიიჩნია.

დღემდე „მტზ-რიპოში“ ორი ქართველი ირიცხებოდა - გია კვარაცხელია და ბათუმის „დინამოს“ ყოფილი თავდამსხმელი **არჩილ ფარტენაძე**. როგორც შევიტყვეთ, კლუბში კიდევ ერთი ჩვენებური - 19 წლის თავდამსხმელი **თორნიკე ხაჩიძე** ვარჯიშობდა. ხაჩიძე გასულ წელს ბრაზილიაში იმყოფებოდა და „ატლეტიკო პარანაენსეში“ ნახევარწლიანი სტაჟირებაც გაიარა. საბოლოოდ, ის მოგილიოვის (ბელარუსი) „დნეპრში“ აღმოჩნდა და ამ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**მერაბ მამულაშვილი**


გიორგი ივანიშვილი

## ივანიშვილმა ვოლენში დაიწყო

ეს სეზონი ორ ქართველ ფეხბურთელს უნდა დაეწყო შვეიცარიაში - აქსპო სუპერლიგის „არაუში“ განათხოვრების წესით 19 წლის **დავით თარგამაძეს** უნდა ეთამაშა, ხოლო ჩელენჯლიგის „ვილში“ ასევე იჯარის წესით მის თანატოლ **გიორგი ივანიშვილს** უნდა ესპარეზა. თარგამაძემ რამდენიმე დღე გაატარა „არაუში“, ერთ სპარინგში ითამაშა, შემდეგ კი ისევ „ფრაიბურგს“ დაუბრუნდა და ბოლო სპარინგში გოლიც გაიტანა. მისი საკითხი ჯერ ღიადაა.

რაც შეეხება ივანიშვილს, ეს ფორვარდი ჩემპიონ „ციურიხის“ წევრია, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ჯერჯერობით ვერ ხვდება, ამიტომ კლუბმა გადაწყვიტა მისი „ვილში“ განათხოვრება. ივანიშვილმა რამდენიმე ტესტმატჩში ითამაშა, გოლიც გაიტანა და... გაქრა „ვილის“ რიგებიდან.

ამ უქმეებზე „ვილი“ ჩელენჯლიგის პირველ ტურში „ვოლენს“ ესტუმრა და 2:1 მოუგო. გაგიკვირდებათ და, ივანიშვილმა ამ შეხვედრაში ითამაშა... „ვოლენის“ შემადგენლობაში. მან 81-ე წუთზე ბოსნიელი მცველი **სემირ ძომბიჩი** შეცვალა, თუმცა დარჩენილ წუთებში გუნდს ვერაფრით დაეხმარა. ივანიშვილი და კიდევ ერთი ფეხბურთელი „ვოლენმა“ ჩემპიონატის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე დაიმატეს, რადგან გუნდმა ბოლო ტესტმატჩში ცუდად ითამაშა. აი, რას ამბობს „ვოლენის“ თავკაცი **მარტინ რუედა:**

*„ივანიშვილი ჩვენი გუნდისთვის კარგი ფეხბურთელია, სწრაფი. მას შეუძლია ნახევარდაცვასა და თავდასხმაში თამაში და ამ პოზიციებზე გაგვაძლიერებს“.*

ივანიშვილი „ვოლენში“ 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მილანური ამბები

# ამხანაგურ დერბიში ინტერმა იძალა

## გატუზო: ფეხბურთელები კიდევ გვჭირდება

„მილანის“ მესვეურები ახალ ფეხბურთელებში დიდძალი თანხის გადახდას არ აპირებენ და ეს მათ არაერთხელ განაცხადეს. ამის ნათელი დადასტურებაა კლუბის პრეზიდენტის სიტყვები. სილვიო ბერლუსკონიმ მასმედიასთან ასეთი რამ თქვა:

*„კაკა იმიტომ არ გაგვიყიდია, რომ ეს თანხა სხვა ფეხბურთელებში დაგვეხარჯა. უკეთესს მაინც ვერავის ვიყიდით და მაშინ, საერთოდ არ გავუშვებდით ბრაზილიელს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაძლიერებაზე ხელი ავიღეთ და ფეხბურთელების ყიდვას არ ვაპირებთ. უბრალოდ, მინდა ყველამ იცოდეს, რომ „მილანი“ ამ ზაფხულს 40-50 მილიონ ევროს არავისში გადაიხდის“.*

### გატუზოს ამაო ლოდინი

ერთი სიტყვით, „როსონერის“ ტიფოზები უნდა შეეგუონ იმ ფაქტს, რომ მეგავარსკვლავი ამ ზაფხულს გუნდს არ შეემატება. ტიფოზები შესაძლოა შეეგუენ კიდეც, მაგრამ **ჯენარო გატუზო** არ ნებდება და კლუბის მესვეურებს აქტიურობისკენ მოუწოდებს:

*„ჩვენი გუნდი საკმაოდ კონკურენტუნარიანია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ რამდენიმე რგოლში გაძლიერება არ გვაწყენდა. ჩემი აზრით, ცენტრალური მცველი და თავდამსხმელი გვჭირდება, რომ „მილანი“ სრულფასოვნად დაკომპლექტებული გუნდი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ რაღაც დაგვაკლდება წარმატებების მისაღწევად. ასე რომ, აგვისტოში „მილანის“ მესვეურებისგან საჩუქარს, ან სულაც საჩუქრებს ველოდებით“.*

გატუზომ ახალ მწვრთნელზე და მის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა: *„კარლო ანჩელოტისთან ერთად დიდებული გამარჯვებები მოვიპოვეთ. მასთან ერთად დიდი ეპოქა დასრულდა, რომელიც ყოველთვის კარგად მოგვაგონდება. თუმცა, წინ უნდა გავიხედოთ და ახალი მიზნები დავისახოთ. ლეონარდო ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს და ვფიქრობ, ეს დაუფასდება კიდეც. რაც მთავარია, იცის თავისი საქმე, ეტყობა, რომ წარმატებების მიღწევა შეუძლია. რაც შემეხება მე, „მილანიდან“ არსად წამსვლელი არ ვარ. გასულ ზაფხულს ისეთ წინადადებაზე ვთქვი უარი, რომ ამას იქით, უბრალოდ წარმოუდგენელია, ვინმემ კლუბის გამოცვლაზე დამიყოლიოს. კარიერას „როსონერიში“ დავასრულებ“.*





### მილანური დერბი ამერიკაში

ჯენარომ ეს განცხადება მილანურ დერბიში დამარცხების შემდეგ გააკეთა. დიახ, ამერიკაში მყოფმა ლომბარდიულმა გრანდებმა ამხანაგური შეხვედრა გამართეს, რომელშიც გამარჯვებული „ინტერი“ გამოვიდა“. „ნერაძური“ თითქმის ყველა კომპონენტში სჯობდა მეტოქეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვა, 2:0. მატჩის გმირი **დიეგო მილიტო** გახდა, სწორედ მან გაიტანა „როსონერის“ კარში ორი უპასუხო გოლი. „ინტერი“ მობილური იყო, მოძრავი, თითქოს სეზონი კარგა ხნის გახურებული იყოს და ფეხბურთელებიც ოპტიმალურ ფორმაში გახლდნენ. **ჟოზე მოურინიო** ღიად აცხადებს, რომ მომავალ სეზონში „ინტერი“ კიდევ უფრო ძლიერი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ შავ-ლურჯ ბატალიონს თვით **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ტოვებს. რაც შეეხება „მილანს“, **ლეონარდოს** ხელში ჯერჯერობით ვერ პროგრესირებს. თუმცა, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბრაზილიელი სპეციალისტი სულ ახლახან ჩაუდგა გუნდს სათავეში.

ერთი, რაც იკვეთება, ის გახლავთ, რომ „როსონერის“ თამაში **რონალდინიოზეა** აგებული. როგორც ჩანს, მომავალ სეზონში გაუჩოს ლიდერის ფუნქციების შესრულება მოუწევს. ვერ ვიტყვით, რომ რონი პასიური გახლდათ, პირიქით, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო მილანელთაგან და მეტოქის კარს ყველაზე მეტ ხიფათს სწორედ ის უქმნიდა. თუმცა, მისგან მაინც მეტს ელიან და ეს თავად გაუჩომაც კარგად იცის. სანამ რონალდინიოს და **პატოს** კომენტარებს გაგაცნობდეთ, ერთად გადავხედოთ მილანური გუნდების შემადგენლობებს განვლილ პაექრობაში.

მილანი: **კალაჩი, ძამბროტა (63. ოდო), ონიევუ (63. ნესტა), ტიაგო სილვა, იანკულოვსკი (63. ანტონინი), გატუზო (68. ფლამინი), პირლო (46. აბატე), ამბროზინი, რონალდინიო (68. ოდუამადი), ბორიელო (46. ძიგონი), პატო.**

ინტერი: **ჟულიო სეზარი (85. ტოლდო), მაიკონი (69. სანტონი), ლუსიო (76. მატერაცი), კივუ (73. კორდობა), ძანეტი (90. ობი მიკელი), მუნტარი (76. ბურდისო), დესტრო (87. კამბიასო), მოტა (62. ვიეირა), სტანკოვიჩი (85. კრინი), ბალოტელი (69. მანსინი), მილიტო (76. კვარეშმა).**

### მატჩის შემდგომ

დროა, სიტყვა პატოს გადავცეთ, ვინაც გატუზოსგან განსხვავებით, დარწმუნებულია, რომ წარმატებების მიღწევა ამ შემადგენლობითაც შეიძლება: *„რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ კაკას წასვლა მე და რონალდინიოს ძალიან გაგვიხარდა. თითქოს, ამით ჩვენ კიდევ უფრო გაგვეხსნა გზა საუკეთესო თვისებების წარმოსაჩენად. ასე ნამდვილად არ გახლავთ. პირიქით, რაც მეტი მაღალი კლასის თანაგუნდელი გყავს, მით უკეთესად შეასრულებს თითოეული ფეხბურთელი თავის ფუნქციებს. თუმცა, კაკას გარეშეც შეიძლება დიდი მიზნების მიღწევა და ეს კარგად უნდა გავითავისოთ. პესიმიზმის საფუძველი არ გვაქვს, რადგან გუნდში არაერთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. შესაძლოა ამხანაგურ თამაშებში ვერ ვბრწყინავთ, მაგრამ სეზონის დაწყებამდე დიდი დროა და მდგომარეობას გამოვასწორებთ“.*

რონიმ „ინტერთან“ წაგებულ შეხვედრაზე ილაპარაკა და იმედი გამოთქვა, რომ არსებული ხარვეზები მალე აღმოიფხვრება: *„წუნი ბევრია, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივია. ახალი მწვრთნელი ახალ მოთხოვნებს აყენებს, ახალ სათამაშო დისციპლინას ნერგავს და ეს გარდამავალი პროცესი უმტკივნეულოდ, უბრალოდ, ვერ ჩაივლის. მთავარია, რაც შეიძლება მალე გადავეწყოთ, რომ სეზონის სტარტს მოუმზადებლები არ შევხვდეთ. ფაქტია, რომ ჯერჯერობით ოპტიმალური ფორმისგან ძალიან შორს ვართ. მთავარია, საკუთარი თავის ვირწმუნოთ და ბევრი ვიშრომოთ. პირადად მე, ვგრძნობ, თუ როგორ მიბრუნდება ძალები და მოტივაცია. მჯერა, წინ წარმატებული სეზონი გველის“.*

მასმედიას ორიოდე სიტყვა არც **დუგლას მაიკონმა** დააშურა და განვლილი პაექრობის გარდა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** წასვლაზეც ისაუბრა: *„ძალიან საინტერესო და რაც მთავარია, პროდუქტიული შეხვედრა იყო. საკმაოდ კარგად ვითამაშეთ და ამან ცოტა არ იყოს, გამაკვირვა კიდეც. ბოლოს და ბოლოს, ვარჯიში ახალი დაწყებული გვაქვს და ოპტიმალური ფორმისგან შორს ვართ. პირადად მე, შვებულება სხვებზე დიდხანს მქონდა და ორი-სამი დღის წინ ჩავერთე სრულფასოვანი წვრთნების პროცესში. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ურიგოდ არ გვითამაშია და დამაჯერებლად გავიმარჯვეთ. მთავარია, ტემპი არ დავაგდოთ და ასევე გავაგრძელოთ. რაც შეეხება იბრაჰიმოვიჩს, შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ უმისოდაც ძალიან ძლიერი გუნდი გვეყოლება. რა აზრი აქვს წარსულზე ფიქრს, წინ გავიხედოთ და იმ ფეხბურთელებს დავეყრდნოთ, რომლებიც გუნდში არიან. დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში კიდევ უფრო ძლიერ „ინტერს“ იხილავთ“.*

ტრანსფერი

# ეტოო უკვე ინტერშია!



გუშინ გვიან ღამით **სამუელ ეტოომ** სამედიცინო შემოწმება გაიარა და „ნერაძურისთან“ 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. მხარეებს ორი დღით ადრე ყველაფერი შეთანხმებული ჰქონდათ. ამის შესახებ, გუშინ სამუელის პირადმა აგენტმა **ხოსე მარია მესალესმაც** განაცხადა. მისი თქმით, კამერუნელი უკვე ესაუბრა **ჟოზე მოურინიოს**, რომელმაც შესანიშნავ ატმოსფეროში ჩაიარა. პორტუგალიელს პირდაპირ უთქვამს ეტოოსთვის - შენზე უდიდეს იმედებს ვამყარებო, რომ სურს, **დიეგო მილიტოს** შეუწყვილოს თავდასხმაში და აქცენტი სწორედ მათზე გააკეთოს. კონტრაქტით გათვალისწინებული ხელფასი უბრალოდ ფანტასტიკურია - 11 მილიონი ევრო ყოველწლიურად.

სამუელი გუშინ დილით ჩაფრინდა მილანში, სადაც მას აეროპორტშივე უამრავი გულშემატკივარი შეეგება. ბუნებრივია, კამერუნელი ყურადღების გარეშე არც მასმედიის წარმომადგენლებს დაუტოვებიათ. მიკროფონებით გარშემორტყმულმა ეტოომ შემდეგი განაცხადა:

*„ძალიან მიხარია, რომ ამდენი ხალხი შემეგება. უდიდეს სითბოს ვგრძნობ, რაც ენთუზიაზმს მმატებს. რისთვის ჩამოვედი მილანში? - ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად. დიახ, „ინტერს“ ძალიან დიდი ხანია ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირი არ მოუგია და ეს არასასიამოვნო ტრადიცია უნდა დავარღვიოთ. უდიდესი მოტივაცია მამოძრავებს. მსურს, „ნერაძურისთან“ ერთად ყველაფერი მოვიგო. რას ვიტყვი მასიმო მორატიზე? - მხოლოდ ერთს, მას უდიდესი საფეხბურთო გული აქვს“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ტრანსფერის ექო

# ზაფხულის უდიდესი გარიგება

## ღირს თუ არა ზლატან იბრაჰიმოვიჩი 100 მილიონი ევრო?



**გუშინ „ბარსელონამ" ზლატან იბრაჰიმოვიჩი წარადგინა, მილანის „ინტერმა" კი სამუელ ეტოო. ამ უკანასკნელს მილანში დღესხვალ ალექსანდერ გლებიც უნდა გაჰყვეს - ისიც იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერის ხურდაში, ცხადია, ფულთან ერთად. დიდ ფულთან ერთად! მაშ ასე: წლის და ზოგადად სატრანსფერო ისტორიის ყველაზე დიდი გარიგება შედგა და ვინც ფიქრობდა, რომ კაკასა და კრისტიანო რონალდოს „რეალში" ტრანსფერების შემდეგ, ასეთი ძვირადღირებული გარიგება აღარ განხორციელდებოდა, აღმოჩნდა, რომ სასტიკად შეცდა. რამდენად აზრიანია „ბარსელონას" საქციელი ან ხომ არ არის ეს „რეალის" ჯიბრზე გადადგმული ნაბიჯი? დათმო ეტოო, გლები და 48 მილიონი ევრო ზლატანის სანაცვლოდ - რა ვიცით, რა ვიცით...**

„ბარსელონას" მაღაზიებში **ლეო მესისა** და **ტიერი ანრის** მაისურები ძველებურად კარგად იყიდება, მაგრამ აგერ უკვე რამდენიმე დღეა, რაც კატალონიის მთავარ ქალაქში სულ სხვა მაისურებზე მიდის განსაკუთრებული ნადირობა. მართალია, იბრაჰიმოვიჩის ოფიციალური მაისურა „ბარსას" ლოგოთი აქამდე არ არსებობდა, მაგრამ ბარსელონაში უკვე ათასობით ისეთი მაისურა გაიყიდა, რომელსაც აწერია: 9. ZLATAN

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, წლევანდელი სატრანსფერო ზაფხული არანორმალურად აქტიური გამოვიდა. ამრიგად, წლევანდელ ზაფხულს ყველაზე ძვირადღირებული გარიგება შედგა - გარიგება, რომელმაც მადრიდის „რეალის" არანორმალური ტრანსფერებიც კი ჩრდილში მოაქცია. „ინტერმა" იბრაჰიმოვიჩი დათმო, „ბარსამ" კი ეტოო, გლები და დაახლოებით 48 მილიონი ევრო.

*„ეს ამ ზაფხულის ყველაზე არანორმალური და საინტერესო გარიგებაა,* - ამბობს „ინტერის" თავკაცი **ჟოზე მოურინიო** და იქვე დასძენს, - *ჩემი აზრით, ზლატანი 100 მილიონი ევრო ღირს, თუმცა ამ გარიგებიდან მოგებული მაინც „ინტერია", რადგან სამუელ ეტოოსაც 100 მილიონად ვაფასებ!"*

შეიძლება, მოურინიოს ბევრი არ დაეთანხმოს იმაში, რომ ეტოოს ფასი იბრაჰიმოვიჩის ფასის იდენტურია, მაგრამ პორტუგალიელს (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე) თითქმის ყველა ექსპერტი ეთანხმება იმაში, რომ ამ გარიგებით „ინტერმა" უფრო მოიგო, ვიდრე „ბარსელონამ". და მოდით, კითხვა ჩვენც ასე დავსვათ: მაინც, რატომ წავიდა კატალონიური გრანდი ასეთ გარიგებაზე?

რამდენიმე დღის წინ, გასული სეზონის ტრიუმფატორი „ბარსა" პრიმერადივიზიონში ამაღლებულ „ხერესთან" ერთად, ერთადერთი ესპანური კლუბი იყო, რომელსაც ახალ ფეხბურთელებში ერთი ცენტიც კი არ ჰქონდა დახარჯული. მერე შედგა **მაქსველის** ტრანსფერი, რის შემდეგაც კატალონიური გიგანტის პრეზიდიუმმა იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერსაც მწვანე შუქი აუნთო. კატალონიელთა ამ ნაბიჯს ბევრი „რეალის კომპლექსს" უწოდებს, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბარსელონას" პუბლიკა ყოველწლიურად მინიმუმ ერთი ახალი სუპერვარსკვლავის პრეზენტაციას ითხოვს.

კიდევ ერთი არგუმენტი: 2007 წელს „ბარსელონამ" კარგი გამოცდილება მიიღო. მაშინ კატალონიელებს ორი შესანიშნავი სეზონი ჰქონდათ ჩატარებული და კრიზისი დაეწყოთ, რის შემდეგაც შეფი **ხუან ლაპორტა** მიხვდა, რომ წარმატებული სეზონების შემდეგ, გუნდს ყოველთვის სჭირდება ახალი სისხლი. ამ გარიგებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა ეტოოს სურვილმაც - კამერუნელს „ბარსელონას" დატოვება სურდა. ამაში კი გასაკვირი არაფერია, რადგან მიუხედავად ძალიან კარგი შედეგებისა, ეტოო არ მიიჩნეოდა **პეპ გვარდიოლას** საყვარელ ფეხბურთელად. ანუ, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ გვარდიოლას სურდა კამერუნელის მოშორება, რასაც მიაღწია კიდეც.

„ბარსელონას" თავკაცმა არაერთხელ გამოამჟღავნა იბრაჰიმოვიჩის შეძენის სურვილი. მეტიც - ჩვენი ესპანელი კოლეგები ამტკიცებენ, რომ გვარდიოლას ზლატანზე და ფეხბურთის თამაშის მისეულ სტილზე აბოდებს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ შვედი ერთადერთი სუპერვარსკვლავია, რომლის ბედსაც „რეალს" არასდროს უკავშირებდნენ და რომელიც „სამეფო გუნდმა" არ ან ვერ მიიღო. ჰოდა, შესაბამისად, ეს ნაბიჯი „ბარსელონამ" გადადგა. თუმცა საიდუმლოა და საიდუმლოდ დარჩება, რატომ თმობს „ბარსა" ეტოოსთან ერთად გლებსაც და კიდევ 48 მილიონს. დავიჯეროთ, „ინტერი" ისე გაჯიუტდა, რომ მაინცდამაინც ამდენს ითხოვდა? ზლატან იბრაჰიმოვიჩი შესანიშნავი, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, მაგრამ ფაქტია, რომ „ბარსელონა" დიდ რისკზე მიდის.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, გვარდიოლას არც ერთხელ არ დაუმალავს ზლატანის გადაბირების სურვილი, ლაპორტა კი ამ ტრანსფერზე მხოლოდ ერთ-ორ სიტყვას თუ გადმოაგდებდა. დუმდა სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინიც**, თუმცა, როგორც გაირკვა, კულისებში „ინტერის" პატრონ **მასიმო მორატისთან** აწარმოებდა მოლაპარაკებებს. კომიკური კი ის არის, რომ გვარდიოლამ თქვა, ზლატანზე არჩევანს რომ ვაკეთებდი, მხოლოდ გრძნობებს მივენდეო...

არის თუ არა ეს ზაფხულის ყველაზე დიდი გარიგება? თუ გლებიც „ინტერში" ამოყოფს თავს, ნამდვილად არის. ერთ მხარეს მსოფლიო დონის თავდამსხმელი ეტოო და მასთან ერთად ვერცხლისწყალივით მოძრავი, ტექნიკური, მოაზროვნე და სწრაფი ნახევარმცველი გლები, მეორე მხარეს კი ყველაზე არაპროგნოზირებადი (კარგი გაგებით) ფორვარდი იბრა, რომელსაც ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ეტოოს ფასი დაახლოებით 38 მილიონი ევროა, გლებისა კი 12 მილიონი. ამას დაუმატეთ ის 48 მილიონიც, რასაც „ბარსა" „ინტერს" გადაუხდის და მიიღებთ 98 მილიონ ევროს. ეს კი ხუთი მილიონით მეტია იმ თანხაზე, რაც „რეალმა" „მანჩესტერ იუნაიტედს" რონალდოში გადაუხადა.

იბრაჰიმოვიჩი „ბარსაში" ყოველწლიურად 10.5 მილიონ ევროს მიიღებს. შესაბამისად, გაიზრდება მესის ხელფასიც, რადგან ეს უკანასკნელი ახლა წელიწადში 10 მილიონს იღებს და კონტრაქტში უწერია, რომ ყოველთვის გუნდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე უნდა იყოს.

ძალიან საინტერესოა „ნაიკის" როლიც. როგორც იცით, „ნაიკი" „ბარსას" შემმოსავია, რომელმაც თავის დროზე ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა **რონალდინიოს** ტრანსფერშიც (პსჟ-დან „ბარსაში"). დიდი შანსია, რომ „ნაიკმა" იბრაჰიმოვიჩის სატრანსფერო თანხის საკმაოდ დიდი ნაწილის გადახდაც თავის თავზე აიღო. თანაც, „ბარსას" მთავარი ვარსკვლავები, მესი (ადიდასი) და ანრი (რიბოკი) სხვა ფირმების „შვილები" არიან, ზლატანი კი, რომელმაც „ნაიკთან" ახლახან ახალი კონტრაქტი გააფორმა, იდეალური ვარიანტია.

ესადაგება თუ არა ზლატანი „ბარსას" სტილს? ეს ალბათ ყველაზე მთავარი კითხვაა. ერთი შეხედვით, არა, რადგან იბრაჰიმოვიჩი ხასიათის ფეხბურთელია და ხანდახან სირბილი ეზარება ხოლმე. „ბარსელონას" თავდამსხმელები კი მუდმივად მოძრაობენ, გვარდიოლა წინა ხაზში ყოველთვის როტაციას მიმართავს, გარემარბებს ფლანგებს უცვლის ხოლმე და ა.შ. „ინტერში" ზლატანი პრესინგს არ მიმართავდა, სამაგიეროდ, პრესინგი ეტოოს ერთ-ერთი უმთავრესი პლუსია. ამას გარდა, შვედი ზედმეტად თავნებაა და მოედანზე ხშირად ძალიან ეგოისტურად იქცევა. ამრიგად, გვარდიოლამ რაღაც უნდა მოიფიქროს - მან იბრა ან თავის ნებაზე უნდა მიუშვას, ანაც უნდა მოარჯულოს. ფაქტი ის არის, რომ ზლატანს „ბარსელონაში" ინტეგრირება დასჭირდება.

სამაგიეროდ, ფაქტია ისიც, რომ იბრაჰიმოვიჩი გაცილებით ტექნიკურია, ვიდრე ეტოო და მეორე სართულზეც გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე კამერუნელი. ასე რომ, „ბარსელონას" თამაშში მაღალი ჩაწოდებებიც გახშირდება.

*„ზლატან იბრაჰიმოვიჩი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი თავდამსხმელია. მას წარმოუდგენელი, დაუჯერებელი გოლების გატანა შეუძლია და სწორედ ამით არის განუმეორებელი. ზლატანი „ბარსასთვის" უდიდესი შენაძენია,"* - ეს სიტყვები „ბარსელონას" ლეგენდას და ზლატანის ექსმწვრთნელს „აიაქსში", **რონალდ კუმანს** ეკუთვნის.




**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი



ფელიქს მაგატმა მარკო პანტელიჩს თვალი დაადგა

# დესპოტი და ეგოისტი ერთად?

## ფელიქს მაგათმა მარკო პანტელიჩს დაუმიზნა

„შალკეს" მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** აღიარებს, წინა ხაზში ძალიან გვიჭირსო. ცნობილია, რომ „დესპოტი ფელიქსი" **კევინ კურანით** უკმაყოფილოა და ამ ეტაპზე თავდამსხმელებიდან მხოლოდ **ჰალილ ალთინთოფი** მოსწონს. მაგათის მოთხოვნებს ამ ეტაპზე ვერც **ჯეფერსონ ფარფანი** აკმაყოფილებს. *„დღესდღეობით ჩვენი უმთავრესი მინუსი წინა ხაზია. დამაგვირგვინებელ ფაზაში სერიოზული პრობლემები გვაქვს,"* - ამბობს მაგათი.

პრობლემა პირველ რიგში იმითაა გამოწვეული, რომ კურანი საშინელ ფორმაშია. 27 წლის თავდამსხმელს სათადარიგოთა სკამზე ჯდომის საფრთხე ემუქრება. შესაბამისად, დიდი შანსია, რომ სულ მალე „შალკეში" ახალი ცენტრფორვარდი ვიხილოთ. „ბილდის" ინფორმაციით, გელზენკირხენული კლუბი უკლუბოდ მყოფი **მარკო პანტელიჩით** დაინტერესდა. 30 წლის სერბი თავდამსხმელი გასული სეზონის დასრულებისთანავე ბერლინის „ჰერტადან" გააგდეს და მას მერე უმუშევარია. პანტელიჩი ახლა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან" ერთად ვარჯიშობს და „შალკეს" მისი გადაბირება უფასოდ შეუძლია. თავდამსხმელი ამბობს, ბუნდესლიგიდან ორი შემოთავაზება მაქვსო.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პანტელიჩმა „ჰერტაში" 45 გოლი გაიტანა და 21 საგოლე პასი გააკეთა. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ მარკოს კარგი მადა აქვს და საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას, წელიწადში მინიმუმ 2.5 მილიონ ევროს ითხოვს. მაგათი ღიმილით: *„ამდენი ფული არ გვაქვს და რაღაც უნდა მოვიფიქროთ."*

მოფიქრებაში კი, „დესპოტი ფელიქსი" ჩამოწერილი ფეხბურთელების, **ალბერტ შტრაიტისა და კარლოს გროსმიულერის** სასწრაფოდ გაყიდვას გულისხმობს. თუ ნორმალური წინადადება იქნა, მაგათი **ჯერალდ ასამოასაც** უპრობლემოდ შეელევა. ასეთ შემთხვევაში კი, „შალკეს" პანტელიჩის დასაფინანსებელი ფული გაუჩნდება.

**გოტფრიდ ლენცი**




ბაიერნი

# რიბერი სკამზე, ტონი განაცხადს მიღმა

## ვან გაალს ფრანგის კონდიციები არ მოსწონს, იტალიელი ტრავმირებულია, პირველ ტურში ვერც ოლიჩი ითამაშებს



ფრანკ რიბერი და ლუკა ტონი ფიტნესმწვრთნელ თომას ვიჰელმისთან ერთად

ბუნდესლიგის ახალი სეზონის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩენილი და უკვე ცხადია, რომ მიუნხენის „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონატის პირველ ტურს საუკეთესო შემადგენლობით ვერ შეხვდება. რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** ფიქრობს, რომ **ფრანკ რიბერი** პირველი ტურისთვის სრულ მზადყოფნაში ვერ იქნება. ჰოლანდიელის თქმით, „ჰოფენჰაიმთან" რიბერი მოედანზე 20 წუთზე მეტხანს ვერ დაჰყოფს. ამას გარდა, „ჰოფენჰაიმთან" „ბაიერნის" განაცხადში ვერც **ლუკა ტონისა** და **ივიცა ოლიჩს** ვიხილავთ.

*„ფრანკმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იშრომოს. მართალია, ახლა გაცილებით უკეთეს ფორმაშია, ვიდრე ერთი კვირის წინ, მაგრამ ოპტიმალური ფორმისგან ჯერ კიდევ ძალიან შორსაა,"* - აცხადებს ვან გაალი და დასძენს, *„ჰოფენჰაიმთან" ფრანგს მაქსიმუმ ბოლო ოც წუთს ვათამაშებო.* ლუისმა ისიც თქვა, რომ მის პოზიციაზე, ანუ, თავდამსხმელების უკან, ან **თომას მიულერს** ათამაშებს, ან **ხოსე ერნესტო სოსას**, ანაც **ალექსანდერ ბაუმიოჰანს**. ვან გაალმა გადაჭრით განაცხადა, რომ გამთამაშებლის პოზიციაზე **ბასტიან შვაინშტაიგერის** კანდიდატურას საერთოდ არ განიხილავს.

ზოგადად, დღეისათვის „ბაიერნის" ლაზარეთი თითქმის სავსეა. ტრავმები აქვთ **ლუკა ტონის** და ივიცა ოლიჩს. ცნობილია, რომ ბუნდესლიგის პირველ ტურში ვერც ერთი მათგანი ვერ ითამაშებს. გუშინ მცირე ტრავმის გამო ვარჯიში ვერც მიულერმა შეძლო, შესაბამისად, ვან გაალის განკარგულებაში დღეისათვის მხოლოდ ორი ჯანმრთელი ფორვარდია: **მიროსლავ კლოზე** და **მარიო გომესი**. ლაზარეთშია ბრაზილიელი მცველი **ბრენოც**, თუმცა ეს უკანასკნელი ძირითადი შემადგენლობისთვის არც განიხილება. დაცვის ცენტრში, ლუისი უპირატესობას ახალგაზრდა **ჰოლგერ ბადშტუბერსა** და ბელგიელ **დანიელ ვან ბუიტენს** ანიჭებს. მეტიც: ჰოლანდიელი ვან ბუიტენს სულაც დაცვის ახალ ბურჯად მოიაზრებს. ამრიგად, **მარტინ დემიკელისსა** და ბრენოს დასაწყისისთვის სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოუწევთ.

რაც შეეხება მეკარეს: ვან გაალს ჯერაც არ გადაუწყვეტია, ვინ იქნება რეკორდმაისტერის პირველი მეკარე. თუმცა თქვა, გადაწყვეტილებას გერმანიის თასის მატჩამდე მივიღებო. თასის პირველი რაუნდი კი მომავალ კვირასაა და „ბაიერნი" მეექვსე ლიგის წარმომადგენელ „ნეკარელცს" უნდა შეხვდეს. *„კიპერი, რომელიც ამ თამაშში „ბაიერნის" კარს დაიცავს, მთელი სეზონის განმავლობაში პირველი მეკარე იქნება. ამრიგად, გადაწყვეტილება კვირამდე უნდა მივიღო,"* - აცხადებს ვან გაალი. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, ამ ეტაპზე **ჰანს იორგ ბუტია** პირველი და სავარაუდოდ, სწორედ ის ითამაშებს მიუნხენური გრანდის სასტარტოში. **მიხაელ რენზინგს** კი კვლავ რეზერვისტის როლით დაკმაყოფილება მოუწევს. რაც შეეხება მესამე მეკარეს: **თომას კრაფტი** ტრავმირებულია.

ჯერ კიდევ გაურკვეველია „ბაიერნის" კაპიტნის ვინაობაც. ვან გაალს არც ეს საკითხი აქვს გადაწყვეტილი. „კიკერის" ცნობით, კაპიტნის პოსტზე ჰოლანდიელი მხოლოდ ორ კანდიდატურას განიხილავს: **მარკ ვან ბომელსა და ფილიპ ლამს**.

**გოტფრიდ ლენცი**

რომა

# ჯალოროსი სენსებს დარჩათ

## ვინ მივა რომაში: კრუსი თუ ბიანკი?



ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ამ ზაფხულს „რომას" უცხოელი მილიარდერი ბიზნესმენი შეიძენდა. თითქოს მოლაპარაკებები უკვე დასკვნით ფაზაში იყო შესული და **როზელაც სენსისაც** კლუბის მართვის სადავეები სხვისთვის უნდა გადაეცა. თუმცა ეს ასე არ მოხდა და ამის შესახებ, თავად სენიორა სენსიმ განაცხადა:

*„მოლაპარაკებები მართლაც მიმდინარეობდა, თანაც არაერთ დაინტერესებულ პირთან. თუმცა, პირდაპირ გეტყვით, რომ კლუბის გაყიდვაზე სერიოზულად არც კი დავფიქრებულვარ. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ „რომას" ვერ შევეელეოდი. ასე რომ, „ჯალოროსის" კვლავ ჩვენი ოჯახი უპატრონებს და ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველანაირი სპეკულაცია უნდა შეწყდეს".*

„კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი **ფრანჩესკო ტოტის** დაუკავშირდა და აღნიშნულთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება სთხოვა. აი, რა განაცხადა გუნდის კაპიტანმა: *„სენიორ როზელას სულ რამდენიმე საათის წინ ვესაუბრე და ეს ამბავი პირადად მახარა. არ დაგიმალავთ, ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერს წერტილი დაესვა და ვიცით, რომ კვლავაც სენსები უხელმძღვანელებენ კლუბის საქმეებს. ეს ინფორმაცია ფეხბურთელების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე კარგად აისახება, რადგან გაურკვევლობაში ყოფნა არავის სიამოვნებდა. ჩემი ინფორმაციით, კლუბის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და ასეთ რადიკალურ ნაბიჯზე წასვლის აუცილებლობა, არანაირად არ იდგა".*

„რომასთან" დაკავშირებით კიდევ ვრცელდება ინფორმაციები. როგორც იცით, კლუბის მესვეურებს კვალიფიციური ფორვარდის შეძენა აქვთ გადაწყვეტილი და ამ მიმართულებით მუშაობენ კიდეც. „ჯალოროსიში" გადასვლასთან ძალიან ახლოს იყო **ხულიო კრუსი**, თუმცა მოლაპარაკებები თავადვე შეიყვანა ჩიხში. საქმე იმაშია, რომ დედაქალაქელები არგენტინელს ერთწლიან ხელშეკრულებას და ორ მილიონ ევროს სთავაზობენ, ფეხბურთელს კი მინიმუმ ორწლიანი კონტრაქტი სურს. სამხრეთამერიკელმა პირობაც კი წააყენა: ან, მინიმუმ ორი სეზონი, ან სხვა წინადადებების განხილვას შევუდგებიო. კრუსის მუქარამ არ გაჭრა, „რომა" ულტიმატუმს, ულტიმატუმითვე პასუხობს: სამი დღე მოსაფიქრებლად - ან ერთწლიანი კონტრაქტი, ანაც გარიგება ჩაიშლება. ვნახოთ, საბოლოო სიტყვა კრუსზეა.

ამასობაში, „ჯალოროსის" მესვეურებმა ალტერნატიულ ვარიანტზე დაიწყეს მუშაობა და „ტორინოს", **როლანდო ბიანკის** შეძენის სურვილით მიმართეს. თუ „კორიერე დელო სპორტს" დავუჯერებთ, რომაელები მზად არიან 26 წლის ფორვარდში 5.5 მილიონი ევრო გადაიხადონ. ჯერჯერობით, ტურინელების პასუხი უცნობია. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ბიანკი იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა და ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნეოდა. იტალიის სერია A-ში 32 გოლი აქვს გატანილი, ერთი სეზონი „მანჩესტერ სიტიშიც" ირჯებოდა.

**ლაშა ნიკლაური**

რეალური ამბები

# პერესი: იბრა? ჩვენთვისაც კარგია...



რეალის პრეზიდენტი AS-ში სტუმრობისას

ესპანეთში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ გამოცემა AS-ს გუშინ სტუმრად მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი** ჰყავდა, რომელიც შეეცადა გულშემატკივრებისთვის აეხსნა კლუბის დღევანდელი პოლიტიკის არსი. სხვათა შორის, პერესმა აღნიშნა, რომ „რეალში“ სახელფასო ბიუჯეტის შემცირებას ფეხბურთელთა ნაწილის გაშვებით აპირებს.

*„მოგეხსენებათ, საჩემპიონატო განაცხადში კლუბმა 25 ფეხბურთელი უნდა შეიყვანოს. ჩვენ კი პირველ გუნდში 29 კონტრაქტიანი ფეხბურთელი გვყავს. ზოგიერთისთვის, რომელიც ზედმეტი აღმოჩნდა, ახალ კლუბს ვეძებთ, რადგან ფეხბურთელი უნდა თამაშობდეს და სკამზე არ იჯდეს მთელი სეზონის განმავლობაში. დიახ, ჩვენ სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე განვახორციელეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტრანსფერები. ახლა კი, როცა დრო გავიდა, დროა იმ ფეხბურთელებს დავემშვიდობოთ, ვისზე დაყრდნობასაც არ ვაპირებთ„.*

პერესს დაეკითხნენ, რამდენად რენტაბელური იქნება სამეფო კლუბი ასეთი შენაძენების ფონზე. *„ამ სისტემამ კარგად იმუშავა 2000 წელს. ნესით, ახლაც უნდა გაამართლოს. ეკონომიკური კრიზისის ფონზე წარმატების მიღწევა ცოტა გაძნელდება. უკვე ახლა გვაქვს მოლაპარაკებები სატელევიზიო კონტრაქტების და სპონსორული ხელშეკრულებების გადახედვის შესახებ, საუბარია იმაზე, რომ კლუბმა გაცილებით მეტი თანხა მიიღოს. ჩვენ რომ კაკა, კრისტიანო რონალდო და ბენზემა არ შეგვეძინა, სპონსორები ამ თემაზე საუბარსაც კი არ მოინდომებდნენ, კლუბის რენტაბელობა კი უფრო დაბალი იქნებოდა“.*

საუბრის თემა **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ტრანსფერიც იყო, რომელიც მილანის „ინტერიდან“ „ბარსელონაში“ გადავიდა. ბევრი მოელოდა, რომ პერესი მისი კატალონიელი კოლეგის ტექსტით გამოვიდოდა და იტყოდა, ფინანსური კრიზისის დროს „ბარსელონა“ დიდძალ ფულს ტრანსფერებში ხარჯავსო, „რეალის“ პრეზიდენტმა კი თქვა: *„რეალისთვის“ ძალიან კარგია, როდესაც დიდი ფეხბურთელები სხვა ესპანურ კლუბებში გადადიან, იბრაჰიმოვიჩი კი ერთ-ერთი მათგანია. მისი ტრანსფერი ძალიან ჰგავს ჩვენებს, როცა კაკა და კრისტიანო რონალდო შევიძინეთ. ეჭვიც კი არ მეპარება, რომ იბრაჰიმოვიჩი მთლიანად გაამართლებს კატალონიელთა იმედებს“.*

**ფრანკ რიბერის** სავარაუდო ტრანსფერზე: *„რუმენიგე და ჰიონესი ჩემი მეგობრები არიან, მათ G 14-დან დავუახლოვდი. კლუბს არ სურს კარგი ფეხბურთელის გაყიდვა და ეს სავსებით ნორმალური მოვლენაა. „ბაიერნს“ არ სურს რიბერის შეელიოს და მე მათ ამ სურვილს ანგარიშს ვუწევ. ვარსკვლავები შეძენა კლუბისთვის პრიორიტეტულია, ისევე როგორც დიდ კლუბებთან კარგი ურთიერთობა“.*

პერესმა ისაუბრა ფეხბურთელთა ხელფასზე ზედა საზღვრულის დაწესების შესახებაც: *„მე არ მჯერა, რომ ეს ფეხბურთში მოხდება. თითოეულმა კლუბმა თავად უნდა მართოს გონივრულად სახელფასო პოლიტიკა. ვთქვათ, სახელფასო ხარჯებმა ყველა სახის ხარჯების 70 პროცენტს არ უნდა გადააჭარბოს“.*

## მშვიდობით დაწყებული მშვიდობის თასი

მადრიდის „რეალი“ „კოპა დე ლაპასის“ (მშვიდობის თასი) გათამაშებაში „ალ იტიჰადთან“ თამაშით ჩაება. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ არაბებთან დაპირისპირებას 20 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. „გალაქტიკოს“ თავკაცმა **მანუელ პელეგრინიმ** „რეალის“ მხარდამჭერები გააფრთხილა, რომ კლუბისგან უმალვე დიდებულ თამაშს არ ელოდნონ, მშვიდობის თასზე კი მონაწილეობას არ მიიღებენ **კაკა, იკერ კასილიასი, რაულ ალბიოლი** და **სერხიო რამოსი**. მათთვის პირველი თამაში 7 აგვისტოს დაგეგმილი ამხანაგური მატჩი („ტორონტოს“ წინააღმდეგ) იქნება. *„ყველამ კარგად ვიცით კაკას შესაძლებლობების შესახებ, მას შეუძლია მარტო გაუმკლავდეს მეტოქის დაცვას. მაგრამ კაკა და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი ვარჯიშს დღეს იწყებს. მათ „კოპა დე ლაპასზე“ არ ელოდოთ„.*

მშვიდობის თასის B ჯგუფის მატჩმა აჩვენა, რომ „რეალს“, უპირველესად კი პელეგრინის, ჯერ კიდევ ბევრი ჯაფა დასჭირდება ფეხბურთელთა შორის უკეთესი ურთიერთგაგების მისაღწევად მოედანზე. პირველი ტაიმი სამეფო კლუბმა მეფურად დაიწყო, **კრისტიანო რონალდოს** თითოეული შეხება ბურთთან პუბლიკის აღფრთოვანებას იწვევდა. ის და **ლასანა დიარა** პირველ ტაიმში საუკეთესოები იყვნენ მოედანზე. თანდათანობით „რეალს“ ცეცხლი ჩაუქრა, ხოლო „ალ იტიჰადის“ მეკარე **ზაიდის** დამაჯერებელი თამაში მის თანაგუნდელებსაც გადაედო. მეორე ტაიმი კი უკვე „რეალის“ კაპიტნის, **რაულის** იყო. 56-ე წუთზე სწორედ რაულმა გახსნა ანგარიში, მაგრამ 9 წუთში არაბებმა საკადრისი პასუხი გასცეს „გალაქტიკოს“ - საჯარიმო **ალ საქრიმ** ჩააწოდა, **აბუხერუანმა** ჰაერში **გაგოს** დაასწრო და - 1:1. ესეც თქვენ, ვარსკვლავებო! ამის შემდეგ „ალ იტიჰადი“ ისევ საკუთარ საჯარიმოსთან გამაგრდა. კრისტიანო რონალდომ თამაში მარცხენა ფრთაზე დაიწყო, შემდეგ ის ცენტრში შეიჭრა, ბოლოსკენ კი მადეირელი მარჯვენა ფლანგზეც გამოსცადეს. კარგი დასაწყისის მიუხედავად, მისი თამაშით უკმაყოფილო დარჩნენ. მომდევნო მატჩს „კოპა დე ლაპასზე“ „რეალი“ ეკვადორის „ლიგა დე კიტოს“ წინააღმდეგ გამართავს.

რეალმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **დუდეკი - მიგელ ტორესი, გარაი (46. აგუსი), მეტცელდერი, დრენტე - ლ. დიარა, გაგო (65. გუტი), კრისტიანო რონალდო (65. იგუაინი), სნეიდერი (75. გრანერო) - რაული, ბენზემა (65. რობენი)**

## კაკას პირველი ვარჯიში

გუშინ მადრიდის „რეალში“ პირველად ივარჯიშა კლუბის 65-მილიონიანმა (ევრო) შენაძენმა **კაკამ**. AS-ის ინფორმაციით, ვარჯიშზე ექსმილანელი ყველაზე ახლო ურთიერთობაში **კრისტიანო რონალდოსთან, პეპესთან** და **რაულთან** იყო. გუნდში პირველად ივარჯიშეს **კასილიასმა, სერხიო რამოსმა** და ახალწვეულმა **რაულ ალბიოლმა**. გუშინვე გამოცხადა, რომ „რეალმა“ 20 წლის ნახევარმცველი **დანიელ პარეხო** „ხეტაფეში“ გაასხვისა, თუმცა სამეფო კლუბი მის უკან გამოსყიდვის ექსკლუზიურ უფლებას იტოვებს, ოღონდ მომავალი ორი სეზონის განმავლობაში. ბოლო სეზონში პარეხომ სულ 3 მატჩში ითამაშა.

ტრანსფერი

## ნილმარი ვილიარეალშია

ესპანურმა „ვილიარეალმა“ გამოაცხადა პორტუ ალეგრეს „ინტერნასიონალის“ ფორვარდის, **ნილმარ და სილვას** შეძენის შესახებ. ესპანური მედია ამტკიცებს, რომ ვალენსიურ კლუბს ეს ტრანსფერი 10 მილიონი ევრო დაუჯდა. ასე და ამგვარად, 25 წლის ბრაზილიელი კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი გახდა. ნილმარმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბოლო ორ სეზონში ბრაზილიელმა ფორვარდმა „ინტერნასიონალში“ 19 გოლი გაიტანა.



U 19. ევროპის ჩემპიონატი. პლეიოფების წინ



ინგლისი-სლოვენია 7:1

# ინგლისი ნახევარფინალში რიხით გავიდა

როგორც აღმოჩნდა, უკრაინაში მარცხი სიკვდილის ტოლფასი ყოფილა, 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ოთხივე ისეთი ნაკრები გავიდა, რომელსაც ჯგუფურ ეტაპზე მარცხი არ უგემია. შეჯიბრებას კი ერთ-ერთი ფავორიტი, ესპანეთის ნაკრები დაემშვიდობა. მაშ ასე, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალებში მასპინძელი უკრაინა სერბეთს დაუპირისპირდება, ხოლო ინგლისი - საფრანგეთს.

A ჯგუფში ნახევარფინალში გასვლის საკითხი იოლად გადაწყვიტა ინგლისის ნაკრებმა, არადა სლოვენიასთან მატჩში გუნდის სამი მოწინავე წევრი (**მეტოკი, დრინქუოთერი** და **ჯეიმსი**) სათადარიგოთა სკამზე დატოვეს. **ბრაიან ისტიკის** გუნდმა პირველივე ტაიმში მოუთავა საქმე საბრალო სლოვენიას, როცა ხუთი უპასუხო გოლი გაიტანა. გაამართლა შეტევაში **დანი უელბეკის** გადაყვანამ, მან დუბლი შეასრულა. ანგარიში 7:1-ზე შთამბეჭდავი იქნებოდა, მეორე ტაიმში ალბიონელებს ყველა საგოლე მომენტი რომ გამოეყენებინათ. ინგლისმა სწორედ დიდი ანგარიშის წყალობით დაიბევა პირველი ადგილი და გაუსწრო ტურნირის მასპინძელს.

უკრაინელები **სერჰი რიბალკამ** იხსნა, რომელმაც მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე შვეიცარიელებს მატჩის ერთადერთი გოლი გაუტანა. არადა მასპინძლები მთელი ტაიმი ათნი თამაშობდნენ, მსაჯმა **კავერინი** გააძევა. აღსანიშნავია, რომ შეუცვლელად ითამაშა კიევის „დინამოს“ ქართველმა მცველმა **თეიმურაზ ფარცვანიამ**, რომელიც დიდი ხანია უკვე უკრაინის მოქალაქეა. უკრაინული წყაროები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ფარცვანია მათი გუნდის დაცვის უდავო ლიდერია.

B ჯგუფში ესპანელებს ფრეც აძლევდათ ხელს, ფრანგებს კი ნახევარფინალის საგზურისთვის მხოლოდ მოგება ესაჭიროებოდათ. ესპანელებს კარში სათადარიგო მეკარე **მარინო** ეყენათ, რადგან წინა ტურში მათმა მთავარმა გოლკიპერმა უამრავი შეცდომა დაუშვა. მარინომ კარგად ითამაშა, მაგრამ პირველ ტაიმში ველარაფერი გააწყო „რენის“ ფორვარდ **იასინ ბრაიმის** წინააღმდეგ, რომელმაც პარტნიორთან კედელი გაითამაშა და მეკარესთან პირისპირ დარჩა - 1:0. ამის მერეც ფრანგების უპირატესობა აშკარა იყო, ორ წუთში ბრაიმის დუელი მარინომ მოუგო, ხოლო ლემანელი **სებასტიენ კორჩიას** ჩაწოდებულს **დამიენ ლე ტალეკის** დარტყმა მოჰყვა, ესპანელები ხარიხამ იხსნა მეორე გოლისგან. მეორე ტაიმში ესპანელთა მწვრთნელმა ლიდერი **ფრან მერიდა** (რომელმაც საერთოდ ვერ გაამართლა იმედები ამ ტურნირზე) საკვალიფიკაციო ბატალიებში 5 გოლის გამტანი **დანი აკინოთი** შეცვალა. ესპანელთა იმედები კი საბოლოოდ მაშინ დასამარდა, როცა კორჩია **ორიოლმა** უხეშად მოცელა და თვალწინ წითელი ბარათი იხილა.

პირველ ადგილზე კი სერბეთის ნაკრები გავიდა, ჯგუფურ ეტაპზე უდავოდ საუკეთესო გუნდი. სერბებმა **დანიელ ალექსიჩის** გოლით თურქეთის ნაკრები დაამარცხეს. „ვოივოდინას“ ფორვარდმა ტურნირზე მეორე გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში თურქები ათნი დარჩნენ (**შიმშეკი** ორი გაფრთხილების გამო გააძევეს) და თამაშის გადარჩენა ველარ შეძლეს.

### A ჯგუფი

**ინგლისი-შვეიცარია 1:1**
მეტოკი 34 - ვიუტრიხი 92

**უკრაინა-სლოვენია 0:0**

**სლოვენია-შვეიცარია 1:2**
ფინკი 66 - პაშე 78, მუსტაფი 85

**უკრაინა-ინგლისი 2:2**
პეტროვი 2, 61 - ლენსბერი 25 (პ), გოსლინგი 51

**შვეიცარია-უკრაინა 0:1**
რიბალკა 85

**სლოვენია-ინგლისი 1:7**
დიმიტროვი 50 - ლენსბერი 10, ბრიგსი 19, უელბეკი 25, 32, დელფაუნესო 38, 70, რეინჯერი 73

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 1 | 2 | 0 | 10-4 | 5 |
| უკრაინა | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| სლოვენია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-9 | 1 |

### B ჯგუფი

**საფრანგეთი-სერბეთი 1:1**
ბრაიმი 40 - ალექსიჩი 44

**თურქეთი-ესპანეთი 1:2**
ერენ ალბაირაკი 12 - ფალკე 49 (პ), სან მარტინი 51

**საფრანგეთი-თურქეთი 1:1**
ნდიაიე 90 - სერკან ილდირიმი 64

**სერბეთი-ესპანეთი 2:1**
მილანოვიჩი 36, 51 - ხოსელუ 6

**ესპანეთი-საფრანგეთი 0:1**
ბრაიმი 27

**სერბეთი-თურქეთი 1:0**
ალექსიჩი 17

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| თურქეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

### ნახევარფინალი

**30 ივლისი**

ინგლისი-საფრანგეთი
სერბეთი-უკრაინა

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

# ვალი მაინც უნდა გადაიხადოთ...

## სტადიონის მშენებლობის გეგმა ჩაიშალა

„ლივერპულის" გასაჭირზე ახლახან ვწერდით. მოკლედ შეგახსენებთ, რომ „წითლებს" ბლომად საბანკო ვალი დაუგროვდათ. ამ მომენტისთვის ლაპარაკია 350 მილიონ ფუნტზე. ბოლო დღეებში „ლივერპულის" მფლობელები - **ტომ ჰიკსი** და **ჯორჯ ჯილეტი** ერთიანად მოლაპარაკებებში არიან ჩართულნი. ისინი გამოსავალს ეძებენ - რა უნდა უქნან ამხელა ვალს? უნდა გაისტუმრონ, ცხადია, მაგრამ როგორ? ახლავე? და ეს ხომ შეუძლებელია... არადა, შოტლანდიის სამეფო ბანკი ფულს დაუყოვნებლივ ითხოვს...

...უფრო სწორად, ითხოვდა - გუშინდელი მოლაპარაკებების შედეგად მხარეებმა ერთგვარ კომპრომისს მიაღწიეს. ჰიკსსა და ჯილეტს საშუალება უჩნდებათ, დროებით ამოისუნთქონ და გამოსავალზე უფრო მშვიდ ვითარებაში იფიქრონ. მოკლედ, გადაწყდა, რომ 350-მილიონიანი დავალიანების სრულად გადახდა ერთი წლით გადაიდო. „ლივერპულის" პატრონები ამ ეტაპზე მხოლოდ 60 მილიონ ფუნტს გადაიხდიან, დანარჩენ 290 მილიონს კი, როგორც ვთქვით, ერთი წლის მერე.

ჰიკსი და ჯილეტი აცხადებენ, რომ ფინანსური პრობლემები კლუბს ხელს არ შეუშლის ტრანსფერების განხორციელებაში, თუმცა მეორე მხრივ, ვერ ვიტყვით, რომ „ლივერპული" ბაზარზე თვალშისაცემად აქტიურობს. ჯერჯერობით, ერთადერთი შენაძენია პორტსმუთელი **გლენ ჯონსონი**, რომელიც „ენფილდის" მკვიდრთ 17.5 მილიონი ფუნტი დაუჯდათ. როგორც ჩანს, **რაფა ბენიტესს** ამ სეზონშიც ძირითადად ძველი გვარდიით მოუწევს ფონს გასვლა.

უფულობის გამო ჰიკსსა და ჯილეტს ჩაეშალათ ახალი სტადიონის მშენებლობის გეგმაც. „სტენლი პარკის" ასაგებად წინასწარი სამუშაოები უკვე ჩატარდა, თუმცა მალევე შეჩერდა. „ლივერპულის" მესვეურები გამოსავალს ინდივიდუალური გზებითაც ეძებენ. მაგალითად, ჰიკსს წილები აქვს ბეისბოლის კლუბ „ტეხას რეინჯერსში" (მეიჯორ ლიგა) და NHL-ის „დალას სტარზში". მისტერ ჯილეტი კი იმავე NHL-ის კლუბ „მონრეალ კანადიენსის" 80 პროცენტს ფლობს. მას უკვე მიღებული აქვს ამ წილის გაყიდვის გადაწყვეტილება. თავად „ლივერპულის" გასაყიდი ფასი კი 500 მილიონი ფუნტია...



# ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი

## როზინა ზენიტში გადავიდა

სერია B-ში გავარდნილი „ტორინოს" ფორვარდმა **ალესანდრო როზინამ** თავშესაფარი სანკტ-პეტერბურგის „ზენიტში" პოვა. როგორც ირკვევა, ამ კლუბთან მას უკვე გაფორმებული ჰქონია წინასწარი კონტრაქტი და ახლა რუსეთში ვიზიტის მიზანი ტრანსფერის სრულყოფა გახლავთ. „ტორომ" და „ზენიტმა" შეათანხმეს 25 წლის როზინას ფასი - 6.5 მილიონი ფუნტი, საიდანაც 10 პროცენტი ეკუთვნის „პარმას". ეს არის ფიფას მოთხოვნა, რაკი როზინა სწორედ „პარმაში" დაფრთიანდა, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელი.

რამდენიმე წლის წინ ის ლამის ყველაზე იმედის მომცემი ფეხბურთელი იყო კალჩოს სამყაროში, მაგრამ... იმედები ვერ გაამართლა. თავად განსაჯეთ, ერთ დროს ის 18 მილიონი ფუნტიც ღირდა, დღეს კი მისი კარიერის ზენიტად შეიძლება რუსეთის პრემიერლიგა იქცეს. ალბათ, ზუსტი შეფასება გააკეთა „ვერონაში" მისმა ყოფილმა მწვრთნელმა **მასიმო ფიკადენტიმ** - სანდრო ძალიან ნიჭიერი, მაგრამ ზარმაციაო. ქართველებმაც ასე არ ვიცით თქმა?

# ვაჭრობა არ დაგვიმთავრებიაო...

**მარტინ ონილის** ხელში „ასტონ ვილა" მებრძოლ გუნდად იქცა. ეგ არის, რომ ბირმინგემელებს ფული ცოტა აქვთ და გრანდებს ჯერ ვერ ეჭიდავებიან, თორემ ისე, ონილი მეხუთე ადგილის გუნდს ნამდვილად შექმნის. ჯერჯერობით, მისი ერთადერთი შენაძენი მარცხენა გარემარბი **სტიუარტ დაუნინგია**, რომელშიც „მიდლსბროს" 12 მილიონი ფუნტი გადაუხადეს. სამაგიეროდ, გუნდი დატოვეს **გარეთ ბერიმ** (გადავიდა „მანჩესტერ სიტიში"), **ზეტ ნაითმა** („ბოლტონი") და **მარტინ ლაურსენმა**, ვინც ტრავმის გამო ფეხბურთს საერთოდ შეეშვა.

მოკრძალებული სატრანსფერო კამპანიის გამო „ვილა პარკის" აუდიტორია გვარიანად შფოთავს. ეტყობა, ეს ონილმაც იგრძნო და კლუბის ოფიციალურ ვებგვერდთან ინტერვიუში სატრანსფერო გეგმებს დიდი დრო დაუთმო. ჩვენ მის ნაუბარს პატარა ფრაგმენტის სახით შემოგთავაზებთ:

*„თუ ჩვენ ვაპირებთ, რომ ახალ სეზონში წინაზე უკეთესი შედეგი და თამაში ვაჩვენოთ, მაშინ ამისთვის ახალი მოთამაშეები დაგვჭირდება. და მე ველოდები, რომ „ასტონ ვილაში" მართლაც მოვლენ ახალი ფეხბურთელები. იმედი მაქვს, ეს ისეთი მოთამაშეები იქნებიან, რომლებიც გუნდს რეალურად გააძლიერებენ. ჩვენ გვაქვს გარკვეული მონახაზი და სია სასურველი მოთამაშეების, მაგრამ გვსურს, დავრწმუნდეთ, რომ სწორ ნაბიჯებს ვდგამთ. ჩვენ ჯერ არ დაგვიმთავრებია სატრანსფერო კამპანია და მჯერა, ახლო მომავალში ნაყოფსაც მოვიმკით".*

რაკი ონილი არ აკონკრეტებს, მოვიშველიოთ ინგლისური ვებგვერდები, საიდანაც ვიგებთ, რომ „ასტონ ვილას" თვალთახედვის არეში მოქცეულან გამოცდილი **სილვენ დესტენი** („პორტსმუთი") და „ლიდსის" თინეიჯერი ნახევარმცველი **ფაბიან დელფი**, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.



ინციდენტი

# მეორე რაუნდი: ბექჰემს ცოლი გაულანძღეს

## ამჯერად დევიდმა თავს მეტი კონტროლი გაუწია

სულ რაღაც ერთი კვირა გავიდა მას მერე, რაც იტალიიდან „ლოს ანჯელეს გელექსიში" დაბრუნებულმა **დევიდ ბექჰემმა**, „მილანთან" ამხანაგური მატჩის დროს, მავან გულშემატკივარზე გაიწია. იმ დღეს ფანებმა დევიდს სერიოზული ობსტრუქცია მოუწყვეს, შინ დაბრუნებისკენაც მოუწოდეს და გასაგებია, რომ კაცს ნერვებმა უმტყუნა. ახლა აღარ დავიწყებთ იმაზე ლაპარაკს, თუ რა ედო საფუძვლად ამგვარ დამოკიდებულებას. რაც ტელეეკრანებიდან გამოჩნდა, ეს იყო - გაცხარებული ბექჰემი ტრიბუნებთან მიიჭრა და ფანებს ხურდა დაუბრუნა. ტელეკამერებმა ყველაფერი აღბეჭდეს. MLS-ის კომისარმა **დონ გერბერმა** კი ბექზი დამნაშავედ სცნო და 609 ფუნტის ჯარიმაც გამოუწერა...

რა მოხდა ამჯერად - ფანმა, რომელიც ინგლისის ნაკრების მაისურაში იყო გამოწყობილი, ტრიბუნასთან ახლოს მყოფ ბექჰემს, თურმე, ცოლი გამოულანძღა. ასეთ ადამიანს ინგლისის ნაკრების მაისურა არ უნდა ეცვასო, - თქვა ბექჰემმა ინციდენტის კომენტირებისას. დიახ, დევიდმა დაადასტურა, რომ მავანმა ფანმა **ვიქტორია ადამსი** აუგად მოიხსენია. მაგრამ წინა შემთხვევისგან განსხვავებით, 34 წლის ნახევარმცველი ამჯერად უფრო თავშეკავებული იყო - ეს კი არა, უზრდელ ფანს ბოლოს ხელიც ჩამოართვა. ეს მოხდა „კანზასთან" მატჩში, რომელიც 1:1 დასრულდა.



დევიდ ბექჰემი ფანის დაშოშმინებას ცდილობს

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლონდონური დერბი ჰუნტელაარისთვის

მას მერე, რაც **კლაას-იან ჰუნტელაარი** „შტუტგარტში" ვერ გადავიდა, ჰოლანდიელის გადასაბირებლად ალბიონზე დაფაცურდნენ. მოვიდა ინფორმაცია, რომ 25 წლის ფორვარდით „ტოტენჰემი" დაინტერესებულა. და მარტო „ტოტენჰემი"? აგერ, გუშინ „სანდი თაიმსმა" დაწერა - **არსენ ვენგერი** ფორვარდს ეძებს, ჰუნტელაარი კი მის გემოვნებასა და სქემას ზუსტად მოერგებაო. ვენგერს ახალი თავდამსხმელის საკითხი დაუდგა მას მერე, რაც **ემანუელ ადებაიორმა** „მანჩესტერ სიტის" მიუშურა. ინგლისელი მიმომხილველები პირდაპირ ცეცხლზე ნავთს ასხამენ - „არსენალი" მზად არის, „ტოტენჰემს" ჰოლანდიელი ცხვირწინ ააცალოსო. ტაბლოიდები თანხასაც ასახელებენ - 17.3 მილიონი ევრო.

უკვე ნათელია, რომ ჰუნტელაარს მადრიდში აღარ დაედგომება. „სანტიაგო ბერნაბეუზე" ის ამა წლის იანვარში, 20 მილიონ ევროდ გადავიდა, ითამაშა 20 მატჩში და გაიტანა მხოლოდ 8 გოლი. დავანებოთ თავი სტატისტიკას, რამდენიმე დღის წინ „რეალის" თავკაცმა **მანუელ პელეგრინიმ** პირდაპირ და გარკვევით თქვა - ამ გუნდში ჰუნტელაარის ადგილს ვერ ვხედავო.

კაცმა რომ თქვას, რა გასაკვირია - როცა შეტევის ხაზში გყავს **იგუაინი, კრისტიანო რონალდო, ქარიმ ბენზემა** და **რაული,** აქ ჰუნტელაარი სადღა უნდა დააყენო? არადა, ჰოლანდიელი უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია. ის თავის გზას მაინც იპოვის...

არგენტინის ნაკრები

# რა დროს რუსეთია ბრაზილიის წინ?!

## მარადონას მოსკოვში ჩასვლა ცოცხალი თავით არ უნდა



დიეგო მარადონასა და არგენტინის ნაკრებს წინ ოთხი უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვთ

12 აგვისტოს ამხანაგური მატჩების მთელი წყებაა და მათ შორის, ერთ-ერთია რუსეთი-არგენტინა, რომელიც წესით მოსკოვში უნდა გაიმართოს. კი, მაგრამ რას ნიშნავს - „წესით"? საქმე ისაა, რომ მატჩი შეიძლება არ შედგეს. დიახ, გუშინ **დიეგო მარადონამ** ინტერვიუ მისცა არგენტინულ „ოლეს" და წუწუნს მოჰყვა - რა გვინდა მოსკოვში, ემანდ ბრაზილიასთან მატჩისთვის მომზადებაში ხელი არ შეგვეშალოსო. ეს მატჩი კი 5 სექტემბერს უნდა გაიმართოს. აი, რას ამბობს დიეგო:

*„ძალიან არ მინდა მოსკოვში თამაშის გამართვა. არა მგონია, რუსეთში ვიზიტი ბრაზილიის ნაკრებთან მატჩისთვის გამოგვადგეს. წინ გვაქვს ოთხი მეტად სერიოზული დაპირისპირება, მაგრამ ამათგან მთავარი მაინც ბრაზილიაა. ჩვენი ორიენტირი სწორედ „სელესაოსთან" თამაშია და ამაში ნამდვილად არ ვცდები".*

მარადონას წუხილი გასაგები რომ გახდეს, მოდით, გავიხსენოთ, რომ სამხრეთ ამერიკის 10-გუნდიან შესარჩევ ტურნირში ბრაზილია 14 მატჩიდან 27 ქულით ლიდერობს, მეორეა ჩილე 26 ქულით, მესამე - პარაგვაი (24 ქულა), ხოლო მეოთხე - არგენტინა, რომელსაც 22 ქულა აქვს მარაგში. კონმებოლიდან მუნდიალზე პირდაპირ გადის 4 გუნდი, მეოთხეადგილოსან არგენტინას კი კუდში მისდევს ეკვადორი (20 ქულა, მეხუთე ადგილი), რომელთანაც მარადონას კრებულმა სულ ახლახან, 10 ივნისს კიტოში 0:2 წააგო.

ახლა როგორ იქნება საქმე? ვითომ გააუქმებს არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია რუსეთთან სპარინგს?

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვიეირა ფიორენტინაშიო?

**ჰარი რედნაპს** დიდი იმედი კი აქვს, რომ **პატრიკ ვიეირას** „ტოტენჰემში" უკრავს თავს, მაგრამ ახმახმა ნახევარმცველმა, შეიძლება, იტალიაში დარჩენა გადაწყვიტოს, იტალიაში, ოღონდ არა - „ინტერში".

„კალჩომერკატოს" ინფორმაციით, არსებობს სერიოზული შანსი, რომ ვიეირამ „ფიორენტინაში" ამოყოს თავი. 33 წლის ნახევარმცველი, რომელსაც ტრავმების გამო მთელი წინა სეზონი გაუცდა, **ჟოზე მოურინიოს** გეგმებში თურმე აღარ მოიაზრება. იმავე „კალჩომერკატოს" თუ დავუჯერებთ, ვიეირა პარალელურად „ტოტენჰემის" შეთავაზებასაც განიხილავს.

თუ ეს გარიგება შედგა, ფრიად დელიკატური სიტუაცია შეიქმნება - იქიდან გამომდინარე, რა ურთიერთობაც „არსენალსა" და „ტოტენჰემს" შორისაა, ადვილი წარმოსადგენია ვიეირას გამოჩენა „ემირითსზე"... თუმცა რედნაპი ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ეს ჩვეულებრივი ტრანსფერი იქნება.

„ფიორენტინას" რომ ვიეირასადმი ინტერესი გაუჩნდა, გასაგებია - **ჩეზარე პრანდელი** იძულებული გახდა, **ფელიპე მელოს** წასვლას („იუვენტუსი") შეგუებოდა. ნახევარდაცვაში გაჩენილი ბზარი გამოცდილი ფეხბურთელით უნდა შეივსოს. ამ ეტაპზე, პრანდელი კიდევ ორ ტრანსფერს იმედოვნებს - თითქმის გადაწყვეტილია, რომ იისფერ მაისურას მოირგებს „არსენალის" მარჯვენა ნახევარმცველი, კოტდივუარელი **ემანუელ ებუე** (26 წლის), ასევე, „ბენფიკას" ბრაზილიელი ცენტრალური მცველი **ლუიზაო** (27 წლის).

გვერდი მოამზადა **გიორგი გელაშვილმა**

პრობლემასთან პირისპირ

# მთავარი აქტი – კონტრაქტი!

## პრობლემა, რომელიც ყველამ იცის, მაგრამ...



რით დამიმტკიცებთ, რომ იმ მოჭიდავეებს, რომლებიც ფედერაციის სპორტსმენები იყვნენ, ვინმემ კონტრაქტები გაუფორმა? - კონტრშეკითხვა შემომაგება აზერბაიჯანის ბერძენ-რომაელთა ნაკრების თავკაცად ახალდანიშნულმა **ოთარ ტატიშვილმა**, როცა ბაქოში ფეშქაშად წაყვანილ პერსპექტიულ ახალგაზრდა მოჭიდავეთა ჯგუფზე ვკითხე... ამ ფრაზამ კიდევ ერთხელ მთელი სიმწვავით წამოატივტივა ქართულ სპორტში არსებული მართვის პრობლემა - ფედერაციების აბსოლუტური უმრავლესობისთვის საკონტრაქტო სისტემა უცხო ხილია. მეტიც - საჭიროდაც კი არ მიაჩნიათ ცივილიზებული ურთიერთობის ეს ფორმა, ურომლისოდაც დასავლური ყოფა წარმოუდგენელია. ერთი შეხედვით, ტატიშვილიც მართალია - საკუთარ საქმეს აკეთებს, მაგრამ ამით რომ ჩვენი ნაკრები ზარალდება, ესეც ფაქტია. თანაც ამ კონკრეტული შემთხვევის უკან სხვა, უფრო გლობალური საფრთხეც იმალება - ეს პროცესი თუ მწვრთნელთა სურვილზე მიდგა და ფედერაციამ არ გააკონტროლა, ასე ყველას შეუძლია, თავის მოსწავლეებს მოხვიოს ხელი, სხვა ქვეყანაში გაიყოლოს და ამით დაგვინგრიოს ჭიდაობა. ჩვენ ხომ არც ერთ წონაში არ გვაქვს ისეთი კონკურენცია, სათადარიგოებს ასე იოლად რომ შეველიოთ. თავად ტატიშვილთან მიმართებაში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გენაძემ** თავი იმართლა - იქ იმხელა ანაზღაურება შესთავაზეს, ვერაფრით დავაკავებდიო, მაგრამ იმ ბიჭების შეჩერება ხომ შეიძლებოდა?! მაგრამ ვერ შეაკავეს იმიტომ, რომ საამისოდ იურიდიული მექანიზმი - კონტრაქტი არ არსებობდა. მეორე საკითხია, თუ არსებობდა და მაინც გაუშვეს - ეს გაცილებით დიდი დანაშაულია. იქნებ ის ბიჭები არ იყვნენ წამყვანები, ლიდერები და ტიტულოვანები, მაგრამ გუნდისთვის მაინც დიდ ძალას წარმოადგენდნენ, როგორც საჭირო სპარინგპარტნიორები.

სამწუხაროდ, ეს ფედერაცია აქამდეც იოლად შელევია სპორტსმენებს. მაგალითად, შარშან იმავე აზერბაიჯანში ბერძენ-რომაელი **შალვა გადაბაძე** გაუშვეს, ფედერაციის წარმომადგენელთაგან მოსმენილი მოარული ხმებით, ასეთი პირობით - თუ პეკინის ოლიმპიადის ფინალში ის და **ბადრი ხასაია** გავიდოდნენ, გადაბაძე შეხვედრას დაუთმობდა ჩვენებურს. მესმის ფედერაციის კეთილი ნება - სპორტსმენს ხელი არ შეუშალეს ისეთი დიდი ოცნების ასრულებაში, როგორიც ოლიმპიადაზე მოხვედრაა და რაკი აქ ამის შანსი გადაეწურა, იქ გაუშვეს. იმაშიც გავუგებთ, კეთილგანწყობილ მეზობლებს, ხელი რომ გაუმართეს - აზერბაიჯანელებს ამ წონაში ლიცენზია არ ჰქონდათ და გადაბაძის წაყვანა მათი ინიციატივა იყო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, სამუდამოდ არ გაეშვათ და ნაოლიმპიადევს დაებრუნებინათ? კი, მართალია, გადაბაძე ხასაიას ვერ უგებს, მაგრამ იმ ლიდერს სპარინგი ხომ სჭირდება? ერთ წონაში ორი ძლიერი მოჭიდავე ცუდია? ან, სამუდამოდ თუ უშვებენ, ამისთვის კომპენსაცია მაინც მიიღონ და ეკონომიკურად იხეირონ.

ბოლო წლებში სულ მიკვირდა, რატომ არ ჩანდა ტურნირებში „თავისუფლად" მოჭიდავე **ლევან ჩაბრაძე**, რომელიც ერთ დროს საკმაოდ დამაიმედებელ ფალავნად მიიჩნეოდა და 2005 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე დებიუტანტმა მეხუთე ადგილიც დაიკავა, ახლა კი გავიგე, თურმე კანადაში წასულა! არადა, ის სწორედ იმ 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდის, სადაც **დავით პოღოსიანის** შემდეგ წლევანდელ ევროპირველობამდე პირველხარისხოვან ტურნირებზე მედალი ვერავინ მოიპოვა. ეს ჯილდო **მალხაზ ქურდიანმა** ირგუნა, რომელიც ნამდვილად პერსპექტიულია, მაგრამ აქამდე ვერ გაიხსნა. იქნებ იმიტომაც, რომ ხეირიანი კონკურენტი აკლდა? ეგებ, ნაკრებში სპარინგები არ აკლია - თავისივე წონაში მოასპარეზე ახალგაზრდების ან ზედაწონოსნების ხარჯზე, მაგრამ ისინი კონკურენტები არ არიან, ლიდერი კი, თუ უშუალო მდევარის სუნთქვას არ გრძნობს, მობილიზაციას კარგავს.

დაახლოებით იგივე მდგომარეობა შეიქმნა ძიუდოშიც, როცა წლების წინ საბერძნეთში ნიჭიერი **რუსლან გედენიძე**, იგივე **რევაზ ზიდირიდისი** გაუშვეს. ძიუდოს ფედერაციაში თუ ნაკრებში ამ კითხვაზე ყოველთვის ასე მიპასუხეს, **ნესტორ ხერგიანი** ხომ გვყავს და ამ ეტაპზე გედენიძე იმდენად მნიშვნელოვანი არააო. ხერგიანი მართლაც იყო და დღემდე რჩება, რადგან ღირსეული შემცვლელი არ გამოუჩნდა. მიმაჩნია, რომ ეს გედენიძის წასვლამაც განაპირობა - ასაკიდან და სპორტული მომზადებიდან გამომდინარე, იმ ეტაპზე ხერგიანის ყველაზე რეალური კონკურენტი ეს მზარდი ახალგაზრდა იყო და არა უკვე ამოწურული მოჭიდავეები ან - მეტისმეტად პატარები. გედენიძეს თანდათან უნდა მიეღწია ლიდერის დონემდე, მისი წასვლით კი თაობათა შორის კავშირი გაწყდა - ხერგიანს კონკურენცია ვერც იმ მაქსიმუმს მიღწეულმა ფალავნებმა გაუწიეს, რომლებსაც რეზერვი არ გააჩნდათ, და ვერც იმ ახალგაზრდებმა, რომელთაგან ზოგიერთი მრისხანე კონკურენტს ლამის შვილად შეეფერებოდა.

ამიტომაც მიგვაჩნია საჭიროდ სათადარიგოების შენარჩუნება და არც ერთი ფედერაცია მათ ასე ხელაღებით არ უნდა კარგავდეს. მეტიც - თანხმობას არ უნდა აძლევდეს სხვაგან წასვლაზე. იქნებ იმხელა ხელფასი ვერ მისცენ, რასაც უცხოელები გადაუხდიან, მაგრამ მიცემულის იურიდიულად, კონტრაქტის საფუძველზე დაკანონება მაინც საჭიროა. სხვა თუ არაფერი, როცა სპორტსმენსაც თავიდანვე ეცოდინება შეთავაზებული პირობები და ამაზე დაგეთანხმება, მერე ვერ მოგიბრუნდება და პრეტენზიებს ვერ წამოგიყენებს. სხვა საქმეა, თუ თავიდანვე არ დაგეთანხმა - მაშინ სხვაზე გააკეთებ აქცენტს. თან, კონტრაქტზე ხელმოწერილი ვერ ადგება და როცა მოეპრიანება, წასვლას ვერ დააპირებს.

ჭიდაობის ფედერაციაში სპორტსმენებს ძველ დროშიც იოლად ელეოდნენ. გავიხსენოთ ათენის ოლიმპიადის წინა პერიოდი, როცა იგივე ბერძენ-რომაელთა ნაკრებმა ერთბაშად ორი გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდა დაკარგა - მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი **ალექსანდრე დოხტურიშვილი** (84) და

> ფედერაციების აბსოლუტური უმრავლესობისთვის საკონტრაქტო სისტემა უცხო ხილია. მეტიც - საჭიროდაც კი არ მიაჩნიათ ცივილიზებული ურთიერთობის ეს ფორმა, ურომლისოდაც დასავლური ყოფა წარმოუდგენელია.

მომავალი ვიცე-ჩემპიონი **გიორგი წურწუმია** (120). ჩემი ინფორმაციით, მაშინ დოხტურიშვილი ორიოდე საჭიდაო ლეიბში გაიცვალა - რაკი ფედერაციამ მისი შენარჩუნება ვერ მოახერხა, თხოვნაზე გადავიდა და უზბეკებიც, ოღონდ კი დავა დაესრულებინათ, ამ მცირე ბარტერს სიხარულით დათანხმდნენ. არაფერს ვამბობთ ძიუდოს ფედერაციაზე, საიდანაც საბერძნეთში მაგისტრალური ხაზი გაიყვანეს და ძიუდოს თვალსაზრისით ამ განვითარებად ქვეყანაში წლების განმავლობაში გაჰყავდათ ექსპორტზე ნიჭიერი ახალგაზრდები.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ საკონტრაქტო სისტემა გამართული არც სხვა ფედერაციების უმეტესობაშია. მაგრამ საბურთაო-სათამაშოებში ასე თუ ისე, მაინც არსებობს, ინდივიდუალურებში კი საერთოდ არაა. ერთადერთი ფედერაცია, სადაც ამ სისტემის აწყობა სცადეს, ძიუდოს ფედერაცია იყო - მაშინდელმა პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** მკაცრად მოითხოვა ეს და გააკეთა კიდეც, მაგრამ ოლიმპიურ კომიტეტში მისი გადაბარგების შემდეგ იქაც მიივიწყეს. არადა, ძიუდოში ატეხილი ახლანდელი დავიდარაბა, რაც ძირითადად ფინანსებს უკავშირდება, სწორედ ამითაა გამოწვეული - ყველა მხარის ფინანსური დეტალები თავიდანვე რომ ყოფილიყო ჩაწერილ-განსაზღვრული, იქნებ, ეს დავა არც ამტყდარიყო. სანაცვლოდ, ახლა ცდილობენ იმის გარკვევას, ვის საიდან რა პროცენტი უნდა მიელო, ამას კი ქართული ძიუდო ეწირება. წლების წინ საკონტრაქტო სისტემის (როგორც სატრანსფერო, საკლუბო თუ სხვა ევროპული მეთოდების დანერგვას) აქტიურად ითხოვდა იმხანად სპორტის მინისტრის მოადგილე და ევროსაბჭოში სპორტის განვითარების ბიუროს წევრი **თამაზ თევზაძე**, მაგრამ მისი იდეები საქართველოსთვის ნაადრევად მიიჩნიეს (!), მოგვიანებით კი მინისტრის მოადგილეობიდან მრჩევლად გადაიყვანეს...

ალბათ, ყველას გახსოვთ, „ვარდების რევოლუციის" გარიჟრაჟზე ქვეყნის პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** უცხოეთში გაფანტულ ქართველებს და მათ შორის - სპორტსმენებსაც სამშობლოში დაბრუნებისკენ რომ მოუწოდა. ამ მოწოდებას ერთ-ერთი პირველი **გიორგი გოგშელიძე** გამოეხმაურა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდა რუსეთიდან და ვიფიქრეთ, ნამდვილად ინყებოდა „ჟამი შეკრებად" სპორტსმენთა. იქნებ ვინმე შემომედავოს, გოგშელიძე კონკურენციას გამოექცა იქიდან და პრეზიდენტის მოწოდება არაფერ შუაშიაო, მაგრამ მიგვაჩნია, რომ იმ სპარინგების პირობებში რუსეთის ნაკრებში მოხვედრის შანსი დღესაც კი ექნებოდა, როცა იქ ლიდერობისთვის ერთმანეთს ჭამენ ოლიმპიური ჩემპიონები - **ჰაჯიმურატ გაცალოვი** და **შირვანი მურადოვი**, აგრეთვე, ახალგაზრდა **იბრაჰიმ საიდოვი**, რომლებსაც ახლა აქედან წასული **გიორგი კეტოევიც** დაემატა. თანაც, გოგშელიძემ მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებისთანავე განაცხადა, ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით მინდა ასპარეზობაო... მოკლედ, დაბრუნდა და ქვეყნის პრეზიდენტმა მისი ბინით უზრუნველყოფის განკარგულებაც გასცა, მაგრამ... სიტყვიერად, წერილობით გაფორმებაზე კი არავის უზრუნია. პრობლემაც აქედან დაიწყო - ეს საქმე მერიამ სამინისტროს გადააბარა, იმან - დეპარტამენტს, დეპარტამენტმა - ფედერაციას, ამას კი პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო „გამავლობა" არ აღმოაჩნდა. შედეგად, გოგშელიძეს სამი წელიწადი ამაოდ ჰპირდებოდნენ ბინას, რაც მისი ვარჯიშისთვის იყო საჭირო. გორში პირველი მწვრთნელი **ნუგზარ სხირელი** ხელს არ აკლებდა, მაგრამ სპარინგები სჭირდებოდა. თან ბინა არც გორში ჰქონდა, შედეგების მიღწევა სწორედ მას შემდეგ დაიწყო, რაც სავარჯიშოდ ძირითადად თბილისში გადმობარგდა ნაკრებთან ერთად. ის სამი წელიწადი გამუდმებით ეუბნებოდნენ, ჯერ შედეგი გვაჩვენე და ბინას მერე მოგცემთო, პირობების გარეშე კი შედეგისთვის როგორ მიეღწია, ამაზე არავინ ლაპარაკობდა...

> ეს პროცესი თუ მწვრთნელთა სურვილზე მიდგა და ფედერაციამ არ გააკონტროლა, ასე ყველას შეუძლია, თავის მოსწავლეებს მოხვიოს ხელი, სხვა ქვეყანაში გაიყოლოს და ამით დაგვინგრიოს ჭიდაობა.

ათენის ოლიმპიადის შემდეგ დოხტურიშვილის დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ და ქვეყნის პრეზიდენტსაც შეახვედრეს. კანცელარიიდან გამოსულ დოხტურიშვილს „თბილისი-მარიოტში" საბილიარდოში ველოდებოდი, სადაც სპორტსმენმა გაკვირვება ვერ დამალა, პირობებზე კონკრეტულად რომ არაფერი უთხრეს. კი მეუბნებიან, ყველანაირ პირობას შეგიქმნითო, მაგრამ დაზუსტებით არაფერი უთქვამთ, ან უზბეკურ მხარეს ვინ დაელაპარაკება, იმათ წიხლს ვერ ვკრავ და ისე ვერ წამოვალო, თქვა დოხტურიშვილმა. მოგეხსენებათ, მისი ჩამოსვლაც ჩაიშალა. ეს ორი მაგალითი იმის საილუსტრაციოდ მოვიყვანე, ეს შეთანხმებები კონტრაქტში რომ ჩამოწერილიყო, ყველაფერი იოლად მოგვარდებოდა. *იმედია, ამ პრობლემას ან თავად ფედერაციები მოუვლიან, ან - ზემდგომები დააძალებენ, რითაც სპორტსმენთა დატაცების ფაქტები გამოირიცხება.* კაცმა რომ თქვას, მოსავლელი ორი ფედერაციაა - ჭიდაობისა და ძიუდოსი, თორემ სხვებში დასახარბებელი სპორტსმენებიც თითქმის არ გვყავს, მათზე ტაციაობა რომ ატეხონ. თუმცა იურიდიული საკითხების მოგვარება, თუნდაც - ხელფასების სახით, ყველას სჭირდება.

ისეც არ გაგვიგოთ, თითქოს ეს პრობლემა მარტო საჭიდაო ან მხოლოდ ინდივიდუალურ სახეობებშია - ფეხბურთით დაწყებული, მსგავსი შემთხვევა სათამაშოებშიც ბევრი ყოფილა. მეტიც - ისეთი კურიოზებიც ბლომად გვახსოვს, როცა აქ კონტრაქტებს მიუჩვეველ სპორტსმენებს უცხოეთში იურისტის დაუხმარებლად გაუფორმებიათ ხელშეკრულება და ისეთ ხაფანგში მოხვედრილან, მათ გამოხსნას მთელი ომი დასჭირდა. ცივილურ ურთიერთობას მიუჩვეველი ქართველები კინაღამ ტრეფიკინგის მსხვერპლნი გახდნენ. კონტრაქტი იმიტომაცაა კარგი, რომ უცხოეთში წასვლის შემთხვევაში სპორტსმენს ფედერაციაც ერთგვარ გარანტად უდგება და ტრანსფერიდან ისიც იღებს საარსებოდ საჭირო თანხებს.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# რაც ქართულია, სრულიად ქართულია

ბათუმის ცირკის შენობაში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ერთობლივი ინიციატივით, გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ვასილ გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. კახელი ფალავანი აჭარაში 1950 წლიდან საქმიანობდა და ამ რეგიონში ქართული და თავისუფალი სტილით ჭიდაობის განვითარებაში დიდი ამაგი მიუძღვის.

ტურნირი საკმაოდ სტუმარუხვი გამოდგა. ყინიანი "საჭიდაოს" თანხლებით მცხეთა-მთიანეთის, ქართლის, კახეთის, სამეგრელოს, გურიის, იმერეთის და აჭარის ასამდე ფალავანი რვა წონით კატეგორიაში ერკინებოდა ერთმანეთს. გუნდური პირველი ადგილი არავის დაუთმეს მცხეთელებმა, მეორე ბათუმელებს ერგოთ, მესამეს კი ლაგოდეხელები დასჯერდნენ. გამარჯვებულებს მედლები, თასები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

**50კგ**
1. გივი ნადარეიშვილი (ფოთი)
2. მიხეილ ზოიძე (შუახევი)
3. ამირან ცეცხლაძე (ხულო)

**55კგ**
1. დიმიტრი მულაძე (ბათუმი)
2. ნუკრი ბერაია (ფოთი)
3. თენგო მეკოკიშვილი (საგარეჯო)

**60კგ**
1. გოჩა ვარძელაშვილი (გორი)
2. ავთო ცინცაძე (მცხეთა)
3. ბექა ბუცხრიკიძე (ფოთი)

**65კგ**
1. თემური ოქრუაშვილი (მცხეთა)
2. ალიკა ნანიევი (ლაგოდეხი)
3. მიხეილ მეკოკიშვილი (საგარეჯო)

**70კგ**
1. ლევან ნახუცრიშვილი (მცხეთა)
2. ვალერი გოგიბერია (ფოთი)
3. მიხეილ გიორგაძე (გორი)

**75კგ**
1. ზვიად ბაზანდარაშვილი (ბათუმი)
2. ოთარ ახალაია (ზუგდიდი)
3. დავით ოსიშვილი (მცხეთა)

**80კგ**
1. ალიკა გოხაშვილი (ლაგოდეხი)
2. ფრიდონ ზურაბიანი (მცხეთა)
3. მირზა ცინცაძე (ბათუმი)

**+80კგ**
1. გიორგი ცოციაშვილი (მცხეთა)
2. მირიან პავლიაშვილი (მცხეთა)
3. ილია ლვალაძე (ლაგოდეხი)

**მირანდა მიქაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძიუდო

ინტერვიუ ანზორ თენაძესთან

# ძველი დიდების დასაბრუნებლად

საქართველოში გამორჩეული გორის ძიუდოს სკოლა უცხოეთის სპორტულ წრეებშიც ცნობილია. საქართველოდან პირველი ევროპის ჩემპიონი გორის ძიუდოს დარბაზში აღზრდილი ანზორ ქიბროწაშვილი იყო, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი - შოთა ჩოჩიშვილი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი - თემურ ხუბულური. ერთხანს გორის ძიუდოს გვარიანი ჩავარდნა ჰქონდა, რასაც გორელი და, საერთოდ, ქართველი ქომაგები, სპეციალისტები მტკივნეულად აღიქვამდნენ. საბედნიეროდ, ვითარება თანდათან სასიკეთოდ იცვლება, რაც დიდწილად წარსულში ცნობილი ძიუდოისტების გია და ანზორ თენაძეების დამსახურებაა გამოცდილ გორელ სპეციალისტებთან, გურამ პაპიტაშვილთან და გივი ზაუტაშვილთან ერთად.

გვესაუბრება გორის ძიუდოს კომპლექსური სკოლის დირექტორი და მთავარი მწვრთნელი ანზორ თენაძე.

**— ბატონო ანზორ, თქვენ და თქვენმა ძმამ სპორტსმენის კარიერის დასრულების მერეც ძიუდოში ისურვეთ დარჩენა...**

— ძმებს დიდი სურვილი გვქონდა, გაგვეხსნა საკუთარი ძიუდოს სკოლა და 2002 წელს გორში, ერთ-ერთი შენობის დარბაზში საქმეს შევუდექით კიდეც. დარბაზს ჩვენი მეგობრის, კობა კურტანიძის სახელი ვუწოდეთ, რომელიც იმხანად მძიმედ იყო ავად. თავდაპირველად მცირე ფართობი და ინვენტარი გვქონდა, თუმცა ბავშვების რაოდენობა არ იყო მცირე. დასაწყისში მწვრთნელი ძირითადად მე ვიყავი, გია ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებს აგვარებდა. მოვიყვანეთ ჩვენი პირადი მწვრთნელი იოსებ ფუხაშვილი, შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტი ნიკო ბიბილაშვილიც. მონდომებულმა მუშაობამ შედეგი მალე მოგვცა. ეს სპორტის ადგილობრივ სამსახურშიც შენიშნეს, 2004 წლიდან განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეგვიყვანეს და მოგვცეს ჭიდაობის სკოლის სტატუსი. ამჟამად სტრუქტურულად გორის მუნიციპალიტეტს ვექვემდებარებით.

**— და დღეს დარბაზიც სხვაა.**

— გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში 2006 წელიდან ვმუშაობთ. იგი დიდი საჩუქარი იყო რეგიონისთვის. სპორტის დეპარტამენტმა ახალი ტატამი და კომპლექსური ტრენაჟორი გადმოგვცა, ახალი ტატამი ადგილობრივმა ხელისუფლებამაც შეგვიძინა. უკეთესმა პირობებმა, რასაკვირველია, დიდი სტიმული მოგვცა.

**— საგულისხმოა, რომ თავიდან თქვენ არ დაგიწყიათ მუშაობა უკვე ჩამოყალიბებულ სპორტსმენებთან, ბავშვებით დაიწყეთ წარმატებების ათვლა.**

— საქმე, ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ. სპორტული კარიერა დასრულებული ჰქონდათ ტიტულოვან ფალავნებს. მათი პოტენციური შემცვლელებიდან არადამაკმაყოფილებელი პირობების გამო ზოგი საზღვარგარეთ წავიდა, ზოგმა საერთოდ დაანება თავი ჭიდაობას. რეალურადაც არ გვქონდა საშუალება, გვემუშავა გამოცდილ ფალავნებთან. არადა, უმცროსი თაობის სპორტსმენთა უფრო სწრაფად დაოსტატებისთვის აუცილებელია დარბაზში უფროსებიც ვარჯიშობდნენ. დღესდღეობით არაერთი წარმომადგენელი გვყავს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში. მართალია, ქვეყნის უმთავრეს გუნდში გორელი ძიუდოისტები ჯერჯერობით პირველ ნომრებად არ მოიაზრებიან, მაგრამ მერწმუნეთ, ეს დროც მალე დადგება. რამდენიმე გორელი ძიუდოისტი ნაკრების თავკაცებმა უკვე იახლეს მოსამზადებელ შეკრებებსა თუ ერთობლივ ვარჯიშებზე. მწვრთნელები კმაყოფილები არიან ჩვენი შეგირდების შესაძლებლობებით.

**— ბოლო ხანს თქვენს დარბაზში საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები ხშირად აწყობენ შეკრებას და არაერთხელ უცხოელებიც გვინახავს.**

— სპეციალისტები ხშირად ლაპარაკობენ აქაურ ძლიერ ახალგაზრდა მოჭიდავეთა სიმრავლეზე. საერთო მოსაზრებით, მათთან ნაკრების წევრების ვარჯიში მოსამზადებელ ეტაპებზე სასიკეთოა ორივე მხარისთვის. მოგეხსენებათ, აქვე ხშირად არის საქართველოს ძიუდოისტ გოგონათა გუნდი, რომლის მთავარი მწვრთნელი გია თენაძეა. გიას პირადი კონტაქტებით გორის დარბაზში შეკრებები ჩაატარეს საბერძნეთის, ლიტვის, ისრაელის, ირანის, თურქეთის ნაკრებებმა. საერთოდ, ყველა გუნდი ცდილობს, სერიოზული შეჯიბრების წინ გამონახოს საშუალება, რათა ძიუდოში გამორჩეული რომელიმე ქვეყნის სპორტსმენებთან ერთად ჩაატაროს ერთობლივი ვარჯიშები. კარგია, რომ უცხოელები პარტნიორებად ხშირად ჩვენც გვირჩევენ. ეს მხოლოდ ტრადიციების გამო არ ხდება.

> სპორტის დეპარტამენტმა ახალი ტატამი და კომპლექსური ტრენაჟორი გადმოგვცა, ახალი ტატამი ადგილობრივმა ხელისუფლებამაც შეგვიძინა. უკეთესმა პირობებმა, რასაკვირველია, დიდი სტიმული მოგვცა.

**— ტრადიციები ახსენეთ და, საინტერესოა, რომ გორში ამ ტრადიციის დიდი შემოქმედნი, გურამ პაპიტაშვილი და გივი ზაუტაშვილი ამჟამადაც თქვენთან ერთად ილვწიან წარსული დიდების დასაბრუნებლად...**

— რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია, რომ ისინი ჩვენთან ერთად არიან. მათი დარი სპეციალისტებით საქართველოში იშვიათად თუ რომელიმე სკოლა დაიკვეხნის. ბატონი გურამი და ბატონი გივი საერთოდ ჩოხიანი ჭიდაობის აღიარებული სპეციალისტები არიან და მათი დამსახურებაა, რომ წარმატებები მხოლოდ ძიუდოში კი არა, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაშიც მრავლად გვაქვს.

**— ცნობილია, რომ მწვრთნელთა პროფესიულ ზრდაში დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო გამოცდილება...**

— მივხვდი, რასაც მეკითხებით. ძალიან მნიშვნელოვან საკითხს შეეხეთ. ჩემი აზრით, ის მწვრთნელი, რომელსაც მინიმუმ ორი შეგირდი მაინც ჰყავს ნაკრებში, საერთაშორისო ტურნირებზე სამწვრთნელო შტაბთან ერთად უნდა იყოს, ცხადია, თუ არის ამის ფინანსური შესაძლებლობა. ეს სასიკეთოდ იმოქმედებს მწვრთნელზეც და შეგირდზეც. პირადი მწვრთნელი ხომ უკეთ იცნობს შეგირდს.

**— ბოლოს სამსაჯო ასპარეზზე მოპოვებულ წარმატებასაც შევეხოთ...**

— ჩვენმა თანაქალაქელმა ნიკო ზაუტაშვილმა მართლაც დაუღალავი შრომით მიაღწია დიდ აღიარებას - მოიპოვა ევროპის ძიუდოს ფედერაციის „ბ" ლიცენზია. გორელებისთვის ეს იმითაც იყო სასიხარულო, რომ ამიერიდან საშუალება გვექნება, მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ სიახლეებზე, დროულად ავითვისოთ და დავნერგოთ პრაქტიკაში. გარდა ამისა, წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, უფრო თავდაჯერებული მიდიხარ შეჯიბრებაზე, როცა გუნდში მსაჯიც გყავს.


მარცხნიდან: ანზორ მარტყოფლიშვილი, გია და ანზორ თენაძეები გორის ძიუდოს დარბაზში

ვასილ ბალახაძე

ავტორის ფოტო

პლაჟბურთი

მსოფლიო რეიტინგი




# გეორ-გია ოცეულში დაბრუნდა

პლაჟბურთში წლევანდელი მსოფლიო ტურის ეტაპების ნახევარი მიილია. ქართულმა წყვილებმა, **გეორ-გიამ** და **საქა-რთველომ** აქამდე გამართულ ყველა, რვავე ეტაპზე იასპარეზეს და ერთი ამდენი ტურნირში კიდევ სათამაშო დარჩათ.

რვა ეტაპის შემდეგ ჩვენი დუეტების მდგომარეობა მსოფლიო კლასიფიკაციაში სახარბიელო არაა. უფრო ზუსტად, ორივეს ბევრად უკეთესი მაჩვენებელი შეიძლება ჰქონოდა. სეზონის დასაწყისში ისინი მოწინავე ათეულებს მჭიდროდ მიუახლოვდნენ, თუმცა მერე რამდენიმე ეტაპზე წაიფორხილეს და ოცეულის მიღმა აღმოჩნდნენ.

ახლახან საფრანგეთში, მარსელში დასრულებულ მსოფლიო ტურის ეტაპზე გეორ-გიამ კარგად იასპარეზა, მე-5 ადგილი დაიკავა და რეიტინგში ექვსი საფეხურით წაიწია. ამჟამად ჩვენი ფრენბურთელები 1 380 ქულით მე-16 ადგილზე არიან.

მარსელში ვერაფერი იხეირა საქართველომ. ეს დუეტი ისევ ოცეულს მიღმა იმყოფება. ჩვენმა ქალებმა ამ დროისთვის 1 280 ქულა დააგროვეს და 21-ე ადგილზე არიან.

დღეიდან ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში მსოფლიო ტურის მორიგი, მე-9 ეტაპი იწყება. საქა-რთველო თამაშში თავიდანვე ძირითადი ბადიდან ჩაერთვება. გეორ-გიას კი საკვალიფიკაციო შეხვედრების გამართვა მოუწევს.

კლაგენფურტი წლეულს დიდი სლემის ბოლო ეტაპია. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი ჩვეულებრივი ოუფენისგან უფრო მაღალი სარეიტინგო ქულებით და ბევრად გაზრდილი საპრიზო ფონდით განსხვავდება.

**მსოფლიო რეიტინგი**

ვაჟები: 1. იულიუს ბრინკი - იონას რეკერმანი (გერ) - 4 740 ქულა, 2. ალისონ ჩერუტი - ჰარლი მარკესი (ბრ) - 4 400, 3. ემანუელ რეგო - რიკარდო სანტოსი (ბრ) - 3 620, 4. ადრიან გავირა - პაბლო ერერა (ესპ) - 2 820, 5. დავიდ კლემპერერი - ერიკ კორენგი (გერ) - 2 720, 6. ფილ დალჰაუზერი - ტოდ როჯერსი (აშშ) - 2 420, 7. კრისტიან კაისი - რივო ვესიკი (ესტ) - 2 320, 8. დიმიტრი ბარსუკი - იგორ კოლოდინსკი (რუს) -2 140, 9. პატრიკ ჰოიშერი - საშა ჰეიერი (შვეიც) - 2 060, 10. მეთ ფუერბრინგერი - კესი ჯენინგზი (აშშ) - 2 020, 16. გეორ-გია (საქ) - 1380.

ქალები: 1. მარია ანტონელი - ტალიტა ანტუნსი (ბრ) - 4 560 ქულა, 2. ჯულიანა სილვა - ლარისა ფრანკა (ბრ) - 4 080, 3. ჯენიფერ კესი - აპრილ როსი (აშშ) - 3 680, 4. სარა გოლერი - ლაურა ლუდვიგი (გერ) - 3600, 5. კაროლინა სალგადო - მარია კლარა სალგადო (ბრ) - 2 700, 6. სანე კეიზერი - მარლენ ვან ლერსელი (ჰოლ) - 2 280, 7. ვანილდა ლეგო - რენატა რიბეირო (ბრ) - 2 220, 8. დორის შვაიგერი - სტეფანი შვაიგერი (ავსტრია) - 2 180, 9. ვასილიკი არვანითი - მარია ციარციანი (საბ) - 2 160, 10. შელდა ბედე - ანა პაულა კონელი (ბრ) - 2 160, 21. საქართველო (საქ) - 1 280.

ბესიკ ჯანგავაძე

ავტოსპორტი

# პროფესიონალთა მეოთხე ეტაპი

ავტოსპორტის მოყვარულები განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ რუსთავის ავტოდრომზე გასამართ რბოლებს Rompetrol Season 2009"-ის ეგიდით. ეს იყო წყვილთა რბოლის IV ეტაპი პროფესიონალთა შორის. აბსოლუტურის ჩათვლის გარდა გამარჯვებული უნდა გამოვლენილიყო 2000 კბ.სმ-მდე კლასის ავტომობილებით მოასპარეზეთა შორის.

აბსოლუტურ ჩათვლაში ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ **ოთარ თავართქილაძე** და **გოგა არჯევანიძე (ქეთი ბოჭოიძის** ეკიპაჟი). პირველი გარბენი მოიგო თავართქილაძემ. მისი ავტომობილის უკანა მარჯვენა ბორბალმა დეფორმაცია მიიღო, მაგრამ მრბოლმა მეორე გარბენამდე შეძლო დეფექტის აღმოფხვრა და კვლავ გაიმარჯვა. მესამე ადგილზე გავიდა **არჩილ ბიძინაშვილი.**

2000 კბ.სმ-მდე კლასში ადგილები ასე განაწილდა: 1. არჩილ ბიძინაშვილი, 2. **ანდრო ბრეგვაძე** (**თენგიზ მელაშვილის** ეკიპაჟი), 3. **გიგა ლორთქიფანიძე.**

„ლელოს" კორ.



კალათბურთი

ინტერვიუ ვლადიმერ სტეფანიასთან

# ჯერ კალათბურთი, მერე სწავლა და სწავლა

**აქტიური კარიერის დასრულების შემდეგ ვლადიმერ სტეფანია მოედანს არ დაემშვიდობა. იგი NBA-ს მიერ ორგანიზებულ კემპებში ხშირად მონაწილეობს. შარშან ჩინეთში იყო, ახლა კი საქართველოში დაგეგმილი საზაფხულო კემპისთვის ჩამოვიდა. ეს ღონისძიება კვირას, 2 აგვისტოს დაიწყება და ხუთ დღეს გასტანს.**

**გუშინ ვოვასთან ინტერვიუ სწორედ საზაფხულო ბანაკის ამბებით დავიწყეთ.**

- 1961 წელს ამერიკის მთავრობამ მიიღო აქტი, რომელიც ასე ითარგმნება: სპორტულ-კულტურული გაცვლა. მას შემდეგ ამერიკელთა დაფინანსებით არაერთ ქვეყანაში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიება. მათში მონაწილეობისთვის ცნობილ სახეებს იწვევენ. ამერიკის მთავრობის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები დღემდე 161 ქვეყანაში გაიმართა. სახელმწიფო დეპარტამენტში არის საგანმანათლებლო და კულტურულ საქმეთა ბიურო, რომელიც საქართველოში დაგეგმილი კემპის ერთ-ერთი ორგანიზატორია. ორგანიზებას უწევს ამერიკის საელჩოც საქართველოში. მათთან ჩვენი კალათბურთის ფედერაცია აქტიურად თანამშრომლობს.

**- კემპში რა ასაკის ბავშვები მიიღებენ მონაწილეობას?**

- 12-დან 16 წლამდე ასაკის პატარები. მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის გამოცდილება მეც მაქვს და ვიმედოვნებ, საქართველოს კემპიც წარმატებით ჩაივლის. ჩემთან ერთად საზაფხულო ბანაკს NBA-ს ყოფილი კალათბურთელი ბარბარა ტერნერი გაუძღვება.

**- საზაფხულო კემპზე მისი მსვლელობისას კიდევ ვისაუბრებთ. ახლა არასაკალათბურთო კითხვა უნდა დაგისვა. გასული წლის შემოდგომაზე გაეროში ირაკლი ალასანიას გვერდით განახე. კალათბურთიდან პოლიტიკაში გადაერთე?**

- პოლიტიკაში არ გადავსულვარ. ორიოდე წლის წინათ სიეტლში საქართველოს ეკონომიკური ფორუმი გაიმართა. სწორედ იმ დროს „სონიქსთან" სათამაშოდ ზაზა ფაჩულიას „ატლანტა" ჩამოვიდა და ზაზასთან ერთად ფორუმზე მივედი. ეკონომიკურ ფორუმს ირაკლი ალასანია, ზურაბ ნოღაიდელი და მთავრობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ამერიკაში იყვნენ ქართული ღვინის მწარმოებლებიც. მაშინ ყავარჯნები ახალი გადაყრილი მქონდა და კარიერის დასრულებაზე ვფიქრობდი. სიეტლში პატარა ბიზნესს ვიწყებდი და ეკონომიკური საკითხები მაინტერესებდა. ფორუმის მონაწილე ზოგი სტუმარი სახლშიც მივიპატიჟე. სწორედ მაშინ მკითხეს, საქართველოში დაბრუნებას ხომ არ აპირებო. საცხოვრებლად დაბრუნებას არ ვგეგმავ-მეთქი, მივუგე. მაშინ წარმოიშვა იდეა ჩემი, როგორც საქართველოს წარმომადგენლის მსგავს ფორუმებზე წარგზავნისა. მე არც უარი მითქვამს და არც - თანხმობა.

**- მას მერე გაეროსთან თანამშრომლობ?**

- არა. მას შემდეგ ხშირად ჩავდიოდი ნიუ იორკში და ურთიერთობა მქონდა ირაკლის და ზურასთან. სწორედ მაშინ, როცა დაიწყო მსჯელობა საქართველოს საელჩოში ჩემს სტატუსზე, თბილისში არეულობა დაიწყო. ეს 2007 წლის ნოემბერი იყო... სიტუაცია ცოტა რომ დალაგდა, საქართველოს საელჩოს თანამშრომელი გავხდი. მრჩევლის სტატუსით ვსარგებლობდი. დამევალა სპორტისა და მშვიდობის კომიტეტთან ურთიერთობა.






**- კონკრეტულად რა ღონისძიებები უნდა გატარებულიყო?**

- ირაკლი ალასანიას დროს გაეროში ერთი კარგი რეზოლუცია გავიდა – აფხაზეთში გაეროს დამატებითი უსაფრთხოების ზომები უნდა გაეტარებინა. მე პოლიტიკა არ მაინტერესებდა, უბრალოდ, სპორტის დახმარებით უნდა მეზრუნა ნდობის აღდგენაზე როგორც ქართველ, ისე აფხაზ ხალხს შორის. შევიმუშავეთ სერიოზული პროექტი, რომლის თანახმად, კონფლიქტის ზონებში უნდა მოწყობილიყო სხვადასხვა ღონისძიება. შეიძლებოდა, ეს საკალათბურთო კემპი ყოფილიყო და მასში მონაწილეობა ცნობილ ამერიკელ ვარსკვლავებს მიეღოთ, შესაძლოა, ცნობილი ჩოგბურთელები ჩაგვეყვანა... ამ თემაზე კალათბურთელებსაც დაველაპარაკე და ჩოგბურთელებსაც. ისინი ჩამოსვლაზე თანახმანი იყვნენ... მსგავსი ღონისძიება პალესტინაშიც მოეწყო. მაგრამ გასული წლის აგვისტოს ომმა ყოველგვარი პროექტი ჩაშალა.

**- დასანანია...**

- ბევრი ვიმუშავეთ, დიდი ენერგიაც შევალიეთ, მაგრამ არ ვნანობ, რადგან დიდი გამოცდილება შევიძინე. ვმუშაობდი ხორვატ, ბერძენ სპეციალისტებთან, ურთიერთობა მქონდა სერიოზულ დიპლომატებთან. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უფრო მკაფიოდ დავინახე, ასეთ ხალხთან ურთიერთობისას რაოდენ მნიშვნელოვანია განათლება. გაეროში ძალიან ძლიერი სპეციალისტები მუშაობენ და როცა მათ გვერდით ხარ, შენც ასეთივე განათლება გჭირდება. მაგალითად, განსახილველია ამა თუ იმ ღონისძიების გამართვის საკითხი. ქართველი იმდენად კარგად უნდა იყოს საქმეში ჩახედული, რომ, ვთქვათ, ლიბანელსა თუ პალესტინელს აჯობოს და დაამტკიცოს, რომ ღონისძიების ჩატარება საქართველოში უფრო მნიშვნელოვანია.

**- და სწავლის გაგრძელება გადაწყვიტე...**

- ასეა. ნიუ იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტობა მოვინდომე. საბუთებს თავი მოვუყარე და სასწავლებელში შევიტანე. ამასობაში ერთმა მეგობარმა გამაცნო ვაგნერის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც ასეთი რამ მითხრა: პოლიტიკა რად გინდა?! მთელი ცხოვრება სპორტში გაატარე, კალათბურთმა ბევრი რამ მოგცა და ბევრიც, მაგალითად, ჯანმრთელობა წაგართვა. 7 ენა იცი, არ გირჩევნია, ჩვენთან, სპორტის და „ენტერტაინმენტის" სპეციალობაზე ჩააბაროო? პროფესორის ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა. ვაგნერის უნივერსიტეტში ჩავირიცხე.

**- კოლუმბიის უნივერსიტეტიდან საბუთები გამოიტანე?**

- საინტერესო სწორედ ისაა, რომ იქაც ჩავირიცხე. თუმცა, კარგად რომ გავაანალიზე, კოლუმბიაზე უარის თქმა გადავწყვიტე.

**- რატომ?**

- საქმე ისაა, რომ იქ მომავალი კონგრესმენები და დიპლომატები სწავლობენ. მთელი ორი წელი წიგნებში უნდა ვყოფილიყავი, სწავლა მეტად რთული იქნებოდა. სათანადო დროც არ მქონდა. ამიტომ გადავწყვიტე ვაგნერის უნივერსიტეტში სპორტის ბიზნესის სპეციალობისთვის მიმეხედა. ახლა 25-გვერდიან ნაშრომს ვწერ ვანკუვერის ოლიმპიადასთან დაკავშირებით. მომავალი სემესტრიდან ბიზნესის წარმოების მიმართულებით სწავლის გაგრძელებას ვაპირებ. თუ ბიზნესს დაიწყებ, იგი ფუნდამენტურად უნდა გქონდეს შესწავლილი, რათა საქმე შენ აწარმოო და სხვების იმედად არ იყო. არაერთი ცნობილი სპორტსმენი კარიერის დასრულების შემდეგ ბიზნესს მოეკიდა, საქმის წარმოება სხვას ჩააბარა, მაგრამ მოტყუებული დარჩა და საქმე ვერააწყო. ამიტომ, მირჩევნია, ერთი ორი წელი ვისწავლო და სამუშაოს შემდეგ შევუდგე.

**- ამერიკაში კალათბურთელები კარიერის დასრულების შემდეგ რას აკეთებენ?**

- ზოგი მწვრთნელად იწყებს მუშაობას, ზოგი ბიზნესს ირჩევს, ზოგი ტელევიზიაში მიდის... უმეტესობა კი საერთოდ იკარგება. სხვათა შორის, „ნიუ ჯერსის" ერთი კალათბურთელი ახლა სენატორია. იგი „ნეთსში" ჩემს მისვლამდე თამაშობდა.

**- სენატორობაზე არა, მაგრამ მწვრთნელობაზე ხომ არ გიფიქრია?**

- მიფიქრია, მაგრამ ამ ეტაპზე მწვრთნელობა არ მსურს. კლუბის მენეჯმენტის საკითხებზე მუშაობა უფრო მიზიდავს. მომავალში ამ მიმართულებით შეიძლება ევროპის რომელიმე ნორმალურ გუნდთან, ან ისევ ამერიკელებთან ვითანამშრომლო...

**- ყოფილ თანაგუნდელებთან ურთიერთობა თუ გაქვს?**

- ედი ჰაუსთან მაქვს კავშირი, თუმცა ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ხშირად ვურეკავთ ერთმანეთს. მე ჩემი საქმე მაქვს, მას თავისი. ზაზა ფაჩულიასთანაც ხშირად ვსაუბრობ...

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები. B დივიზიონი

## B დივიზიონის მაჩანჩალებში

**27 ივლისი. სარაევო. ბოსნია**

**საქართველო-ჩერნოგორია 74:85**

31:15, 12:30, 17:21, 14:19

საქართველო: თავართქილაძე (37 წთ, 3ქ, 5მ, 8პ, 5ჩ), ჩიკვილაძე (33 წთ, 14ქ), ბოქოლიშვილი (30 წთ, 7ქ), იოსელიანი (12 წთ, 10ქ, 2დ), დვალიშვილი (40 წთ, 33ქ, 12მ, 3დ), ბაქრაძე (12 წთ, 5ქ), ლომოური (14 წთ, 1ქ), თენიეშვილი (23 წთ, 4ქ), ჯავახიშვილი (10 წთ, 2ქ), სანაძე (1 წთ)

ჩერნოგორია: რადოვიჩი (28ქ, 8მ), დუბლიევიჩი (14ქ, 8მ), ლიუიჩი (26ქ, 9მ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. პოლანდია | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. შოტლანდია | 4 | 2 | 2 | 6 |
| 4. საქართველო | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5. რუმინეთი | 3 | 0 | 3 | 3 |

**29 ივლისი**

19:00 საქართველო-შვეიცარია

**30 ივლისი**

18:15 საქართველო-ავსტრია

საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავა და ახლა დანარჩენ 8 აუტსაიდერთან ერთად მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილებს გაინაწილებს.

როგორც ჩანს, ამბიცია შესაძლებლობებზე მეტი გვაქვს და სწორედ ამიტომ გვეგონა, რომ ჯგუფიდან მაინც გავიდოდით. თუმცა ეს მთავარ მწვრთნელ **მიხეილ კობეშავიძეს** არც უთქვამს. იგი ერთს იმეორებდა – ვიბრძოლებთ და რა გამოგვივა მომავალი გვიჩვენებსო.

ბრძოლა რუმინეთთან და ჩერნოგორიასთან ვნახეთ. წინა დღეს რუმინელებთან გამარჯვებით ხასიათგამოკეთებულმა ჭაბუკებმა ჩერნოგორიასთან თამაში შესანიშნავად დაიწყეს – პირველი პერიოდი 31:15 მოიგეს, მაგრამ მეორე მეოთხედიდან ჯგუფის ლიდერებმა თამაში გამოასწორეს და გადასასწრებად ხუთი წუთიც ეყოთ. თუმცა ექსიუგებს ბოლო პერიოდში მაინც გაუჭირდათ. ქართველები კუდში მისდევდნენ და დიდი სხვაობით დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ. საბოლოოდ ხელახალი იერიშისთვის კობეშავიძის გუნდს ძალა აღარ ეყო და მესამე მატჩი წააგო – 74:85.

გამორჩევის ღირსია მეფარე აკაკი **დვალიშვილი**, რომელმაც პირადი რეკორდები მოხსნა – 33 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა. პირველ პერიოდში გაიბრწყინა დავით იოსელიანმა, რომელმაც მატჩის გაგრძელება ველარ შეძლო და 12 წუთში 10 ქულა მოუგროვდა.

მომდევნო ეტაპზე, ქართველებთან ჯგუფში მოხვდნენ შოტლანდია, ავსტრია და შვეიცარია. სკოტებთან წაგება ავტომატურად გადაგვყვა...

სატრანსფერო ამბები

## ცქიტიშვილს გრანადა იწვევს

ნიკა ცქიტიშვილი



ამჟამად ამერიკაშია და საკლუბო საკითხებს აგვარებს. მან „ნიუ იორკ ნიკსთან" ერთად ლას ვეგასის კემპი ჩაამთავრა და ამერიკული პრესის ცნობით, გუნდის მთავარი მწვრთნელის, **მაიკ დანტონის** ყურადღება დაიმსახურა. თუმცა ვიდრე „ნიუ იორკის" საკითხი გაირკვეოდეს, ცქიტოთი დაინტერესებული ერთი კლუბის სახელი გახდა ცნობილი. ეს გახლავთ ესპანეთის უმაღლესი ლიგის ბინადარი „გრანადა".

გუშინ, ორმა ესპანურმა ინტერნეტ-გამოცემამ ერთი შინაარსის სტატია გამოაქვეყნა: გრანადელთა გენერალური დირექტორის, **ხულიან არანდას** თქმით, გუნდი მოლაპარაკებებს აწარმოებს ნიკა ცქიტიშვილის აგენტთან. იქვე ნათქვამია, რომ გასული სეზონი ცქიტომ „ფუენლაბრადაში" გაატარა, ხოლო 2006 წელს სევილიის „კახაში" თამაშობდა.

როგორ წარიმართება მოლაპარაკება, ამას მალე შევიტყობთ.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ჭადრაკი



# ქიში... მზე, ზღვა და სხვა

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის (პრეზიდენტი **აკაკი იაშვილი**) ინიციატივით ბათუმის საჭადრაკო კლუბმა „ნონამ“ 8-14 წლის გოგონათა და ჭაბუკთა საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალს („აჭარა-2009“) უმასპინძლა. შეჯიბრებაში (მთავარი მსაჯი **გურამ ჭანტურია**) საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის ასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა შორის 8 სომეხი მოჭადრაკეც გახლდათ.

— ბათუმის წმიდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზია-პანსიონში მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებიც ცხოვრობენ და სწავლობენ, — გვითხრა საჭადრაკო ფესტივალის დირექტორმა **ქეთევან მუხაშავრიამ**. — სასწავლებლის 20 მოზარდი ბრძენთა თამაშის საიდუმლოებას კლუბ „ნონაში“ ეუფლება. რამდენიმემ ამ ტურნირში იასპარეზა. ქეთი ტაყდინოვამ 14-წლიანებში მეორე ადგილი დაიკავა. სასიამოვნო იყო ისიც, რომ შეჯიბრებაზე ჩამოვიდნენ შარშანდელი ომის დროს გორის რაიონის დაზარალებული სოფლების მცხოვრები გოგონები და ვაჟები, რომლებიც ციალა ქასოშვილთან და ოთარ დოლიძესთან იმაღლებენ ოსტატობას. ტურნირი წლეულს პირველად გავმართეთ. იგი ტრადიციული გახდება. 14-21 აგვისტოს კი შავი ზღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო ფესტივალს ვუმასპინძლებთ, რომელშიც, ასევე, 8-14 წლის გოგონები და ჭაბუკები იასპარეზებენ. სტუმრებს სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან ველით. მოზარდებს 64-უჯრიან დაფებთან ერთად მცხუნვარე მზე, ლივლივა ზღვა და საინტერესო ექსკურსიები ელით აჭარის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად, რათა ჯილდოებთან ერთად მდიდარი შთაბეჭდილებებით დახუნძლულნი დაბრუნდნენ შინ...

ახლა კი „აჭარა-2009“-ის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ:

**8-წლიანები: გოგონები.** 1. **ელენე კოსტავა** (ქუთაისი)-5; 2. **თამარ ჯორთმენაძე** (ბათუმი)-3; 3. **ანა თურმანიძე** (ბათუმი)-3; **ჭაბუკები.** 1. **დავით კამკია** (ქუთაისი)-8; 2. **გიორგი ვარაზაშვილი** (თბილისი)-7,5; 3. **დიმიტრი ჯიბუტი** (ბათუმი)-7 ქულა.

**10-წლიანები: გოგონები.** 1. **თამარ ფაშკურიძე** (ტყიბული)-4,5; 2. **ანა ივანიანი** (სომხეთი)-4; 3. **მარიამ ჯავახიშვილი** (თბილისი)-3; **ჭაბუკები.** 1. **ლუკა ლიჩელი** (გორი)-8,5; 2. **ალექსანდრე პანასენკო** (ბათუმი)-7,5; 3. **ნატა ჯიბუტი** (ბათუმი)-7 ქულა.

**12-წლიანები: გოგონები.** 1. **ანი კახიანი** (თბილისი)-4,5; 2. **ელენე გიგუაშვილი** (გორი)-4; 3. **თებრონე გოგოძე** (ბათუმი)-3; **ჭაბუკები.** 1. **უჩა მღვდელაძე** (თბილისი)-7; 2. **მამუკა ქოჩაკიძე** (ქუთაისი)-6,5; 3. **გიორგი სოლომონიძე** (ბათუმი)-6 ქულა.

**14-წლიანები: გოგონები.** 1. **მაია ხალვაში**-4:7; 2. **ქეთი ტაყდინოვა** (ბათუმი)-3; **ჭაბუკები.** 1. **რატი ცომაია** (თბილისი)-8,5; 2. **თემურ ჩხაიძე** (ბათუმი)-8; 3. **ტატო ქოჩაკიძე** (ქუთაისი)-7,5 ქულა.

პირველ-მესამე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

**ვაჟა დანელია**

# რიგში რიგელია

საბერძნეთის ქალაქ პალეოხორაში მიმდინარეობს მე-2 საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 8,3 ათასი ევროა. ტურნირში ორი ქართველია, დიდოსტატი **თამაზ გელაშვილი** (2605) და საერთაშორისო ოსტატი **ნიკოლოზ მანაგაძე** (2459). მე-7 ტურში გელაშვილმა თეთრი ფიგურებით ინდოელ საერთაშორისო ოსტატ **ჰარიკა დრონოვალის** მოუგო.

შეჯიბრების დასრულებამდე ორი ტურით ადრე გელაშვილს ჩემპიონობის კარგი შანსი აქვს, მას 5,5 ქულა მოუგროვდა. ქართველი დიდოსტატი 6 დაწინაურებულ მოჭადრაკეს ნახევარი ქულით ჩამორჩება. რუსი **ევგენი ნაჟერი** თანამემამულე **მაქსიმ ტუროვს** ეთამაშება, უკრაინელი **იური კრივორუჩკო** - რუს **ანდრეი რიჩაგოვს**, ხოლო გერმანელი **იგორ გლეკი - ევგენი ვორობიოვს** (რუსეთი). ჩვენებურის მეტოქე კი ლატვიელი **ვიესტურს მეიერსია**, რომელსაც 5,5 ქულა აქვს. რაც შეეხება მანაგაძეს, მას 4,5 ქულა აქვს და მე-8 ტურში თეთრი ფიგურებით ბერძენ **იონაკის სტავრიანაკისს** ხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



თამაზ გელაშვილი

# წიგნი ფიქრისა

გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ“ ახლახან დასტამბა საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო დიდოსტატის, საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონის **დავით გურგენიძის** წიგნი „პირველი საჭადრაკო ნაბიჯები“. მასში თემატურად არის წარმოდგენილი 840-მდე პოზიცია — ელემენტარული საშამათო პოზიციები, მარტივი ტიპის კომბინაციები, სასწავლო სახის ორსვლიანი ამოცანები, ეტიუდების ფრაგმენტები, რომლებიც ძალთა სხვადასხვა თანაფარდობით არის დალაგებული. ბრძენთა თამაშის მოყვარულნი ცნობილი დიდოსტატებისა და საერთაშორისო ოსტატების ლამაზ სვლებსაც იხილავენ. წიგნი, უპირველესად, მოზარდებისთვისაა განკუთვნილი, დამხმარე სახელმძღვანელოდ იმ სკოლებისთვის, სადაც ჭადრაკს ეუფლებიან. საგულისხმოა, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტის გამოკვლევებით, იმ სკოლებში, სადაც ჭადრაკს ასწავლიან, მოსწავლეთა განვითარების საშუალო დონე მაღალია, მოსწავლეებს უკეთესი შედეგები აქვთ როგორც მათემატიკაში, ისე სხვა საგნებში, რადგან ჭადრაკი მოზარდებს აჩვევს აზროვნებას, ფიქრს, ანგარიშს, რაც მახვილგონივრული კომბინაციების გათვლასთან არის დაკავშირებული. საილუსტრაციოდ დავით გურგენიძის წიგნიდან შემოგთავაზებთ ორ პრაქტიკული მნიშვნელობის ეტიუდს, რომლის ავტორები არიან **ლუის ვან ფლიტი და ალექსეი სელეზნიოვი.**

ფლიტი წარმოშობით ჰოლანდიელი გახლდათ, ცხოვრობდა ინგლისში. ერთხელ ამსტერდამის ტურნირზე თვით ემანუილ ლასკერი დაუმარცხებია. ამ უკანასკნელმა წიგნიც კი მიუძღვნა ჰოლანდიელი მოჭადრაკის შემოქმედებას. ფლიტმა სახელი გაითქვა ერთადერთი ეტიუდით, რომელიც კლინგისა და ჰორვიცის ნაწარმოების განვითარებაა:

**ლუის ვან ფლიტი, 1888**



*თეთრები იგებენ*

**1. ლb4 ლh1, 2. ლa3+ მფb6, 3. ლb2+ მფc7 [თუ 3... მფa6 4. ლa2+ მფb6, 5. ლb1+] 4. ლh2+ 1:0**

ცნობილი საბჭოთა ოსტატი ალექსეი სელეზნიოვი წარმატებით მონაწილეობდა საკავშირო ჩემპიონატებში. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოეთი დატოვა. 1967 წელს საფრანგეთში გარდაიცვალა. იმედია, მკითხველებს მოეწონებათ მისი ეტლების ეტიუდი, რომელიც 1921 წელს არის შექმნილი.

**ალექსეი სელეზნიოვი, 1921**



*თეთრები იგებენ*

**1. d7 მფc7, 2. d8ლ+მფxd8. 3. 0-0-0+ ... და თეთრები იგებენ ეტლს.**

ულამაზესი თამაშია ჭადრაკი. ვერაფერს იტყვი!

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

# რეიტინგ-რენტგენი ცუდი სურათით

WTA-ს რეიტინგში საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** 8 საფეხურით წაიწია და ახლა 336 ქულით მსოფლიო კლასიფიკაციაში 174-ე პოზიციაზეა. მცირე წინსვლა **ოქსანა კალაშნიკოვასაც** აქვს, ის 235 ქულით მსოფლიოს 228-ე ჩოგანია, რაც ერთი კვირის წინანდელ მაჩვენებელს 4 ადგილით სჯობს. ოქსანასთვის ნებისმიერი წინ გადადგმული ნაბიჯი კარიერის ახალი მიღწევაა. მდგომარეობა უცვლელია **მაკა ჩახნაშვილისთვის** (212 ქულა, 243-ე ადგილი) და **სოფიო შაფათავასთვის** (161 ქ, 285-ე ადგილი). სხვები: 508 (+2) **ეკა გორგოძე** - 62 ქულა; 528 (+4) **სოფიო ქვაცაბაია** - 58; 588 (+40) **მანანა შაფაქიძე** - 45; 949 (+7) **სოფიო მელიქიშვილი** - 12.

მოგეხსენებათ, **ანა ტატიშვილი** ცდილობდა „სტამბოლის თასის“ ძირითად ბადეში გასვლას. ეს WTA-ს ტურნირია 220 ათასი დოლარით საპრიზო ფონდში. გუშინ, ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ქართველმა ბელარუს **ეკატერინა ძეჰალევიჩთან** (170) წააგო ორ სეტში და ძირითადი ბადის მიღმა დარჩა - 4:6, 3:6. მატჩი ზუსტად საათს გაგრძელდა, ძეჰალევიჩმა 4-ჯერ შეძლო ჩვენებურის მოწოდებაზე გამარჯვება.

ATP-ის რეიტინგში **ირაკლი ლაბაძე** შემორჩენილი 58 ქულით მსოფლიოს 599-ე ჩოგანია. **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 33 ქულით 734-ე (+2) პოზიციაზეა, რაც მისი ახალი მიღწევაა კარიერაში. თბილისის ორმა საერთაშორისო ტურნირმა ვერაფერი შემატა ჩვენებურებს, ის კი არა, მათ ნაწილს შარშანდელი ქულები დააკლდა. ისედაც ცუდი მდგომარეობა ჩვენს ვაჟთა ჩოგბურთში დღევანდელ რეიტინგში უარესად აისახა. 953 (-83) **ლაზარე კუხალაშვილი** - 16; 1107 (+6) **ლადო ჩიხლაძე** - 9; 1528 (-201) **ნოდარ ითონიშვილი** - 2; 1528 (-56) **ბექა ბუჩუკური** - 2; 1735 (-) **გიორგი რევაზიშვილი** - 1. რევაზიშვილი მსოფლიო კლასიფიკაციის ახალი წევრია, გიორგი 2001-2002 წლებში იყო კლასიფიკაციაში (1322-ე ადგილი), ახლა კი ერთი ქულით დაბრუნდა.

17 წლის ნიკა ბასილაშვილი ერთობ გაანებივრეს რუსებმა „უაილდ ქარდებით“, ზედიზედ მეორე კვირაა, ჩვენებური 50-ათასიანი ტურნირის ბადეში უბრძოლველად ხვდება. ამჯერად ტურნირი სარანსკში იმართება და მას „მორდოვიის თასი“ ეწოდება. ნიკას პირველი მეტოქე საკვალიფიკაციო წრის ერთ-ერთი გამარჯვებული იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძალოსნობა

# დებიუტი ლანდსკრონას ფიცარნაგზე




შვედეთის ქალაქი ლანდსკრონა 28 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით 20- წლამდე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **ზურაბ ანთაურის** ხელმძღვანელობით ჩვენი სამი სპორტსმენი იასპარეზებს. ესენი არიან 1990 წელს დაბადებულნი **იკა ცანავა** (ზუგდიდი, 85 კგ), **ნიკა წიკლაური** (გურჯაანი, თბილისი, 85) და **დავით გოგია** (ზუგდიდი, 105). სამივენი გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრში იმაღლებენ ოსტატობას.

წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში ნიკა წიკლაურმა (პირადი მწვრთნელი **გურამ ფარულავა**) პირველად იასპარეზა 85 კილოში (მანამდე 77 კილოში გამოდიოდა) და ვერცხლის მედალი დაიმსახურა (ჩემპიონი გახდა ზუგდიდელი **თემურ ჩხეიძე**, რომელიც წიკლაურზე 4 წლით უფროსია). მისი საუკეთესო შედეგებია: აჭაცში — 135 კგ., აკვრაში — 165 კგ. საქართველოს პირველობაზე მას ორჭიდის ჯამში ერთი კილოთი ჩამორჩა იკა ცანავა (პირადი მწვრთნელი **ბეჟან ჭიჭინაძე**). რაც შეეხება დავით გოგიას (მწვრთნელი ბეჟან ჭიჭინაძე), ფაქტობრივად, 94 კილოა, მაგრამ მწვრთნელებმა მისი გამოცდა 105 კილოში გადაწყვიტეს. წლევანდელ პირველობაზე იგი მხოლოდ მოგვარე **თემურ გოგიას** ჩამორჩა. აიტაცა 155-კილოგამიანი შტანგა და 185 კილოგრამი აკრა.

საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **რამაზ გურგენიძემ** გვითხრა, რომ *„სამივე ქართველი სპორტსმენისთვის ევროპის პირველობა სადებიუტო საერთაშორისო შეჯიბრება იქნება. მართალია პერსპექტიული ათლეტები არიან, მაგრამ ამჯერად მათგან მედლებს არ ველით. თუმცა, თავიანთი მაჩვენებლებით წიკლაურსა და ცანავას პირველ ათეულში, ხოლო გოგიას საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა შეუძლიათ“.*

ლანდსკრონაში 85 კილოგრამი წონითი კატეგორიის სპორტსმენები 30 ივლისს ჩაებმებიან შეჯიბრებაში, ხოლო 105-კილოიანი ძალოსნები ფიცარნაგზე 1-ელ აგვისტოს გავლენ.

**ვაჟა დანელია**

# უცხოური სპორტი

კალათბურთი

## რეკორდების ოლ სტარი

ქალთა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში „ყველა ვარსკვლავის მატჩი" გაიმართა, რომელიც დასავლეთის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა - 130:118.

შეხვედრის უძვირფასეს მოთამაშედ „სიეტლის" თავდამსხმელი **სუინ კეში** დასახელდა. მან 22 წუთი გაატარა მოედანზე და 22 ქულა დააგროვა, რაც „ოლ სტარის" ისტორიაში შედეგიანობის ახალი რეკორდია. გარდა ამისა, კეშმა 6 მოხსნა და 4 შედეგიანი პასიც მიითვალა.

„ყველა ვარსკვლავის მატჩში" კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა. დასავლეთის ნაკრებმა 39-დან 18 სამქულიანი ჩააგდო (46 პროცენტი). ამ რანგის მატჩში ასეთი რაოდენობის შორეული ტყორცნები არასოდეს გამოუყენებიათ.

WNBA-ის „ყველა ვარსკვლავის მატჩი" მეცხრედ ჩატარდა. პირველი ექვსი შეხვედრა დასავლეთმა მოიგო, რის შემდეგაც ორ მატჩში აღმოსავლეთმა იმარჯვა და ახლა, დასავლელებმა რევანშის აღება შეძლეს.

**აღმოსავლეთი-დასავლეთი 118:130**

**27:25, 33:38, 33:36, 25:31**

**ა:** ფაულსი (17), ა. ბერდი (14), დიუპრი (12+6 მოხსნა), დაგლასი (11+5 პასი), კეტჩინსი (7+5 პასი) - პერკინსი (16+5 პასი+4 ჩაჭრა), დესუზა (12+9 მოხსნა), კრისტონი (12+3 ჩაჭრა), ლიტლი (6+8 მოხსნა), ჯონსი (6+6 პასი), სმიტი (5).

**დ:** კეში (22+6 მოხსნა), ს. ბერდი (16+5 მოხსნა+10 პასი), ჰემონი (11+6 პასი), ჯექსონი (9), ტომპსონი (4) - პაუელი (21), ტაურაზი (18), ჰიუსტონი (16+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), პონდექსტერი (9+9 მოხსნა+6 პასი), იანგი (2+7 მოხსნა), ანომაიკე (2+3 ჩაჭრა).

## გუდენი დალასს შეუერთდა

„დალას მავერიქსმა" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა თავისუფალ აგენტ **დრიუ გუდენთან**. ხელშეკრულების თანახმად, კალათბურთელი მომავალ სეზონში გარანტირებულად მიიღებს 4.5 მილიონ დოლარს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კლუბი წარმატებას მიაღწევს და დრიუს მაღალი ინდივიდუალური შედეგები ექნება, თანხა 5 მილიონამდე გაიზრდება.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ ამ ფორვარდით „დალასის" გარდა „კლივლენდი" და „შარლოტი" იყვნენ დაინტერესებული, თუმცა კალათბურთელმა უკვე დაადასტურა „მავერიქსში" გადასვლა. გასულ სეზონში გუდენი სამ კლუბში - „ჩიკაგოში", „საკრამენტოსა" და „სან ანტონიოს" რიგებში თამაშობდა და საშუალოდ 11.9 ქულა და 7.1 მოხსნა დააგროვა.



■ ■ ■

უსიამოვნო ისტორიაში გაეხვია „დალას მავერიქსის" ლიდერი **დირკ ნოვიცკი**. მისი ყოფილი შეყვარებული **კრისტალ ტეილორი** ფეხმძიმედაა და ციხეში იმყოფება. ამ ქალმა სტომატოლოგიურ კლინიკას სამედიცინო სამსახურისთვის 10 ათასი დოლარი არ გადაუხადა. ტეილორი 25 ათასს იმეტებს იმისთვის, რომ ციხიდან თავდებით გამოუშვან, მაგრამ მოსამართლემ უარი უთხრა, რადგან მსგავსი კრიმინალური ისტორია პირველი არ არის ამ ქალის ბიოგრაფიაში.

ნოვიცკის ექსშეყვარებული ჯიუტად ამტკიცებს, რომ მომავალი ბავშვის მამა გერმანელი კალათბურთელია. მოთამაშის ადვოკატი კი უარყოფს ტეილორის განცხადებას და უკვე სასამართლოს ძალით ითხოვს მამობის დასადგენი ტესტის ჩატარებას.

ამბები

კალათბურთი

### დენგი ევრობასკეტს გამოტოვებს?

ბრიტანეთის ნაკრებმა, შესაძლოა, შესუსტებული შემადგენლობით ითამაშოს პოლონეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატში. „ჩიკაგო ბულზის" ფორვარდმა **ლუოლ დენგმა**, რომელსაც ბრიტანეთის პასპორტი აქვს, ბოლომდე ვერ მოირჩინა ფეხის ტრავმა, რომელიც გასული სეზონის ბოლოს მიიღო.

კალათბურთელის კლუბს არ სურს გარისკვა და შეიძლება არ გაუშვას დენგი ევრობასკეტზე სათამაშოდ. ეს საკითხი დღეს გადაწყდება, როცა ბრიტანეთის ნაკრების ხელმძღვანელობა საბოლოო შემადგენლობას გამოაცხადებს.

ველოსპორტი

### ტესტები განმეორდება

ფრანგული ანტისადოპინგო სააგენტო 2008 წლის ტურ დე ფრანსის მონაწილეთა დოპინგსინჯების ხელახალ შემოწმებას აპირებს. სააგენტო ველომრბოლთა ანალიზებში დოპინგის ახალ სახეობას CERA-ს (ერითროპოეტინის სახესხვაობა) კვალს ეძებს.

ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა **პიერ ბორდრიმ** განაცხადა, რომ შემოწმდება დაახლოებით 15 ველომრბოლის დოპინგსინჯი. მან არ დაასახელა სპორტსმენთა გვარები, თუმცა თქვა, რომ ველომრბოლები ამის შესახებ წლევანდელი ტურის დაწყების წინ გააფრთხილა.

*„ჩვენ გარკვეული ინფორმაცია მივიღეთ ამ სპორტსმენების შესახებ და ამიტომაც, მათი სინჯების განმეორებით შემოწმებას ჩავატარებთ. არ გვინდოდა ეს წლევანდელი ტურის მსვლელობისას გაგვეკეთებინა, რათა რბოლის მსვლელობისთვის არ შეგვეშალა ხელი"*, - ამბობს ბორდრი.

შემოწმება სექტემბერში ჩატარდება და შედეგები ოქტომბერში გამოცხადდება.

ფორმულა 1

### შეთანხმება მიღწეულია

ინტერნეტგამოცემა Motorsport-ი იტყობინება, რომ უნგრეთის სარბოლო უიქ ენდის დროს, „ჰუნგარორინგის" ტრასის პადოკებში გავრცელდა ჭორი, რომლის მიხედვითაც მომავალი წლის ჩემპიონატის მონაწილე ცამეტმა გუნდმა თანხმობის ახალ დოკუმენტს მოაწერა ხელი. ეს მნიშვნელოვანი ამბავი შაბათს მოხდა.

ამასთან, არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ დაითანხმეს გუნდები არა 2012 წლამდე, არამედ უფრო ხანგრძლივი დროით (2016 წლამდე) გაეფორმებინათ ეს ხელშეკრულება.

ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი



## ექვსი რეკორდით დაიწყო

რომში, საწყლოსნო სპორტის სახეობების მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე საინტერესო ნაწილი დაიწყო. ბრძოლაში მოცურავეები ჩაებნენ. მათი ტურნირის მიმართ ძალიან დიდი აჟიოტაჟი შეინიშნება, რისი მიზეზიც, პირველ რიგში, 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსია**. მისთვის მსოფლიოს ეს ჩემპიონატი პირველი სერიოზული სტარტია შარშანდელი ოლიმპიადის შემდეგ. თუმცა ვარაუდობენ, რომ ფელპსი ბოლომდე ოპტიმალურ ფორმაში არ არის და მისთვის ეს პირველობა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია.

ჩემპიონატისადმი ინტერესი იმითაც არის განპირობებული, რომ აქ მსოფლიოს რეკორდების დამხობას ელიან. გასაგებია, რომ ეს დაკავშირებულია ულტრათანამედროვე საცურაო კოსტიუმებთან, რომელიც შესამჩნევად უწყობს ხელს მოცურავეთა შედეგების გაზრდას. ამ მხრივ გულშემატკივრების მოლოდინი გამართლდა და პირველ დღეს მაყურებელმა მსოფლიოს ექვსი რეკორდი იხილა.

თავდაპირველად თავი გამოიჩინა შვედმა **სარა სიოსტრიომმა**, რომელმაც ქალებში 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვის ნახევარფინალში სახელგანთქმული ჰოლანდიელის **ინგე დე ბრუინის** წინა რეკორდი 0.17 წამით გააუმჯობესა. ამერიკელი **არიანა კუკორსიც** 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიოს ახალი რეკორდით გავიდა.

კიდევ ორი რეკორდი ინდივიდუალურ ფინალებში დამყარდა. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ბრწყინვალე შედეგი აჩვენა გერმანელმა **პაულ ბიდერმანმა**. მას უძლიერესი კონკურენტი ჰყავდა ტუნისელი **უსამა მელულის** სახით. 1500 მეტრ დისტანციაზე პეკინის ოლიმპიური ჩემპიონი 300 მეტრი ლიდერობდა ამ გაცურვას, მაგრამ ბიდერმანმა ბოლო 100 მეტრზე მკვეთრად უმატა ტემპს და პირველი მივიდა ფინიშთან. რაც მთავარია, გერმანელმა 0.01 წამით გააუმჯობესა ლეგენდარული ავსტრალიელის **იან ტორპის** რეკორდი, რომელიც 2000 წლის ივლისში იყო დამყარებული.

პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ბიდერმანს უდიდესი პროგრესი ჰქონდა. შარშანდელ თამაშებზე ის ამ დისტანციაზე მე-18 ადგილზე გავიდა, ახლა კი კარიერაში პირველ დიდ გამარჯვებას მიაღწია.

რაც შეეხება ამ დისციპლინაში მთავარ ფავორიტს, ოლიმპიადის მოქმედ ჩემპიონს, კორეელ **ტაე-ხვან პარკს**, მან ფინალში გასვლაც კი ვერ მოახერხა და პეკინში ნაჩვენებ შედეგზე 5 (!) წამით უარესი დრო აჩვენა.

ქალებმაც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამოავლინეს გამარჯვებული. ადგილობრივი გულშემატკივრების გასახარად, აქ იტალიელმა **ფედერიკა პელეგრინიმ** აჯობა ყველას, მათ შორის, ოლიმპიურ ჩემპიონს, ბრიტანელ **რებეკა ედლინგტონს**.

პელეგრინი პირველი ქალი მოცურავეა ისტორიაში, ვინც 400 მეტრი 4 წუთზე ნაკლებ დროში გაცურა (ცნობისთვის, კაცებში ასეთი რამ პირველად 1973 წელს მოხდა. მაშინ ამერიკელმა **რიკ დე მონმა** გამოიჩინა თავი). იტალიელმა წამზე მეტი მოუგო ორ ძლიერ კონკურენტს: ამ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდის მფლობელ **ჯოან ჯექსონსა** (აშშ) და ედლინგტონს. ამ უკანასკნელმა პეკინის „წყლის კუბში" ნაჩვენებ შედეგს სამი წამი ჩამოაკლო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა პელეგრინის დასამარცხებლად. ფედერიკამ კარიერაში პირველად მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი. ცნობისთვის, იტალიელმა შარშანდელ ოლიმპიადაზე ამ დისციპლინაში მეხუთე ადგილი დაიკავა.

პირველი დღის პროგრამის მშვენება გახდა კაცებისა და ქალების 4x100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტა.

ქალების ესტაფეტაში თავიდანვე სამი ნაკრები დაწინაურდა. ავსტრალია, გერმანია და ჰოლანდია მსოფლიოს რეკორდის გრაფიკს უსწრებდნენ. პირველად წინ გერმანია გაიჭრა, რადგან ამ გუნდში ესტაფეტა **ბრიტა შტეფენმა** დაიწყო და თავისი წილი 100 მეტრი მსოფლიოს რეკორდით გაცურა (52.22 წამი), თუმცა მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჰოლანდიამ ნელ-ნელა გაზარდა ტემპი და ბოლოს გერმანიას 11 მეასედი წამი მოუგო. ეს „ნარინჯისფერთა" კვარტეტის პირველი ოქროა პლანეტის პირველობაზე. წინა ორი ჩემპიონატის გამარჯვებული ავსტრალია ამჯერად ბრინჯაოს დასჯერდა.

დაბოლოს, პირველი ოქროს შესახებ, რომელიც ფელპსმა ამ ჩემპიონატზე მოიპოვა. სპეციალისტები კაცების ესტაფეტაში ამერიკისა და საფრანგეთის მორიგ დაძაბულ დუელს ელოდნენ (პეკინში, ფელპსის გუნდმა ფრანგებს მხოლოდ 0.08 წამი მოუგო). ევროპელთა რიგებში ორი ბრწყინვალე სპრინტერი - **ალენ ბერნარი** და **ფრედ ბუსკე** ცურავდნენ, რომლებმაც გაზაფხულზე ქვეყნის ჩემპიონატში 100 და 50 მეტრზე მსოფლიოს რეკორდები დაამყარეს (ეს შედეგები ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ არ აღიარა). თუმცა ფრანგებმა აშკარად ჩააგდეს ეს ესტაფეტა, რადგან მათ არა მარტო ამერიკამ, არამედ რუსეთმაც გაუსწრო.

რუსეთს ოქროს მედლის მოპოვებაც შეეძლო. ფინიშამდე 50 მეტრი რჩებოდა, როცა **ალექსანდრ სუხორუკოვი** წინ იყო გასული, მაგრამ **ნათან ადრიანის** სპურტს ვერაფერი მოუხერხა.

მსოფლიოს ჩემპიონატებზე ამ დისციპლინაში 13-ჯერ გათამაშებულა ოქროს მედალი და 11-ჯერ გამარჯვება ამერიკას დარჩა. ამ გუნდმა 2001 წელს ავსტრალიასთან და 2003 წელს რუსეთთან წააგო.

**კაცები**

**400 მ. თავისუფალი**

1. **პოლ ბიდერმანი** (გერ) - 3:40.07 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **უსამა მელული** (ტუნ) - 3:41.11 (+1.04); 3. **ლინ ჟანგი** (ჩინ) - 3:41.35 (+1.28).

**4x100მ თავისუფალი**

1. **აშშ** (მაიკლ ფელპსი, რაიან ლოხტე, მეტიუ გრივერსი, ნათან ადრიანი) - 3:09.21; 2. **რუსეთი** (ევგენი ლაგუნოვი, ანდრეი გრეჩინი, დანილა იზოტოვი, ალექსანდრ სუხორუკოვი) - 3:09.52 (+0.31); 3. **საფრანგეთი** (ფაბიენ ჟილო, ალენ ბერნარი, გრეგორი მალე, ფრედერიკ ბუსკე) - 3:09.89 (+0.68).

**ქალები**

**400 მ. თავისუფალი**

1. **ფედერიკა პელეგრინი** (იტა) - 3:59.15 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **ჯოან ჯექსონი** (ბრიტ) - 4:00.60 (+1.45); 3. **რებეკა ედლინგტონი** (ბრიტ) - 4:00.79 (+1.64).

**4x100მ თავისუფალი**

1. **ჰოლანდია** (ინგე დეკერი, რანომი კრომოვიდჯოჯო, ფრედერიკ ჰეემსკერკი, მაგდალენა ფელდჰუისი) - 3:31.72 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **გერმანია** (ბრიტა შტეფენი, დანიელა სამულსკი, პეტრა დალმანი, დანიელა შრაიბერი) - 3:31.83 (+0.11); 3. **ავსტრალია** (ლიზბეტ ტრიკეტი, მარიეკ გოურერი, შეინ რიზი, ფელისიტი გალვესი) - 3:33.01 (+1.29).

მძლეოსნობა

## დოპინგი იყო და არც იყო

გაირკვა იმ იამაიკელი მძლეოსნების გვარები, რომლებიც დოპინგის მიღებაში არიან ეჭვმიტანილნი. **იოჰან ბლეიკი, შერი-ენ ბრუქსი, ლენსფორდი სპენსი, მერვინ ანდერსონი** და **ალოდინ ფოზერჯილი** იამაიკის ნაკრების რიგებში შედიან, მაგრამ არც ერთი მათგანი ამ გუნდის ლიდერად არ ითვლება.

როგორც ცნობილი გახდა, პრეპარატი, რომელიც ამ მძლეოსნებმა გამოიყენეს, აკრძალულ ნივთიერებათა რიცხვში არ შედის. სპრინტერები მეთილკსანტინს იღებდნენ, რომელიც ასთმის სამკურნალოდ გამოიყენება.

მართალია, მეთილკსანტინი მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) მიერ აკრძალული პრეპარატების სიაში შეტანილი არ არის, მაგრამ ეს წამალი სტიმულატორთა ჯგუფს განეკუთვნება და სპორტსმენებს მისი მიღება აკრძალული აქვთ. თუმცა იამაიკელ მძლეოსნებს რჩებათ შანსი, სასჯელი აიცილონ თავიდან.

WADA-ის წარმომადგენლის თქმით, თუ სპრინტერები დაამტკიცებენ, რომ მეთილკსანტინი მათ ორგანიზმში შემთხვევით მოხვდა, ისინი მხოლოდ გაფრთხილებას მიიღებენ. მაგრამ თუ გაირკვა, რომ ეს პრეპარატი სპორტული შედეგების გაუმჯობესებისთვის იყო განკუთვნილი, მათ ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია არ ასცდებათ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## უცხოური სპორტი

ფორმულა 1

# ვინ შეცვლის ფელიპე მასას?

## ბრაზილიელის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება

დღეს ფორმულა 1-ში მთავარი განსახილველი თემა „ფერარის“ პილოტ **ფელიპე მასას** ავარიაა, რომელიც ბრაზილიელს „ჰუნგარორინგის“ ტრასაზე უნგრეთის გრან-პრის კვალიფიკაციის დროს შეემთხვა.

ბოლო ინფორმაცია პოზიტიურია. რაც მთავარია, შარშანდელი სეზონის ვიცე-ჩემპიონის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ეს ამბავი ჟურნალისტებს უნგრეთის ჯამრთელობის დაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა **იშტვან ბოშკაიმ** აცნობა. მისი თქმით, ექიმებს სულ უფრო ხშირად გამოჰყავთ მრბოლელი ხელოვნური კომიდან. ფელიპე რეაგირებს მისი მისამართით წარმოთქმულ ფრაზებზე, ამოძრავებს ხელებსა და ფეხებს. ეს კი იმედს აძლევს ექიმებს, რომ პილოტის ტვინი სერიოზულად არ დაზიანებულა, თუმცა მედიკოსები ასპროცენტიან გარანტიას მაინც არ იძლევიან.

■ ■ ■

მაშ ასე, მასა გადარჩა, თუმცა ბუნებრივია, რომ ის წელს ველარ მიუჯდება „ფერარის“ საჭეს. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ამ ჩემპიონატში მასასთვის შემცვლელის მონახვა.

ჟურნალისტებმა ამ თემაზე უკვე დაიწყეს სპეკულაციები და პირველი ვარაუდი ვებგვერდმა Crash.Net-მა გამოთქვა. ეს არის სრულიად აბსურდული მსჯელობა იმაზე რომ, შესაძლოა, ფელიპეს ადგილი ლეგენდარულმა გერმანელმა **მიხაელ შუმახერმა** დაიკავოს. თუმცა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მენეჯერმა **ვილი ვებერმა** იტალიურ Gazzetta dello Sport-ის მეშვეობით კატეგორიულად უარყო მოვლენათა ამგვარი განვითარება.

ყველაზე რეალური ვარიანტია **მარკ ჟენეს** კანდიდატურა. ფორმალურად სწორედ ის ითვლება „ფერარის“ სათადარიგო წევრად, რადგან ესპანელი „სკუდერიას“ ოფიციალური ტესტ-პილოტია. თუმცა „ფერარის“ ხელმძღვანელობას ჯერ არ წამოუჭრია მასას შემცვლელის საკითხი. მომდევნო რბოლამდე თითქმის ოთხი კვირაა დარჩენილი და იტალიურ საჯინიბოს შეუძლია მშვიდად მიიღოს გადაწყვეტილება.

უკანასკნელად მარკ ჟენე ტრასაზე 2004 წლის ზაფხულში გავიდა, როცა „უილიამსში“ ტრავმირებული **რალფ შუმახერი** შეცვალა. ესპანელმა კარგად წარმოაჩინა თავი სხვა საავტომობილო დისციპლინებში. კერძოდ, ამა წლის ივნისში, „პეჟოს“ სპორტპროტოტიპით ლე მანის 24-საათიანი ლეგენდარული რბოლა მოიგო. მისი პარტნიორები **ალექს ვიურცი** და **დევიდ ბრებემი** იყვნენ.



„სკუდერიას“ კიდევ ერთი ტესტ-პილოტი, იტალიელი **ლუკა ბადოერი** ჰყავს, მაგრამ ის ჟენეზე დიდი ხანია არ გასულა ტრასაზე.

რა თქმა უნდა, შაბათს მომხდარი ინციდენტი ახალ ჭორებს წარმოქმნის „ფერარისა“ და ესპანელი **ფერნანდო ალონსოს** მომავალი თანამშრომლობის შესახებ. არ არის გამორიცხული, რომ მასამ საერთოდ ვერ შეძლოს სპორტული კარიერის გაგრძელება და ასეთ შემთხვევაში, ალონსოს ტრანსფერის საკითხი მართლაც აქტუალური გახდება.

# ვიურცმა US F1 დაადასტურა



ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ის დებიუტანტი გუნდი US F1 მოლაპარაკებებს აწარმოებდა ფორმულა 1-ში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონთან, კანადელ **ჟაკ ვილნევთან**. ახლა ირკვევა, რომ ამერიკული საჯინიბოს ინტერესთა სფეროში კიდევ ერთი პილოტი მოექცა. ეს არის ავსტრიელი **ალექს ვიურცი**, რომელმაც უნგრეთის გრან-პრის დროს დაადასტურა ამერიკელთა მხრიდან ინტერესი.

*„იმ შემთხვევაში, თუ ახალ გუნდში ადგილს შემომთავაზებენ, მზად ვარ ფორმულა 1-ში დასაბრუნებლად. დებიუტანტ საჯინიბოებს ახალი ამოცანები და ახალი მიზნები ამოძრავებს, რომელთა გადაწყვეტა მე ყოველთვის მომწონდა. უფრო მანქანის დახვეწაზე მუშაობა მხიბლავს, ტესტპილოტის როლი ჩემთვის ზედგამოჭრილია. ახალი წესებით სეზონის მსვლელობისას ტესტები აკრძალულია, ამიტომაც გუნდები სარბოლო უიქენდებზე თავისუფალი პრაქტიკის დროს ატარებენ მანქანების ტესტირებას. ასეთი სამუშაო ჩემთვის იდეალური იქნებოდა, - ამბობს ვიურცი. - გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, მაგრამ მე დიდი ხანია ვიცნობ პიტერ უინძორს. მან იცის, რამდენად სასარგებლო შეიძლება ვიყო ტესტებისა და მანქანის შექმნის პროცესისას. ახალი გუნდისთვის ეს მნიშვნელოვანია. უინძორი უკვე შემეკითხა შესაძლო თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ ეს ჯერ წინასწარი ლაპარაკი იყო. ვნახოთ რა იქნება მომავალში“.*

პროფესიული კრივი

# ნიგერიული კოშმარი დაბრუნდა

გასულ უიქენდზე რამდენიმე საინტერესო საკრივო ორთაბრძოლა გაიმართა. ერთ-ერთ მათგანში მონაწილეობას იღებდა სუპერმძიმე წონაში WBC-ის ყოფილი ჩემპიონი, ნიგერიელი **სამუელ პიტერი**, რომელიც უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსთან** წაგების შემდეგ პირველად გავიდა რინგზე.

აფრიკელმა მექსიკაში გამართულ საკრივო შოუში მიიღო მონაწილეობა. საჩვენებელ ბრძოლაში მისი მეტოქე ნაკლებად ცნობილი მძიმეწონოსანი **მარკუს მაკგი** იყო. „ნიგერიულმა კოშმარმა“ (პიტერის მეტსახელი), რომელიც ახალი პრომოუტერული კომპანია Top Rank-ის კლიენტი გახდა, მესამე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო ამერიკელს. პიტერი ყოველ რაუნდში ნოკდაუნში გზავნიდა მეტოქეს და ბოლო, მესამე წაქცევა საბედისწერო აღმოჩნდა მაკგისთვის - მან ათ თვლაზე რინგიდან წამოდგომა ველარ მოახერხა.

ამავე შოუს რანგში კიდევ ერთი საინტერესო ჩხუბი შედგა. ეს იყო საჩემპიონო ბრძოლა პირველ მჩატე წონაში. WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა **ჯოვანი სეგურამ** მეექვსე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო **ხუანიტო რუბილარ-უმცროსს**. მთელი ბრძოლის განმავლობაში სეგურას უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა და მეექვსე რაუნდში რუბილარის სეკუნდანტებმა რინგზე პირსახოცი გადააგდეს.

ასევე WBA-ის ტიტული დაიცვა, ოღონდ მჩატე წონაში **პოლეს მოზესმა**. თავის სამშობლოში, ნამიბიაში მან აშკარა უპირატესობით დაამარცხა იაპონელი **ტაკაჰერო შიმადუ**.

12 რაუნდის შემდეგ ყველა მსაჯმა უპირატესობა მოზესს მიანიჭა: 119:109, 119:108, 118:110. უნდა აღინიშნოს, რომ გამარჯვების აღსანიშნავად მოზესის ხელი ნამიბიის ყოფილმა პრეზიდენტმა, დოქტორმა **სამ ნუხომამ** ასწია.

ასევე მექსიკაში ცნობილმა **მიგელ აკოსტამ** WBA-ის ვერსიით მჩატე წონაში ჩემპიონის დროებითი ტიტული მოიგო. ვენესუელელმა მეცხრე რაუნდის შუაში უძლიერესი მარჯვენა აპერკოტით რინგზე დასცა **ურბანო ანილიონი**, რომელსაც აქამდე არც ერთი ბრძოლა არ წაუგია პროფესიულ რინგზე. ასე რომ, აკოსტა WBA-ის მესამე ჩემპიონი გახდა ამ წონით კატეგორიაში. ჩემპიონის ტიტული პოლეს მოზესს ეკუთვნის, სუპერჩემპიონი კი **ხუან მანუელ მარკესია**, რომელიც პარალელურად, WBO-ის საჩემპიონო ქამარსაც ფლობს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2009**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| სლოვენია-ინგლისი | 1:7 |
| უკრაინა-შვეიცარია | 1:0 |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 0:1 |
| სერბეთი-თურქეთი | 1:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| მალაგა-ატლანტე | 1:3 |
| ლიონი-პორტუ | 0:2 |
| ვოლფსბურგი-მალიორკა | 3:1 |
| შემროკი-ჰიბერნიანი | 1:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| რანდერსი-ორჰუსი | 2:3 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ოლესუნდი-ფრედრიკსტადი | 1:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-გაის | 1:0 |
| ჰაკენი-ერებრუ | 2:2 |
| ჰალმსტადი-მალმიო | 0:3 |
| იორგრიტე-ჰამარბიუ | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-ტროლჰატანი | 3:2 |
| სირიუსი-ვასბი | 2:1 |
| სუნდსვალი-იონჩოპინგი | 4:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იუვიასკიულა-ტურკუ | 1:1 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| შაფჰაუზენი-ვინტერტური | 0:0 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| გრინდავიკი-ფიოლნირი | 1:1 |
| ტროტური-რეიკიავიკი | 1:5 |
| ვალური-კეფლავიკი | 2:2 |
| ფილკირი-ფრამი | 2:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი 1905-ბრნო | 0:0 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ბარუერი-სან პაულუ | 1:2 |
| ფლუმინენსე-კრუზეირო | 1:1 |
| ვიტორია-კურიტიბა | 1:0 |

**ჩილე**

| | |
|---|---|
| უნ. ესპანიოლა-კობრესალი | 1:0 |

**კოლუმბია**

| | |
|---|---|
| მილიონარიოსი-დეპ. ტოლიმა | 0:2 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| მელგარი-სპორტი | 1:0 |

**წყალბურთი**

**მს. ჩემპიონატი**

**ქალები. 1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-კანადა | 7:9 |
| რუსეთი-ჰოლანდია | 9:7 |
| ავსტრალია-საბერძნეთი | 3:4 |
| იტალია-ჩინეთი | 9:5 |
| გერმანია-ახ.ზელანდია | 8:7 |

**ჩოგბურთი**

**ATP. გშტაადი**

| | |
|---|---|
| გარსია ლოპესი-ფ. ლოპესი | 6:4, 6:7, 6:3 |
| გაბაშვილი-კაპდევილე | 1:6, 7:6, 6:3 |
| ანდრეევი-ხუნკეირა | 7:5, 6:4 |
| ჩიპოლა-ჰერნიხი | 1:6, 0:6 |
| კოლშრაიბერი-კრივოი | 4:6, 0:6 |

**ATP. ლოს ანჯელესი**

| | |
|---|---|
| გუჩიონე-კიმი | 6:1, 6:4 |

**WTA. სტამბოლი**

| | |
|---|---|
| ბაშჩინსკი-ჰერცოგი | 6:2, 6:2 |
| მეირი-დომახოვსკა | 6:1, 2:6, 0:6 |
| გოვორცოვა-პირონკოვა | 6:2, 5:7, 6:4 |
| რეზაი-კუტუზოვა | 7:6, 6:2 |
| რუსი-ოზგენი | 3:6, 7:6, 2:6 |
| კამერინი-შენოგლუ | 6:0, 6:2 |

**WTA. სტენფორდი**

| | |
|---|---|
| ნიკულესკუ-შონესი | 6:1, 6:0 |
| ოუდინი-ჩან იანგ-ჯანი | 6:7, 6:1, 6:0 |
| ჰეინესი-ფორეცი | 7:5, 6:2 |

TV პროგრამა

**28 ივლისი. სამშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:15** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ვოლფსბურგი.
**09:05** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ლიონი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ბაიერნი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბლექბერნი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. მანჩესტერ იუნ-პორტუ.
**18:20** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლე მანი.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:40** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა.
**22:30** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ.
**00:20** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**00:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**01:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვილიარეალი-არსენალი.
**03:20** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**04:25** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხეტაფე.

**EUROSPORT**

**10:30** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მარიბორი. სლოვენია.
**11:00** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. III დღე. რომი. იტალია (LIVE).
**13:30** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. II დღე. რომი. იტალია.
**15:00** ფეხბურთი. საქველმოქმედო მატჩი. ინგლისი-გერმანია.
**16:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. უკრაინა-შვეიცარია. უკრაინა.
**17:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. ესპანეთი-საფრანგეთი. უკრაინა.
**18:30** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. II დღე. რომი. იტალია.
**19:45** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. III დღე. რომი. იტალია (LIVE).
**22:00** მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. მონაკო (LIVE).
**00:30** ველოსპორტი. „პლანეტა არმსტრონგი“. ტელეჟურნალი.
**01:00** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
**01:15** სანაოსნო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სან ბენედეტო. იტალია.
**01:45** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. III დღე. რომი. იტალია.

მოტორბოლა

**X ეტაპი (ბრიტანეთის გრან-პრი)**

**125 cc**

1. **ხულიან სიმონი** (ესპანეთი, „აპრილია“) - 9.12,301; 2. **სიმონე კორსი** (იტალია, „აპრილია“) - +0,390; 3. **სკოტ რედინგი** (ბრიტანეთი, „აპრილია“) - +3,072; 4. **ნიკოლას ტეროლი** (ესპანეთი, „აპრილია“) - +6,209; 5. **ტაკააკი ნაკაგამი** (იაპონია, „აპრილია“) - +9,509; 6. **ლუის სალომი** (ესპანეთი, „აპრილია“) - +11,211.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ხულიან სიმონი** - 154 ქულა; 2. **სერხიო გადეა** (ესპანეთი, „აპრილია“) - 104; 3. **ბრედლი სმიტი** (ბრიტანეთი, „აპრილია“) - 98.5; 4. **ნიკოლას ტეროლი** - 94.5; 5. **ანდრეა იანონე** (იტალია, „აპრილია“) - 93.5; 6. **პოლ ესპარგარო** (ესპანეთი, „დერბი“) - 68.5.

**250 cc**

1. **ჰიროში აოიამა** (იაპონია, KTM) - 45.17,516; 2. **ალვარო ბაუტისტა** (ესპანეთი, „აპრილია“) - +5,523; 3. **მატია პაზინი** (იტალია, „აპრილია“) - +36,161; 4. **მარკო სიმონჩელი** (იტალია, „ხილერა“) - +36,776; 5. **მაიკ დი მელიო** (საფრანგეთი, „აპრილია) - +41,418; 6. **ალექს დებონი** (ესპანეთი, „აპრილია“) - +41,936.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ჰიროში აოიამა** - 159 ქულა; 2. **ალვარო ბაუტისტა** - 144; 3. **მარკო სიმონჩელი** - 115; 4. **ექტორ ბარბერა** (ესპანეთი, „აპრილია“) - 114; 5. **მატია პაზინი** - 80; 6. **ალექს დებონი** - 73.

**მოტოგრანპრი**

1. **ანდრეა დოვიციოზო** (იტალია, „ჰონდა“) - 48.26,267; 2. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, „იამაჰა“) - +1,360; 3. **რენდი დე პუნიე** (საფრანგეთი, „ჰონდა“) - +1,600; 4. **ალექს დე ანჯელისი** (სან მარინო, „ჰონდა“) - +8,958; 5. **ვალენტინო როსი** (იტალია, „იამაჰა“) - +21,622; 6. **ჯეიმს თაუსლენდი** (ბრიტანეთი, „იამაჰა“) - +22,465.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ვალენტინო როსი** - 187 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპანეთი, „იამაჰა“) - 162; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, „დუკატი“) - 150; 4. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, „ჰონდა“) - 115; 5. **კოლინ ედვარდსი** - 103; 6. **ანდრეა დოვიციოზო** - 94.

ჩოგბურთი

# მოიგეთ ფული როჯერის ტყუპზე

სულ რამდენიმე დღეს გავიდა **როჯერ ფედერერისა** და **მირკა ვავრინეცის** ტყუპი გოგონების დაბადებიდან, ბრიტანული საბუკმეიკერო კანტორები კი უკვე იღებენ ფსონებს ბავშვების სპორტულ მომავალზე.

ასე მაგალითად, ერთ-ერთმა ტოტალიზატორმა 100/1-ის ტოლი კოეფიციენტი დაანესა იმაზე, რომ დებიდან ერთ-ერთი მომავალში უიმბლდონის ჩემპიონი გახდება.

როგორც გერმანული გაზეთი „ბილდი" წერს, იგივე საბუკმეიკერო კანტორის შეფასებით, 25/1-ის ტოლია კოეფიციენტი იმაზე, რომ **შარლინი** ან **მაილა** (ტყუპის სახელები) „დიდი სლემის" რომელიმე ტურნირს მოიგებენ, 50/1 - გოგონები წყვილთა თანრიგში მოიგებენ უიმბლდონს და 200/1 - თითოეული მათგანი მოიგებს „დიდი სლემის" ტიტულს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ფსონებზე ფულის გაკეთება სავსებით რეალურია. „ბილდი" მიიჩნევს, რომ სპორტული გენები აუცილებლად იჩენს თავს და გოგონები საჩოგბურთო ნიჭს გამოავლენენ. მათი მამა ხომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი და „დიდი სლემის" ტურნირების 15-გზის ჩემპიონია, დედა კი 2002 წლამდე WTA-ის ტურის პროფესიონალი მოთამაშე იყო და რეიტინგში 76-ე ადგილამდე მიაღწია.

გოგონების წარმატებაში ამერიკელი **ენდი როდიკიც** დარწმუნებულია, რომელმაც Twitter-ზე თავის დღიურში დაწერა: *„ვულოცავ ბედნიერ მშობლებს! 2029-2040 წლებში უიმბლდონის წყვილთა თანრიგში ჩემპიონები ფედერერის გოგონები იქნებიან"*.

ეს საინტერესო ფოტო ინტერნეტში გავრცელდა. ჯერ კიდევ ბავშვების დაბადებამდე, მხატვრებმა როჯერისა და მირკას სახის ნაკვთები შეახამეს და მათი ქალიშვილების სახე „გამოიყვანეს". მათი აზრით, შარლინი და მაილა სწორედ ასე უნდა გამოიყურებოდნენ.







გამოვიდა ივლისის ნომერი


კრიმინალი

# მკვლელობა ატლანტაში



ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში ტრაგიკულად დაიღუპა ნახევრად საშუალო და პირველ საშუალო წონაში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი **ვერნონ ფორესტი**. ის თავდამსხმელმა ცეცხლსასროლი იარაღით დაყაჩაღების დროს მოკლა - იტყობინება სააგენტო AP.

38 წლის ფორესტი 26 ივლისს, საღამოს ატლანტას ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე ავტომობილის საბურავის გასაბერად გაჩერდა. ამ მომენტში მას სავარაუდო მკვლელი მიუახლოვდა და საფულის მოპარვა სცადა. ფორესტი მამაკაცს გაეკიდა, მაგრამ თვალთახედვის არიდან დაკარგა და მანქანისკენ შებრუნდა, რის შემდეგაც დამნაშავემ მას ზურგში ესროლა. ეს ამბავი სააგენტოს მოკრივის მენეჯერმა **ჩარლზ უოტსონმა** აცნობა. ვერნონ ფორესტი ზურგში რამდენიმე ჭრილობის მიყენების შემდეგ გარდაიცვალა.

მეორე ვერსიით, რომელსაც New York Daily News ავრცელებს, თავდამსხმელები ორნი იყვნენ და მათ ფორესტის „იაგუარის" მარკის მანქანის გატაცება მოინდომეს. მოკრივემ წინააღმდეგობის გაწევა სცადა და მანქანის სავარძლიდან პისტოლეტი ამოიღო. სროლის შედეგად ფორესტს თავში შვიდი-რვა ტყვია მოხვდა.

ვერნონ ფორესტმა 1992 წელს დაიწყო პროფესიული კარიერა და სულ 45 ბრძოლა ჩაატარა, რომელთაგანაც მხოლოდ სამი წააგო. 28 ჩხუბი ვერნონმა ნოკაუტით მოიგო. ამერიკელს განსაკუთრებული აღიარება **შეინ მოსლისთან** ორმა ბრძოლამ მოუტანა. ორივეში ფორესტმა გაიმარჯვა. მან 2009 წლის გაზაფხულზე, ტრავმის გამო დათმო პირველ საშუალო წონაში WBC-ის საჩემპიონო ქამარი და კარიერა დაასრულა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დღის ფოტო





თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge